გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№204 (263) 22-29 იანვარი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# სააკაშვილმა პარლამენტს ვეტო დაადო, პარლამენტმა საკაშვილს დაადო...

ასეთი ანგარიშით დამთავრდა საქართველოს პარლამენტისა და ძალაუფლების დაკარგვის შიშით გონებაამღვრეული სააკაშვილის მორიგი შეხვედრა, რომელიც პოლიტპატიმრებისა და ციხეებში გამომწყვდეული სხვა კატეგორიის დამნაშავეების მიმართ ამნისტიის გამოცხადებას ითვალისწინებდა. მართალია სააკაშვილმა პარლამენტის მიღებულ ამ კანონპროექტს ვეტო დაადო, მაგრამ პარლამენტმა ეს ვეტო გადალახა (რაც იმის მიმანიშნებელია, რომ სააკაშვილს უკვე მისი ნაციონალი პარლამენტარებიც განუდგნენ) და, როგორც ამ შემთხვევაში **"მოსააკაშვილო-მოძველბიჭო მასტები"** ამბობენ: **"სრულიად საქართველომ სააკაშვილს დაადო"!**

ამრიგად, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საკაშვილმა ხალხის დაშინებისა და უმიზეზოდ დაჭერა-განადგურება-გაკოტრება-გაცამტვერების ინსტრუმენტი დაჰკარგა, იგი ჩვეულებრივ ბოროტ ტაკიმასხარად იქცა და ახლა მხოლოდ ის შეუძლია, რომ დღესასწაულების მილოცვის ნაცვლად წყევლა-კრულვა უგზავნოს ქართველ ხალხს...

ქართველმა ხალხმა კი საბოლოოდ დაამტკიცა, რომ საკაშვილი და მისი ნაციონალები ყოველთვის მიუღებელი იყო ჩვენი მრავლისმნახველი საზოგადოებისათვის, რაც გამოავლინა კიდეც პირველი, თუნდაც **"ნაწილობრივ დემოკრატიულად"** ჩატარებულ არჩევნებში და ისტორიის სანაგვეზე მიუჩინა ადგილი ამ მართლაც შეურაცხად პოლიტ-ბიოლოგიურ არსებას! მაგრამ საქართველოს ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავს იმ დიდ სირცხვილს, რასაც საკაშვილისა და ნაციონალების 9-წლიანი მმართველობა ჰქვია.

მაგრამ ესეც ხომ ჩვენი დარდიმანდობისა და სერიოზული პრობლემებისადმი (საშიშროებისადმიც) სავსებით არასერიოზული მიდგომით იყო გამოწვეული. **"უხსენებელ"** შევარდნაძეს ბრმად მინდობილებმა ისე გადავაბარეთ საქართველოს მართვის სადავეები ეთნიკურად და სულიერად არაქართველებს, რომ თავადაც კი ვერ მოვედით აზრზე და როცა ყოველივე გადავხარშეთ გონებაში, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ უკვე **"გვიანი იყო თითზე კბენანი"**. საკაშვილმა და მისმა ბანდამ საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი ყოველივე ქართულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს და მოკლე ხანში თავზე დაგვაფშვნეს ჩვენი მდიდარი ეროვნული ტრადიციები, ნულამდე დაიყვანეს განათლება, მეცნიერება, ტექნიკა, ჯანდაცვა, სოციალური სფერო. მრავალჭირნახული ადამიანები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საკაშვილისთანა ცრუ, უტიფარი, ბოროტი, მტარვალი, მექალთანე და აღვირახსნილი არაკაცი არ შეიძლება მდგარიყო ქართულ ეთნიკურ ნიადაგზე. არც ის გახლდათ საიდუმლო, რომ საკაშვილის თანამემამულეები ყოველთვის თავგამოდებით ებრძოდნენ ან ითვისებდნენ ყოველივე ლამაზ ქართულს. სწორედ ამიტომ ესწრაფვოდა საკაშვილი საქართველოდან ქართველების განდევნას, რათა უცხო ჯიშის სათარეშოდ გაეხადა ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული მიწა, სახლმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწები კაპიკებში მიჰყიდა გადამთიელებს, ისედაც გაღატაკებული ქართველი კაცი კი საძოვრებისა და სახნავ-სათესი მიწების გარეშე დასტოვა.

და ეს მართლაც ნაძირალა პოლიტიკური ავანტიურისტი ახალი ზღვისპირა მეგაპოლისის **"ლაზიკის"** აშენებას აპირებდა, მაგრამ ვისთვის?

ეს შეკითხვა შეიძლება საკუთარ თავს არ დაუსვან ასევე უჯიშო არაქართველებმა დარჩიევებმა, რურუებმა, გაბაშვილებმა, ადეიშვილებმა, მინაშვილებმა, ხეთაგურებმა, თევზაძეებმა, თავხელიძეებმა, გილაურებმა და სხვა **"ქართველობას მიტმასნილებმა"**, მაგრამ ნუთუ ეს შეკითხვა ოდნავადაც არ აწუხებდათ ძირძველ ქართველებს კუბლაშვილებს, ბოკერიებს, საყვარელიძეებს, თაქთაქიშვილებს, ნოდიებს, ბობოხიძეებს, საჯაიებს და იმ სხვა სულწაწყმედილებს, რომელთაც, სამშობლოსადმი ერთგულება თანამდებობებზე, ჩინ-მედლებსა და დიდ ფულზე გაცვალეს, მისადმი მტრობაში.

ხეს უთქვამს: **"ჩემი გვარისა რომ არ ეხმარებოდეს, ნაჯახი ვერაფერს დამაკლებდაო"**! სწორედ ამ პრინციპის მოშველიებით გამოიყვანეს საკაშვილმა და მისმა **"ნაცებმა"** კაციჭამია ვირთხის ჯიში, რომელსაც **"ახალი ქართველი"** უწოდეს და **"ევროპელობა"** დააბრალეს!

ჩვენი შესანიშნავი ავტორის, ბატონ თენგიზ კუბლაშვილის არ იყოს, **"ლეგიონნია მათი სახელი"**, სოროსის მიერ ნაბოძები ფულია მათი იარაღი და საქართველოს დაშლა-განადგურებაა მათი მიზანი!

ქართველი კაცი აიძულეს, რომ შეგნებულად თავსმოხვეული ყოფითი პრობლემებისაგან სამშობლოდან გადახვეწით დაეხსნა თავი, რის შედეგადაც, დღეს, თუნდაც მხოლოდ სამეგრელოში, ფაქტიურად ყოველი მეორე ოჯახია გამოკეტილი და მათ ნაფუძვარებზე უკვე ბალახი მძლავრობს, მიწაზე შრომას დანატრებული ქართველი ადამიანი კი მონურ სამუშაოებს ასრულებს უცხოეთის ქვეყნებში, რათა იქ აღებული კაპიკებით ირჩინოს თავი და არჩინოს ოჯახი.

საკაშვილის თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ თავი საქართველოს განმანათლებლად გამოაცხადა. ალბათ პირველი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში, რომ აბსოლუტურად გაუნათლებელი ადამიანი, რომელსაც შოთა რუსთაველი დავით გურამიშვილში ეშლება, ხოლო არაბეთი სამცხე-ჯავახეთში, ერის განმანათლებლად აცხადებდეს თავს. მაგრამ რა უნდა გაგვიკვირდეს იმ უტიფარი ერის შვილისაგან, რომელიც მთელი სამყაროს გასაგებად აცხადებს, რომ ღვინის სამშობლო საქართველო კი არ არის, ჩვენი ქვეყანააო.

აღარც საკაშვილისაგან ნაბოძები **"ღირსების ორდენი"** აღარ უნდათ ქართველებს, რადგან დღეს იგი ლამის ყველას ჰკიდია, მათ შორის ნინა წკრიალაშვილსაც **ჰკიდია!!!**

სწორედაც რომ ერის სირცხვილია საკაშვილის მიერ უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოების მინიჭება საეჭვო მრწამსისა და ყოფაქცევის ადამიანებისათვის, არა მათი დამსახურების (თუ მათ საერთოდ გააჩნიათ რაიმე დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე), არამედ მათი მაამებლობის გათვალისწინებით, ამ პრეზიდენტად წოდებული არარაობის მიმართ.

ამერიკული და, ზოგადად, დასავლური აგდებული დამოკიდებულება ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებისადმი მჟღავნდება მათ მიდგომებში შეურაცხადი საკაშვილი ქმედებებში მისი ავადსახსენებელი პრეზიდენტობის ჟამს. ამ ლოთბაზარა და ნარკომანი პიროვნების ნებისმიერი ავადმყოფური საქციელი საკმარისი იქნებოდა დასავლეთის ამა თუ იმ ქვეყნის ლიდერის განსასჯელის სკამზე დასასმელად. ისინი კი ლამის კბილებით იცავენ საკაშვილს და ისე გვტენიან ცხვირპირში, როგორც სახედარს ატენიან ხოლმე ცხვირში მისთვის ესოდენ საძულველ პიტნას. მაგრამ გასაგებია ქრთამის მოყვარული უცხოელი **"მოღვაწეების"** პოზიცია, რომლებიც მსუყედ იკვებებოდნენ საკაშვილის ხელიდან, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე. მათ ისევე აინტერესებთ საქართველოს ბედ-იღბალი, როგორც აინტერესებთ აფრიკის რომელიმე ტომის ბედი. საკაშვილის დასავლელი მხარდამჭერების საქციელი ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული. ავიღოთ თუნდაც დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წარმომადგენლების გულისწყრომა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამართალდამცავები ყოველი წესისა და იურიდიული კანონების დაცვით აკისრებენ პასუხისმგებლობას დანაშაულში მხილებულ საკაშვილის მაღალჩინოსნებს. და ამას სჩადიან იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომელსაც დღესაც არ ეთმობა კოლონიური ინტერესები და არგენტინას ედავება ისტორიულად მის ტერიტორიად აღიარებულ ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებს.

აღარაფერს ვამბობ საკაშვილის ინტერესების დამცველ იმ ამერიკელ სენატორებზე, რომელთა დანაშაულებრივი თანხმობითაც აშშ სისხლის ზღვებს აყენებს მათთვის არასასურველ და არასაიმედო პარტნიორებად მიჩნეულ ქვეყნებში.

დაჰკარგეს საკაშვილის მიერ მათი ლობისტური საქმიანობისათვის ქვეყნის ბიუჯეტიდან გაღებული გასამრჯელოები (რაც თავისთავად უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულია) და ამიტომ არიან გააფთრებულები, თორემ მათთვის განა სულ ერთი არ არის, ვინ დალევს ქართველის სისხლს – საკაშვილი, საკიანცი, საკ-ოღლი თუ საკოვი...

ძნელი დასაჯერებელია შუახნის ასაკს ისე მიაღწიოს ადამიანმა, რომ ერთხელ მაინც არ უთხრას თუნდაც საკუთარ თავს სიმართლე და მუდამ სიცრუითა და ცილისწამებით გაიკაფოს გზა ცხოვრებაში. სწორედ საკაშვილია ამგვარი სულბინძური პიროვნება, რომელსაც აუტანელი იდიასინკრაზია გააჩნია ჭეშმარიტებისადმი. იგი ცრუობს ყველგან და ყველაფერში, ცრუობს როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ცრუობს, როგორც საქართველოს მოქალაქე, ცრუობს როგორც მეუღლე და ოჯახის მამა, ცრუობს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, სიცრუესა და თვალებში ნაცრის შეყრაზე იყო აგებული მისი ცხრაწლიანი საპრეზიდენტო მოღვაწეობა, რაც თავისთავად მიანიშნებს ამ პიროვნების უზნეობაზე, უტიფრობასა და მორალურ ეროზიაზე.

მაგალითად, ამას წინათ, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ფართომასშტაბიანი ამნისტია, რომელმაც ასევე დაადასტურა პოლიტპატიმრების არსებობა საქართველოში, საკაშვილმა მონათლა წარსულში დაბრუნებად და რუსეთის აგენტების გმირებად აღიარებად და კრიმინალებისადმი ლოიალობის გამოვლენად (საინტერესოა, ისეთი რა მაღალტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური საიდუმლოებები გააჩნია საქართველოს, რომ რუსეთმა ამ საიდუმლოებების მოპოვებისათვის დიდი ფული დაახარჯოს სადაზვერვო ქსელის შექმნას). და ეს მაშინ, როცა თავად, სრულიად უმიზეზოდ შეიწყალა ორი კანონიერი ქურდი, გირგვლიანის მკვლელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ!!!

ნუთუ მართლა ასეთი უზნეო ნაძირალაა საქართველოს პრეზიდენტად წოდებული ეს არარაობა? განა ჩვენი დიდი სირცხვილი არაა ის, რომ ამგვარი სულბინძური არსება ცხრა წელიწადი გვაჯდა თავზე და უფსკრულისაკენ მიაქანებდა საქართველოს?

დროზე ჩამოვირეცხოთ ეს სირცხვილი!

**როლანდ ჯალაღანია**

**"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი**

*დრო, დრო აღინიშნე!*

## წასვლა სჯობს წარმავალისა!

### რწმენა და იმედი

ბაბუ, ჩვენი ნაგრამი, რომ ვერავინ დაჩაგროს,
ამოვდევით ლაგამი ელიტურ საყაჩაღოს.
რწმენითა და იმედით, მიტომ შევხვდით საესავს
ჩვენი ამერ-იმერის ორი ათას ცამეტსა.

### სიცივე

აქვს სატყუარად „ნატო“ და „მაპი“,
ვირეშმაკაა და გვყიდის ღლაპი,
რომ უცხო თესლის გავხდეთ მონები,
მაგრამ ცხადია და უდავოა,
რა წამს მის ხუთ წელს ყავლი გაუვა,
უნდა გადადგეს დაუყოვნებლივ.
ისევ მუხთლობს და ისევ პირშაობს,
ისევე ცდილობს, პირი გვიშაროს,
მაგრამ ხალხის მსჯავრს ვერ აიცილებს.
დრო სასახლიდან ბინძურ კვალს ხვეტავს
და ცოცხით დასდევს ნაპრეზიდენტალს
20 იანვრის ღამის სიცივე.

### ჭორვილელი ძმებისთვის თქმული

ვინც ბრბოს ეძახის ხალხს და ჭორვირელთ,
პასუხი ისეთ მეხად მოელის,
კაცობის რა ვთქვა, ვერც იგორილებს
ის აყლაყუდა პლეხანოველი.
იძინეთ მშვიდად, ჯურხა და ჰასან,
ჭორვილას ლანძღვას დავუჯენთ ფასად!

### 19 დეკემბრის გახსენება

საკვირველი არის ის, რომ
ქუთათურებს ვინც უტევდა რიხით,
ბოდიშსაც კი უკადრისობს,
ტლინკებს ყრის და
ქედს ოდნავ არ იხრის.
არ გეწყინოს, ქუთაისო,
ნაცი-ბაცი დეპუტატის წიხლი!

### თუ ოქტომბრამდე ვაცალეთ!

ჭორით და ცილის წამებით
შხამიან ენაჭარტალას
მოვკითხოთ, ბოლო წამებში
რა ძალამ აასხმარტალა.
მოვკითხოთ ისიც, ვინ იგებს,
თუ ოქტომბრამდე დატოვეს
და თუკი ჩამოგვირიგებს
ცოცხების ბატონ-პატრონებს
— მხარეთა გუბერნატორებს?

**ალექსანდრე შენგელია**

# მოგზაურობანი

**აფუნი. – იალაღები. საქონლის ძოვების წესი. – ძველი და ახალი დრო მთაზე. – მერძეობა: ნაწი, დვრიტა, ყველი, ქიფური, მაწონი. – ერბოკარაქის კეთება არ იციან! – მატყლი, როგორც წყარო იქაური მკვიდრის შემოსავლისა. – საკლავი საქონელი**

თხებს დღეში ორჯერ სწველავენ: შუადღისას და საღამოს. რძეს ასხამენ სპილენძის ქვაბებში, რომლის თავზე ორი ჯოხია გადებული და შუაში ხის ქერქისაგან, ოთხკუთხ კოლოფის მსგავსად, გაკეთებულია საწურავი რძისა. ქვეშ ამ საწურავს გვიმრა უფენია სქლად. ამ საწურავში გატარებულ რძეს ნახევარს ჯერ აადუღებენ და მერე მაწვნად ადედებენ დიდს ბუყუნებში. მეორე ნახევარს ყველად აკეთებენ. ყველში დედად აქ ძროხის, ღორის, თხის ან ცხვრის კუჭსა ხმარობენ, რომელსაც **"ნაწი"** ჰქვიან აქაურულად. უპირატესობა ღორის კუჭსა აქვს. სანაწე ჭურჭელში ყველაზე დიდ ხანსა სძლებს.

საინტერესოა ამ ნაწის მომზადების პროცესიცა: დაკლულ საქონელს ამოაცლიან კუჭსა, კარგად გარეცხავენ, შემოაცლიან გარსს და სამი-ოთხი დღე მარილში ჩაფლავენ. მერე გამოიღებენ და სხვენზე, კერიის თავზე დაჰკიდებენ გასაშრობად. როცა კარგად გახმება, შეიძლება მისი ხმარება. სამი თითის დადება ნაჭერს მოსჭრიან და ჩააგდებენ მწარე გოგრისაგან გაკეთებულ ჭურჭელში, დაასხამენ შრატს, მიუმატებენ სამიოდე კბილ მარილს და ხუთიოდე პატარა ნაჭერს ლეღვის პატარა ტოტისა. შიგ ურევია აგრეთვე შაშხის ან ლორის ძვალი. ასეთ ძვალს ჯერ სხვენზე შეაგდებენ და იქა გდია, სანამ კარგად არ გახმება. ნაწი მზადაა. ხმარების წინ ლეღვის ჩხირით აურევენ და მერე ჩაასხამენ ყველად შესადედებელ რძეში. ყოველ დილა-საღამოს ახალ-ახალ შრატს ჩაუმატებენ სანაწე ჭურჭელში ნაცვლად დახარჯულისა. გარდა ამისა, ყოველ კვირა სამ-სამ კბილ მარილს ჩააგდებენ.

როგორც ზევითა ვთქვით, ღორის ნაწი ძროხისას სჯობია, – უფრო გამძლეა. როცა კარგი ნაწი უნდათ, ეცდებიან ღორი მთვარის დაბერებისას დაჰკლან, როცა ბნელი ღამეებია (უკუმელა). ღორს რომ გაფუფქავენ, პირველად ნაწს ამოიღებენ, ზემოაღწერილის წესით დაამარილებენ და შეინახავენ. მხოლოდ,– ამბობენ,– მარილმა მანამდე უნდა უკბინოს ნაწს, სანამ დაკლული ღორის ხორცს გემოთი ნახავდეს პატრონიო. ეს აუცილებელი პირობაა, თუ გინდა ნაწი კარგის ღირსებისა გამოგივიდეთო.

არის კუდევ ერთნაირი ნაწი, რომელიც ყველას სჯობია და, ამასთან, ყველაზე ძვირია. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული **"ქვეცერე"** ანუ ქართულად – დვრიტა. მხოლოდ დედის რძით ნაკვებ ბატკანს ან ციკანს რომ დაჰკლავენ, კუჭიდან ამოუღებენ აყველებულ ხსენს (**"ქვეცერე"**), გაახვევენ რაშიმე და შეინახავენ. როცა დასჭირდებათ, თითო ბეწოს რძეში გაურევენ და ისიც აიჭრება.

ნაწისგან აჭრილ რძეს ქვაბიდან ყველის ამოღების წინათ ცოტას გაათბობენ ცეცხლთან. ამოღებულ ჭყლინტ ყველს აშვამკიათაზე შესდებენ მაღლა, რომ ძაღლები არ შესწვდნენ. ასეთი ამოღებული კვერეული ყველი მწყემსებში დიდ ხანს არ რჩება: ორი-სამი დღის განმავლობაში იხარჯება, რადგან ღომის მაგივრადაც იმასა სჭამენ და ყველის მაგივრადაც. სულუგუნად (გადაზელილი ყველი) თხის მწყემსები ჭყლინტ ყველს არ აკეთებენ, თუ აკეთებენ, ისიც თითო-თითოს, შინ წასაღებად.

ყველის ამოღების შემდეგ შრატისგან მთაში არაფერს აკეთებენ, პირდაპირ ძაღლებს უსხავენ. ყველის გარდა მწყემსებთან ერთნაირ საჭმელს შეხვდებით. ეს არის **"ქიფური"**, რომელიც ბარად არ იციან. ამ საჭმელს ძალიან ეტანებიან მთაში და სულ უბრალოდაც აკეთებენ. მაწონს **"ქასლაშში"** (გაფხეკილი და გუდასავით შეკერილი თხიერი) ჩაასხამენ, იქით-აქეთ ყურებში ხელს დაავლებენ და ერთი საათის განმავლობაში აჭანჭყარებენ, მერე მზის გულზე დაჰკიდებენ. თუ მწვავე მზეა, 3-4 საათი სამყოფია, რომ მაწონი ადუღდეს და ის მარგებელი და საამო მთის საჭმელიც მზადაა, რომელსაც ქიფურს ეძახიან.

სულუგუნების კეთებას უფრო მეძროხეები მისდევენ. იმათი გაკეთებული სულუგუნი ერთიდან სამ გირვანქამდე იწონის, ზოგნი, საჩუქრად აკეთებენ სულუგუნს, რომელიც 20 და მეტი გირვანქა გამოდის.

კარაქისა და ერბოს კეთება, მსგავსად სამეგრელო-აფხაზეთისა, არც იქ იციან. ერბო სამურზაყანოს დაბებში რუსეთიდან მოაქვთ, ერბოს ეზიდებიან აგრეთვე ლაზები და გირვანქა ორ აბაზად და ხშირად ათ შაურად იყიდება.

მწყემსები ბარად ბრუნდებიან მარიამობისთვის გასულს, როცა მთაზე ძალზედ აცივდება და ხშირად თოვლსაც დასდებს ხოლმე. ამ დროს ჰკრეჭენ კიდეცა ცხვარსა. აქაური საქონელი მატყლს ცოტას იძლევა და მდარეც არის, რადგან თვითონ საქონელი წვნიკის ჯიშისაა. ერთი კანძი მატყლი ერთი **"ქიტა"** გამოდის, ანუ წონით ერთი ლაღარკონი (ნახევარი გირვანქა) და ათ შაურად იყიდება, ისიც სოფლად. ოქუმში ძალიან მცირედი გასავალი აქვს აქაურ მატყლსა, რომელსაც დიდ ცილობას უწევს თბილისიდან მოტანილი მატყლი. ლაღარკონი ამ უკანასკნელისა აქ 60-80 კაპიკი ფასობს.

მატყლისაგან სამურზაყანოში ნაბდებსა სთელავენ. აქ მოთელილ ნაბადს თითოს ოთხი ქიტა მატყლი უნდება, ასე რომ ნაბდის გამკეთებელს თითონ მასალა (4 ქიტა მატყლი) 2 მანეთი უჯდება. თუ ორი დღის შრომაც, ნაბდის მოსათელად საჭირო, დღეში სამი აბაზი ჩავაგდეთ, – ნაბადი დაჯდება 3 მან. და 20 კაპიკი. გასავალი კი აქაურ ნაბადს თითქმის არა აქვს. ოქუმში ვაჭრები მანეთად ან ექვს აბაზად თუ იყიდიან. უმეტეს შემთხვევაში, ვაჭრები ნაბდებში სოფლელთ საქონელს აძლევენ ფულის მაგივრად: ფართლეულობას, მარილს და სხვა, ისიც რის ხვეწნითა და დავიდარაბით. აქაურ ნაბდებს უფრო დაბალი ხალხი ხმარობს. ვისაც ცოტათი არის, თავი მოაქვს, სოფელ ჯვარიდან (ზუგდიდის მაზრა) მოტანილ ნაბდებსა ჰყიდულობს.

მატყლისგანვე აკეთებენ საჩოხე და საძიქვე შალებსა, თუმცა დაბალი ხარისხისას. წყთა აქაური შალისა იყიდება შაურად, ყაბალახი – მანეთად და ექვს აბაზად.

აქაური საქონელი დასაკლავადაც იყიდება კარგა ძალი, განსაკუთრებით სალოცავებისათვის. სამურზაყანოში იშვიათად ნახავთ ოჯახსა, რომ წელიწადში სამნაირი სალოცავის სამსახური არ ემართოთ. თითოეულ მათგანს თათო თავი საკლავი სჭირია. ახლა ამას მიუმატეთ მკითხავის რჩევით შეწირული საქონელი! ზოგი მოსახლე-მწყემსი წელიწადში 200 მანეთის საკლავს გაჰყიდის.

**სარწმუნოება სამურზაყანოელ მწყემსისა. – მიქამ-გარიო. – მთის წყალი. – ჩაქუხა. – წყალში ბანაობა აკრძალულია. – მიქამ-გარიოსტობა. – მთა და თაყვანისცემა. – ნაშთი ასტროლატრიისა. – ჯუჯა ხალხი და ადამიანის გაჩენა.**

ათასში ერთხელ ულხინს აქაურ მწყემსსა. გაჭირვება განუყრელი თანამგზავრია მისი ცხოვრებისა. ხშირად ხდება ხოლმე მსხვერპლი ულმობელი ბუნებისა. ამ გარემოებამ აქაური მწყემსი იძულებულჰყო მფარველი ეძებნა, ძლიერი, უხილავი. მისმა ფრთა-შესხმულმა ფანტაზიამ თავისი მფარველი უზენაეს ძლიერებასთან ერთად ხორციელი ადამიანის გრძნობა-სურვილით შეჰმოსა. მწყემსი ცდილობს ეგ მისი მფარველი მოისყიდოს, გული მისი მოიგოს ლოცვითა, ტკბილი სიტყვა-პასუხით, საამო ქცევითა და უმეტესად – შესაწირავებითა.

მწყემსების ყველაზე დიდ მფარველად მთავარ-ანგელოზი მიქელ-გაბრიელი ითვლება, რომელსაც აქ **"მიქამ-გარიოს"** ეძახიან. მეორე სახელიცა ჰქვიან – ერგე. მიქამ-გარიო არის პატრონი მთისა, მას მორჩილებენ ცის მნათობნი. უიმისოდ მზეს არ შეუძლიან დილის ბალახზე დამსხდარი მარგალიტები ნამისა ათასფრად ააბრჭყვიალოს; უიმისოდ ღამის გუშაგი – მთვარე ვერ ამოვა და საოცნებოდ ვერ დაასურათხატებს ათასი წლობით ნაგებსა და მედიდურად წამოზიდულ ბუმბერაზ მთის მწვერვალებსა და კალთებს; მიქამ გარიოს ნებაზედ დგას დარი მთაში, როცა უბინაო მწყემსი ბუნების წიაღზე იძინებს ტკბილად თავის შვილივით ნაზარდ და ნალოლიავები საქონლის გვერდით; მიქამ-გარიოს ნებაზე არის დამოკიდებული ელვა-ქუხილი და კოკისპირული წვიმის მოსვლა, რომელიც ხანდახან ისე დიდია ხოლმე, რომ, გეგონებათ, მთლად უნდა ჩამორეცხოს კაციან-საქონლიანად მთაო.

ამიტომ, ადვილი ასახსნელია ის მოწიწება, ის კრძალვა, უდიდეს სასოებასთან შეერთებული, რომელსაც აქაური მწყემსები მიქელ-გაბრიელისადმი ჰგრძნობენ. ადვილად ასახსნელია ის ზრუნვაცა მისი მომადლიერებისათვის, ზრუნვა მათ თავზე გადმოვლინებული რისხვა-წყრომის აცილებისათვის.

როცა მთაში წვიმს, მწყემსები დიდ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე, გარს შემოუსხდებიან და ერგე-აშვას (ერგე აფხაზურად – მიქელ-გაბრიელი და აშვა – სიმღერა, ე.ი. მიქელ-გაბრიელის სიმღერას ამბობენ). უმღერიან მიქელ-გაბრიელს, ადიდებენ: ძლიერი ხარ, ჩვენ უშენოდ არაფერი შეგვიძლია, შენ გლოცულობთ, შენს წყალობას ნუ მოგვაკლებ, საქონელს ნუ შეგვიწუხებ.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

## *ალექსანდრე ანქვაბი: მთავარია სიკეთე, უარვყოფ შურს, სიბოროტესა და ღალატს*

**– ბატონო ალექსანდრე, მალე ერთი წელი გახდება, რაც არჩევნებში გაიმარჯვეთ და აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტი დაიკავეთ. დროა შევაჯამოთ პირველი შედეგები. რა მოგაჩნდათ თქვენ უპირველეს ამოცანად და რომელი პრობლემები გაღელვებთ დღეს ყველაზე მეტად?**

– მე 2005 წლიდან გახლავარ აფხაზეთში მიმდინარე ყველა პროცესის მონაწილე. ყოველთვის ვცდილობდი შევჭიდებოდი რეალურ ამოცანებს. ახლა კი ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებ მუშაობას.

გასული წელი მძიმე სამუშაოებს მოვახმარე, მინდოდა ყველა პრობლემას დაწვრილებით გავცნობოდი, გავცნობოდი თითოეული ადამიანის ლხინისა თუ გასაჭირის მიზეზებს, მსურდა, რომ ჩემი საქმიანობა მაქსიმალურად სარგებლიანი გამეხადა ქვეყნისა და ხალხისათვის.

რითი სულდგმულობს დღეს ჩვენი რესპუბლიკა? ალბათ ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა ამოცანების წინაშე დგას ომგადატანილი ქვეყანა, რომელიც, მართალია ოცი წლის წინ დამთავრდა, მაგრამ მძიმე შედეგები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. მართლაც მძიმე მდგომარეობაშია ქვეყანა, და მე, როგორც ქვეყნის მეთაური, ჩემს გუნდთან ერთად, ვალდებული ვარ ყოველნაირად დავეხმარო აფხაზეთის თითოეულ მოქალაქეს მის წინაშე მდგომი სიძნელეების გადალახვაში.

სოფლების უმრავლესობა ძირფესვიანად იყო დანგრეული. მრავალი ოჯახი გვყავს, რომელმაც მარჩენალი დაჰკარგა, დარჩა ინვალიდების ამარად და ამან არ შეიძლება უარყოფითი დაღი არ დაასვას ქვეყნის განვითარების ერთიან პროცესებს. გვიძნელდებოდა ეკონომიკური კავშირების გაძლიერება ქვეყნის გარეთ და ბიუჯეტის ხარჯზე მყოფი თანამშრომლები, ფაქტიურად, გასამრჯელოს გარეშე, ლუკმა პურის ფასად ემსახურებოდნენ სამშობლოს. ახლა კი ქვეყნის ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და ჩვენ საკუთარ ძალბში დარწმუნებულები ვაშენებთ ქვეყნის მომავალს.

**– 2012 წლის თებერვალში თქვენზე მორიგი თავდასხმა მოეწყო. გაიხსნა თუ არა ეს დანაშაული? როგორ ფიქრობთ, ვის უშლის ხელს აფხაზეთის პრეზიდენტი?**

– დანაშაული გახსნილია, დაკავებულია ადამიანთა ჯგუფი და მიმდინარეობს გამოძიება. და ამ პროცესებში ჩარევად რომ არ ჩამეთვალოს, ამ ფაქტზე კომენტარს აღარ გავაგრძელებ... ვის ვუშლი ხელს? ალბათ ვიღაცას არ სიამოვნებს კანონის შესაბამისად ცხოვრება და საქმიანობა, მაგრამ თუ თავი სახელმწიფოდ გამოვაცხადეთ, მაშინ კანონებს უნდა დავემორჩილოთ კიდეც. ამდენად, თავდასხმაში მნიშვნელოვანი არა ჩემი ფიგურა, არამედ სახელმწიფოს ინსტიტუტის ხელყოფა, რომლის მონაწილეებიც მკაცრად უნდა დაისაჯონ.

ჩვენ კი სხვა საზრუნავიც თავსაყრელად გვაქვს – ჩვენი მოქალაქეები საჭიროებენ სამედიცინო და სოციალურ მხარდაჭერას. რესპუბლიკაში ძალიან დიდია გულის სისხლძარღვთა დაავადებებით გატანჯულ ხალხთა რიცხვი, უამრავი ადამიანი იღუპება ონკოლოგიური დაავადებით, მათი მკურნალობა კი საკმაოდ ძვირი ჯდება. არც იმდენი ადგილები გვაქვს საავადმყოფოებში, რომ ყველას ადგილზე მკურნალობა მოვახერხოთ და იძულებული ვართ გამოვძებნოთ სახსრები მათ უცხოეთში სამკურნალოდ გასაგზავნად. არა და, დიდ ხარჯებს მოითხოვს გზების შეკეთება, ელექტროენერგიის შეუფერხებლად მოწოდება, ქალაქის სუფთად შენარჩუნება, რომელსაც უაღრესად გართულებული ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებშიც ვახერხებთ – ჩვენ ხომ საკურორტო ზონას წარმოვადგენთ, დამსვენებლებს კი სრული კომფორტის პირობებში თუ მოვიზიდავთ. ყველაფერზე ფულადი სახსრები არ გვყოფნის...

**– ძირითადად რა უშლის ხელს ქვეყანაში თანხების ინვესტირებას?**

– როგორც მოგეხსენებათ, ფულს სიმშვიდე უყვარს. თუ ჩვენ მოვახერხებთ და მივცემთ ინვესტორებს მათ მიერ დაბანდებული თანხებისა და მატერიალური საშუალებების სახელმწიფო დაცვის გარანტიებს, ისინი უფრო მეტად დაინტერესდებიან ჩვენი ქვეყნით და ინვესტორთა რიცხვიც განუხრელად გაიზრდება. ჩვენ დღეს აქტიურად ვმუშაობთ ამ პრობლემის მოგვარებაზე. როგორც იცით, დანგრევას წამები სჭირდება, დანგრეულის ასაშენებლად კი, ხშირად, დიდი დროა საჭირო!

**– თქვენ, ისევე, როგორც უამრავ მსხვილ სახელმწიფო მოღვაწეს, თავისუფალი დროის დიდი დეფიციტი გაგაჩნიათ. გაქვთ თუ არა რაიმე ჰობი, რა საქმიანობას ახმართ თავისუფალ დროს?**

– ერთადერთი დღე, როცა თავს დასვენების უფლებას ვაძლევ, მაგრამ არ ვთიშავ ტელეფონს, არის კვირა. ამ **"ბედნიერ"** დღეს მე ვერთობი მეგობარ-ნათესავებთა ერთად, ვაჭმევ და ვუვლი საკუთარ ძაღლებს, ვმასპინძლობ სტუმრებს, ვიხსენებ მამა-პაპურ სადღეგრძელოებს და არც რამდენიმე ჭიქა ღვინოზე ვამბობ უარს.

**– სად ცხოვრობენ თქვენი შვილები? ცხოვრების რომელი გზა აირჩიეს მათ? გაჰყვნენ თუ არა თქვენს ნაკვალევს? რა უფრო აინტერესებთ – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება თუ ბიზნესი?**

– უმცროსი შვილი – ინალი მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლობს, უფროსმა შვილმა – ალექსანდრემ კი დაამთავრა მოსკოვის იურიდიული აკადემია და ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას. ბიზნესი და პოლიტიკა არ აინტერესებთ.

**– ადამიანის რომელი თვისება გხიბლავთ უპირველესად? რა არ გიყვართ?**

– მთავარია სიკეთე. კატეგორიულად უარვყოფ შურს, სიბოროტესა და ღალატს, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შელევია ადამიანთა გარკვეული ჯგუფი.

**– გაქვთ რაიმე ოცნება?**

– ჩემი ოცნება გახლავთ ის, რომ ყველა ჩემი ოცნება, რომელიც აფხაზეთს და აფხაზებს დასტრიალებს, მალე განხორციელდეს. მსურს, რომ ბავშვებმა, რომლებიც ახლა დაიბადნენ, ან მომავალში დაიბადებიან, უზრუნველად იცხოვრონ ბედნიერ ქვეყანაში, რომ მათ არ იცოდნენ, თუ რა არის ომი და დავიდარაბა, რომ იყვნენ განათლებულები, პატივი სცენ მხცოვან ადამიანებს და იყვნენ თავისი სამშობლოს ღირსეული შვილები და მუდამ მზად იყვნენ მის დასაცავად!

გვერდში გამოყენებულია აფხაზეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო "აფსნი პრესის" მასალები

## პუტინმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს იუბილე მიულოცა

რფ-ის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს **ილია მეორეს** საიუბილეო თარიღები მიულოცა და ხაზგასმით აღნიშნა მისი თბილი დამოკიდებულება რუსეთისადმი.

**„მიიღეთ გულითადი მილოცვა თქვენი პატრიარქად მოღვაწეობის 35-ე წლისთავსა და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით... ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს თბილ დამოკიდებულებას რუსეთისადმი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. ვაფასებთ თქვენს მალისხმევას და მოწოდებას მშვიდობისკენ, სიყვარულისა და ურთიერთგაგებისკენ, რომელიც ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის მრავალსაუკუნოვანი, მეგობრული ურთიერთობების რთულ პერიოდში შენარჩუნებას. დარწმუნებული ვარ, რომ სულიერი, კულტურული და ჰუმანიტარული დიალოგი არის მყარი საფუძველი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის“,** — ნათქვამია რფ-ის პრეზიდენტის მისალოც დეპეშაში, რომლის **ტექსტიც კრემლის ოფიციალურ საიტზეა** განთავსებული და რომელიც კულტურის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა მიხეილ შვიდკოიმ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში მიმდინარე კონფერენციაზე წაიკითხა.

შვიდკოიმ უწმინდესს რუსეთის პრეზიდენტის სახელით ხატი გადასცა და აღნიშნა, რომ **"ხატმა არამშვიდობიან და კონფლიქტურ პერიოდში ხშირად აღმოუჩინა დახმარება რუსეთს".**

## აზერბაიჯანელი ექსპერტები ივანიშვილის განცხადებას ეხმიანებიან

აზერბაიჯანული მედია საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ეხმიანება იმის შესახებ, რომ **"ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა კითხვებს იწვევს".** როგორც ბაქოელ ჟურნალისტებთან საუბრისას ადგილობრივმა ექსპერტებმა აღნიშნეს, **"ამ განცხადებამ გარკვეული მოსაზრებები დაბადა, რომელმაც შესაძლოა, პრემიერი და პრეზიდენტი ერთმანეთის პირისპირ დააყენოს".**

ექსპერტი ენერგეტიკულ საკითხებში, სანავთობო კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ილჰამ შაბანი მიიჩნევს, რომ **"ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადება სააკაშვილისკენ უფროა მიმართული, ვიდრე აზერბაიჯანისკენ".**

**"სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო აზერბაიჯანისგან 700 მილიონი დოლარის კრედიტი. ივანიშვილს მშვენივრად ესმის, რომ კრედიტი მან უნდა დააბრუნოს და არა სააკაშვილმა. მას გაუჩნდა შეკითხვები: "სად წავიდა პირველი 200 მილიონი, რომელიც 29-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობისთვის გამოიყო? სად არის კიდევ 500 მილიონი, რომელიც თითქოსდა უკვე არსებული 140 კილომეტრიანი მონაკვეთის რემონტზე დაიხარჯა? ივანიშვილმა მშვენივრად იცის სააკაშვილის სუსტი წერტილი. ეს მოვლენები მაგონებს უკრაინულ სცენარს, რომელშიც იანუკოვიჩი და ტიმოშენკო მონაწილეობენ. ახლა კრედიტების დაბრუნების დრო დადგა",** — აცხადებს შაბანი.

რუსი ექსპერტი ანტონ ევსტრატოვი ბაქოს მხრიდან საპასუხო ზომად საქართველოსთვის აზერბაიჯანულ გაზზე ფასის შესაძლო მომატებას მიიჩნევს, თუმცა არა უახლოეს პერსპექტივაში.

**"ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საცდელი განცხადება გააკეთა და ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ის მომავალში. ამას გარდა, დღესდღეობით, საქართველოს პრეზიდენტი კვლავ მიხეილ სააკაშვილია, რომელიც აზერბაიჯანისთვის მეგობარი პოლიტიკოსია და პრემიერ-მინისტრის მისამართით კრიტიკული განცხადებით უკვე გამოვიდა. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ სიტუაცია გაზზე ფასების ამაღლებამდე მივა, ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს მათი უახლესი ისტორიის მანძილზე ყველაზე მეტად გააფუჭებს",** — აღნიშნა ევსტრატოვმა და დასძინა, რომ ქართულ-აზერაიჯანული ურთიერთობების გამწვავება ისედაც გართულებულ რეგიონში კიდევ უფრო სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს.

**"საქართველო ერთი-ერთზე დარჩება რუსეთთან (განსაკუთრებით — იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტად ივანიშვილის მომხრეს აირჩევენ), აზერბაიჯანს კი თურქეთის დახმარებით საქმე ექნება სომხეთთან და მთიან ყარაბაღთან, რომელსაც ასევე რუსეთი უჭერს მხარს. ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ დივიდენდებს სწორედ ეს უკანასკნელი მიიღებს. ფასების მომატება და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავება მოვლენების განვითარების ყველაზე რადიკალური ვარიანტია",** — აღნიშნა ექსპერტმა.

**საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ფარჰად მაჰდიევი კი მიიჩნევს, რომ ოფიციალური ბაქო ივანიშვილისგან მსგავს განცხადებებს მომავალშიც უნდა ელოდოს.**

**"ის ბიზნესმენია და ყველაფერში მოგებას ეძებს. ვფიქრობ, აზერბაიჯანისთვის მისი ჭკუაზე მოყვანა რთული არ უნდა იყოს",** — აღნიშნავს ექსპერტი.

ამას გარდა, მაჰდიევი თვლის, რომ ივანიშვილის განცხადებები ორი ქვეყნის ისტორიაში შესაძლოა, ახალი გვერდის დასაწყისი იყოს, ამ გვერდის პირველი ხაზი კი შემდეგი გამოთქმით უნდა დაიწყოს: **"მეგობრობა — მეგობრობად, მაგრამ კრედიტების გადახდა მოგვიწევს".**

სხვა აზრი გააჩნიათ ამ საკითხის თაობაზე ქართველ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს, რომლებიც არც თუ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, რომ **"ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა"** საკმაოდ წამგებიანი იქნება საქართველოს ეკონომიკისათვის, რადგან, ამ შემთხვევაში, დაიკლებს ტვირთბრუნვა ბათუმისა და ფოთის პორტებში და ძველებურად ინტენსიურად აღარ დაიტვირთება ბათუმი-ბაქოსა და ფოთი-ბაქოს რკინიგზის მონაკვეთი.

მიხეილ სააკაშვილი რომ ყველაფერს საქართველოს საზიანოდ აკეთებდა, ამაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, ამიტომ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ სააკაშვილის ლობირებით გაყვანილი აღნიშნული პროექტი საქართველოს ეკონომიკისათვის კიდევ ერთი მძიმე დარტყმის მცდელობა იყოს.

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ ვერაგული განაზრახის სისრულეში მოსაყვანად იცავდნენ სააკაშვილი და მისი დამქაშები **"ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა"**-ს. თუმცა, აქ იკვეთება კიდევ ერთი საეჭვო გარემოებაც — **"ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობისათვის"** აზერბაიჯანის მიერ გამოყოფილი შეღავათიანი 700 მილიონი დოლარის კრედიტიდან სადღაც გამქრალია 300 მილიონი დოლარი, რაც, ეჭვსგარეშეა, არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკების ჯიბეებშია დალექილი. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ, აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მონიტორინგი სწორედ ამ ჩინოვნიკებს არ აძლევს ხელს, რათა კიდევ უფრო არ დამძიმდეს მათი ისედაც მძიმე მდგომარეობა.

მაგრამ, როგორც ამბობენ "შუბი ხალთაში არ იმალება" და მალე **"ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის"** ამ საეჭვო ასპექტებსაც აეხდება ფარდა და დამნაშავე პირები საკადრისად დაისჯებიან.

**საქ. ინფ.**

## "ნუ დახურავთ ბიბლიოთეკებს!"

რამდენიმე დღის წინ მასმედიამ სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების თანამშრომლებისა და მკითხველების მიმართვა მიიღო. წერილის ავტორები შეშფოთებული არიან, რომ შესაძლოა თბილისის მერიის ხელშეწყობით ქალაქში ახლად გახსნილმა თბილისის მედიათეკების გაერთიანებამ, რომელსაც ქალბატონი მაკო ჭოღოშვილი ხელმძღვანელობს, შეიერთოს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა ფილიალებით, ქალბატონმა მაკო ჭოღოშვილმა კი, რომელსაც ამ საქმის არაპროფესიონალად მიიჩნევენ, გენერალური დირექტორის პოსტი დაიკავოს.

**მანონი ხორავა, მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო განყოფილების თანამშრომელი:** — 1909 წელს გაიხსნა ეს ბიბლიოთეკა, 103 წლისაა და უდიდესი ტრადიციების მქონეა. აქ უნიკალური ფონდი გვაქვს. მარტო ძმები ზუბალაშვილების არქივი რად ღირს! ყოველთვის **"მცირე საჯარო ბიბლიოთეკას"** გვიწოდებდნენ. ძალიან მნიშვნელოვანი იმითაც ვართ, რომ წიგნების ბიბლიოგრაფიულ ანალიტიკურ აღწერილობას ვაკეთებთ. 2003 წელს ერთხელ უკვე გადავარჩინეთ ბიბლიოთეკა — შპს **"მასპინძელი"** გვასახლებდა შენობიდან და მკითხველებისა და თანამშრომლების ძალისხმევით ბიბლიოთეკა შევინარჩუნეთ. შემდეგ უკვე, 2006 წელს, პრეზიდენტის ბრძანებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოგვენიჭა და **"თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა"** დაგვერქვა. 60-მდე ფილიალი გვქონდა ქალაქში, მერე კი, განათლებისა და მეცნიერების სისტემის განადგურებასთან ერთად, შეგვამცირეს და დღეს მხოლოდ 43 ფილიალი გვაქვს. 2008 წლიდან ახალ შენობაში ანუ აქ, ტოვსტონოგოვის ქუჩის №2-ში, გადმოგვიყვანეს. შენობა გარემონტებულია და თანამედროვე ტექნოლოგიითაა აღჭურვილი. კარგად გვესმის, რომ ტექნიკური პროგრესის საუკუნეში ელექტრონული წიგნებიც საჭიროა, მაგრამ ნაბეჭდი წიგნი ხომ აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს! მედიათეკების გაერთიანებას ჩვენს ბიბლიოთეკებსაც თუ მიუერთებენ, მედიათეკა ჩაგვყლაპავს, სიტყვა **"ბიბლიოთეკაც"** კი დაიკარგება. ჩვენმა დირექტორმა, ქალბატონმა ციალა კალმახელიძემ წლების განმავლობაში იმდენი იბრძოლა ბიბლიოთეკების შესანარჩუნებლად, ახლა კი, ალბათ, მადლობას ეტყვიან მუშაობისთვის და სამსახურიდან დაითხოვენ, არადა, ჩვენი არჩეულია და ამის უფლება არ აქვთ. წარმოგიდგენიათ, საახალწლოდ ხელფასების გაზრდას ველოდით და კარგ სიურპრიზს კი გვიწყობენ!

**ცისანა ქოჩიჩაშვილი, ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი:** — სრულიად უაზრო და ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა. ახალი ხელისუფლება უეჭველად გადახედავს კულტურის კანონს და საბიბლიოთეკო საქმის ახალ კანონსაც მიიღებს, სადაც წიგნიც იქნება ნახსენები და მედიათეკაც. მათი თანაარსებობა აუცილებელია, მაგრამ დაუშვებელია, ელექტრონულმა ბიბლიოთეკამ, ანუ მედიათეკამ წიგნი შეავიწროოს. ჩვენს დირექტორს დღეს მოადგილეობას რომ სთავაზობენ და ეუბნებიან, გაერთიანების დირექტორმა საბიბლიოთეკო საქმის არაფერი იცის და შენ უნდა ასწავლოო, შეურაცხმყოფელი არ არის?

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა და მკითხველთა მოსაზრებასა და შეშფოთებაზე კომენტარი ქალბატონ **მაკო ჭოღოშვილს** ვთხოვეთ:

— არ ვიცი, რას ფიქრობს მერიის კულტურის სამსახური. მე მედიათეკების გაერთიანების დირექტორი ვარ, საბიბლიოთეკო გაერთიანება კი ცალკეა. მედიათეკა იქნება თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელშიც ელექტრონული წიგნებიც იქნება და ნაბეჭდიც. ის, ალბათ, დაუკავშირდება კიდეც ბიბლიოთეკებს, მაგრამ ეს კავშირი შიშს რატომ იწვევს, ვერ ვხვდები.

**— იმიტომ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ ბევრი ბიბლიოთეკა დაიხურა.**

— მე იმხანად კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი და ამ პროცესში არ ვმონაწილეობდი, მაგრამ, როგორც ვიცი, ამაში ჩართული იყო ქალბატონი ციალა კალმახელიძე, მის გარეშე არაფერი მომხდარა და მერიასთანაც არასდროს ჰქონია გაუგებრობა. ბიბლიოთეკას ახლაც თავისუფლად შეუძლია მიმართოს მერიას და არა მე, რომელიც მას არ ვხელმძღვანელობ და, შესაბამისად, ვერც რაიმეს დავპირდები, ვერც დავემუქრები.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მერიის შენობასთან აქცია მოაწყვეს: **"ნუ დახურავთ ბიბლიოთეკებს".** აქციის ექვსი წარმომადგენელი შეხვდა სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ მამუკა ქაცარავას, რომელმაც განაცხადა, რომ ბიბლიოთეკარებს არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ და მათ ვერ გაიგეს ტერმინი **"ლიკვიდაცია".** მერიიდან ჩვენს კითხვებსაც უპასუხეს: **"თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა"** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დააფუძნა, მისი ქონების ნაწილი კი ეკუთვნის თბილისის მერიას, ნაწილი — ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა.

ბიბლიოთეკას მთლიანად თბილისის მერია აფინანსებს. იმისათვის, რომ ქონებრივი და ფინანსური საკითხები ერთიან სამართლებრივ სივრცეში მოქცეულიყო, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გადმოსაცემად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მივმართეთ, მაგრამ ჯერ დაწესებულების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს, შემდეგ კი ის მერიამ უნდა დააფუძნოს. რაც შეეხება მედიათეკას, მისი კონცეფცია, ინფრასტრუქტურითაც და შინაარსითაც ბიბლიოთეკისგან განსხვავდება... წიგნებთან ერთიან სივრცეში კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებისა და უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების არსებობა, მკითხველისათვის (მათ შორის უმცროსი ასაკის) მრავალფეროვანი სერვისის მიწოდება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მკითხველის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას, ისე წიგნის პოპულარიზაციას და საზოგადოების საგანმანათლებლო-შემეცნებითი დონის ამაღლებას. ამ მიზნით ძველი ბიბლიოთეკების გამოყენება წარმოუდგენელია, რადგანაც მათი ფართობი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. სამომავლოდ, თბილისის პარკებსა და სკვერებში კიდევ რამდენიმე მედიათეკის მშენებლობა იგეგმება.

**ი. ხარშილაძე**

### ერთმანეთი გვიყვარდეს

**გასაჭირში გამტანი უღალატო რომ იყოთ,**
**დიდ ერთობის მაგალითს უჩვენებდით მსოფლიოს.**
**მოყვასს ვინც არ დაინდობს თავიც არ ეყვარება,**
**თუკი მოყმე რაინდობს ერი ეთაყვანება.**
**იბერიის ჯიშისავ კახაბერად არ ვიტყვი,**
**საქართველოს ცისკრისას მზეს ამოჰყვა დავითი.**
**ათ ცნებაში იწამეთ მზე ღვთიური ადათი,**
**ერთმანეთი გვიყვარდეს მას არ უნდა კამათი.**
**ჯიშის შთამომავალნო და ბოკვერნო ლომისავ!**
**მტკიცე ფიცი შეკარით, ვით მარაბდის ომისას.**

### შესდექ, შეჩერდი!

**ო, ხმალაღმართულ ძმათა პირისპირ**
**ასე აყვავდა აზრი ჩერჩეტი!**
**ამ ჩემს მიწაზე რას მედავებით,**
**ოსო, აფხაზო, შესდექ, შეჩერდი!**
**აქამდე ძმობის მზე გვინათებდა,**
**ახლა რა გველი შემოგეხვიათ?**
**რამდენი ჩემი გვარის შვილი ხართ,**
**და რამდენი ხართ ჩემი სეხნია?!**
**რად არ ბეზრდებით თოფის ტარებით?**
**უაზრო ტყვია გულს ავაცდინოთ...**
**რამ დაგვაძინა? გავხსნათ თვალები**
**და მტერი ჩვენზე არ გავაცინოთ!**
**უნდა დაგვეგმო სხვათა ღალატი**
**და ღამეც ერთად უნდა გვეთია...**
**უკადრისია ღმერთთან კამათი, —**
**ეს საქართველო თავად ღმერთია!**
**საერთო მტერი ბევრჯერ გვიკაფავს**
**ველზე, დიდგორის, კრწანის-მარაბდის...**
**ჩვენთვის კი არა, საქართველოსთვის**
**ერთად ვიბრძოლოთ აწ და მარადის!**

**გურამ ახალაია,**
**სენაკი**

# „მგელი არ მოდის!“ და... „დავძლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე!“

მეგრულის ზმნური ფონდის 91,7 პროცენტი ზედსართავი სახელისეული წარმომავლობისაა, 1,9 პროცენტი – არსებითი სახელისეული წარმომავლობისა, დანარჩენი 6,5 პროცენტი კი – საკუთრივ ზმნური წარმომავლობისა.

მეგრულის ზმნური ფორმებიდან ექვსივე ხმოვნით (ჸ ) ბგერის ჩათვლით) შიგაგახმოვანებულია 3,9 პროცენტი, 5 ხმოვნით – 39,7 პროცენტი, 4 ხმოვნით – 5,5 პროცენტი, 3 ხმოვნით 5,5 პროცენტი, 2 ხმოვნით – 9,4 პროცენტი და 1 ხმოვნით – 35,9 პროცენტი.

მეგრულის ზმნური ფორმებიდან **ა**-თი შიგაგახმოვანებულია 30,8 პროცენტი, **ე**-თი – 19,5 პროცენტი, **ი**-თი – 17,7 პროცენტი, **ო**-თი – 11,5 პროცენტი და **უ**-თი – 17,7 პროცენტი, )-თი – 2,8.

ანალოგიური მონაცემები დადგენილია, ცალ-ცალკე და ერთობლიობაში, **ბ**-თი, **გ**-თი, **დ**-თი და ასე შემდეგ დაწყებული ფორმებისთვისაც, და ა. შ.

მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონში მოხმობილი მხოლოდ სუფიქსებიანი (ანუ უზმნისწინო-უპრეფიქსებოდ წარმოდგენილი) ფორმები, მათდამი დართვადი მეგრულის დერივატი საგრამატიკო საშუალებების: – ხმოვანი და თანხმოვან-ხმოვანი პრეფიქსების, ზმნისწინების, ქო- დადასტურებითი და ვა- და ვე- უარყოფითი ნაწილაკების მოცემულ ფორმებთან დართვის პირობებში, გვაძლევს ახალ-ახალ სიტყვათა განსხვავებულ რაოდენობებს. მაგალითად, **)**-სუფიქსდართულ (კარკ**)**) ფორმასთან გვაქვს (იკითხება) **1323** სიტყვა (კარკ), მაგრამ: ა-კარკ), ათა-კარკ), ალა-კარკ), აშა-კარკ)... გე-კარკ)... ინო-კარკ) და ა. შ.), **ა**-სუფიქსდართულ (კარკ-ა) ფორმასთან – **44** სიტყვა, **აია**-სუფიქსდართულ (კარკ-**აია**) ფორმასთან – მხოლოდ 2 სიტყვა, **ალ)**-სუფიქსდართულ (კარკ-**ალ)**) ფორმასთან – **561** სიტყვა... **ალანდ)**-სუფიქსდართულ (კარკ-**ალანდ)**) ფორმასთან – **264** სიტყვა, **ალე**-სუფიქსდართულ ფორმასთან (კარკ-**ალე**) **1044** სიტყვა, **ალაფუ**-სუფიქსდართულ (კარკ-**ალაფუ**) ფორმასთან – **1335** სიტყვა და ასე შემდეგ, საშუალოდ ყოველ ერთ სუფიქსიან ფორმასთან კი, როგორც ზემოთ ითქვა, – **573** ფორმა (სიტყვა).

მეგრულის ლექსიკის ზმნური ფონდის და, მის საფუძველზე, ამ ენის მთელი ლექსიკის ესოდენ გასაოცარი, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრე განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

მეგრულის ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) ემყარება 2202 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას;

მეგრულის ზმნურ ფორმებთან (ზმნებთან და სახელზმნებთან) გვაქვს 6 ინფიქსი (ა, ე, ი, ო, უ, )) 86 ზმნისწინი, 5 ხმოვანი პრეფიქსი (ა, ე, ი, ო, უ) ქცევის ნიშნების სახით, 3 თანხმოვან-ხმოვანი პრეფიქსი (მა, ნა, სა), 2 სხვა სახის (უფროობითი ხარისხისა და დანიშნულებითი ფორმების საწარმოებელი ხმოვანი სუფიქსი (უ, ო), 76 პირველადისაწყისისეული სუფიქსი, 336 მეორეული (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსი (მთლიანობაში: 402 პირველადი, მეორეული, მესამეული და ასე შემდეგ წარმოების მარტივი და რთული სუფიქსი) და დერივატი პრეფიქსების სახით წარმოდგენილი ქო- დადასტურებითი და ვა- და ვე- უარყოფითი ნაწილაკები, ანუ, სულ: 504 საგრამატიკო საშუალება, დერივატი (მნიშვნელობამცვლელი) ფუნქციით.

დაბოლოს, რაოდენ პარადოქსულიც უნდა ჩანდეს, კიდევ ასეთი საინტერესო მონაცემები:

მეგრულის მთელი ლექსიკის (1 410 145 286 სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ) წარმომდგენი მეგრულ-ქართული ლექსიკონი (ასეთის შედგენისას), მოიცავს 600-600 გვერდიან 47 000-მდე ტომს, ხოლო თანამედროვე მეგრულში მეტ-ნაკლები სიხშირით ხმარებადად ნავარაუდევი 500 მილიონი სიტყვისგან შემდგარი მეგრულ-ქართული ლექსიკონი მოიცავს 16 666 ტომს, საშუალოდ ერთ გვერდზე 50 სიტყვის განმარტების პირობებში.

მეგრულის ზმნური ფონდის ლექსიკა (1 410 119 286 სიტყვა), ჩვენ, მინი-ლექსიკონის სახით, ცალკეც გვაქვს წარმოდგენილი, პატარა (ზომით 4 სმ X 6 სმ) უბის წიგნაკში, თანაც, მის მხოლოდ 84 გვერდზე. მისი ყოველი ერთი გვერდი, საშუალოდ, ითვლის (აფიქსირებს) 16 787 134 სიტყვას. ამ ლექსიკონის გამოყენებით, ჩვენ, ოჯახის 7-ივე (შიდა და გარე) წევრი, ანუ თანაავტორები ზემოაღნიშნული ოცტომეულისა, რომლებმაც იგი დაახლოებით 3 წელიწადში შევადგინეთ, –აქედან ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის შედგენას კი დაახლოებით 2 წელი მოვუნდით, – ამჯერად მას მხოლოდ ერთ წელიწადში შევადგენთ. აქედან, მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონს, იმავე 16 ტომის მოცულობით, სულ რაღაც 5-6 თვეში შევადგენთ, რასაკვირველია, საამისოდ ჩვენ მიერ მიგნებული სათანადო ხერხების გამოყენებისა და ამ საქმეში მიღებული პირადი გაწაფულობის წყალობით. მაგრამ, დავუშვათ და, აღნიშნული მინი-ლექსიკონი რაიმე მიზეზით ხელთ არც კი გაგვაჩნდეს და მისი ხელახლა შედგენა დაგვჭირდეს, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მისი შედგენა ჩვენი მრავალწლიანი მუშაობის შედეგს წარმოადგენს, ახლა უკვე, მას, სულ რაღაც 8-10 დღეში შევადგენთ. საამისოდ მხოლოდ ათიოდე გვერდი საწერი ქაღალდი და ერთი ცალი ავტოკალამი დაგვჭირდება. აღნიშნული მინი-ლექსიკონის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მას ჩვენს გარდა (იგულისხმება ოჯახის შიდა და გარე წევრი თანაავტორები ჩვენი ოცტომეულისა), ჯერ-ჯერობით ვერავინ ვერ გამოიყენებს. მომავალში კი მისი გამოყენება შეეძლებათ სხვებსაც, ვინც მეგრულ ენას, რა დასამალია და, ჩვენებრ დაეუფლებიან.

სხვა მონაცემებს აქ არ წარმოვადგენთ და სპეციალისტებისა და სხვა მკითხველების წინაშე დავსვამთ სამიოდე კითხვას:

**გსმენიათ კი, ან წაგიკითხავთ სადმე, რომ აქამდე ამგვარი მონაცემები მოეპოვებინა და გააჩნდეს რომელიმე სხვა მეცნიერ-მკვლევარს?**

**შეიძლება კი, წარმოვიდგინოთ, ენათმეცნიერი (და არა მხოლოდ ენათმეცნიერი), რომლის დაინტერესება (განსაკუთრებული დაინტერესებაც) არ გამოიწვიოს ამგვარმა მონაცემებმა?**

**მაშ, რა სჭირთ ე. წ. „ოფიციოზის“ წარმომადგენელ ქართველ ენათმეცნიერებს, ვინც, სამარისებურად სდუმან აქამდე? – შიში არარსებული (ილუზიური) „მეგრული სეპარატიზმისა“?; მეგრელთმოძულეობა?; შური? საკუთარი არაკომპეტენტურობა?; მეგრულის ფრიად დიდმნიშვნელოვანი თავისებურებების (ლექსიკის ფანტასტიკური სიმდიდრე; ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხლად შემონახვა; საგანთა უნივერსალური სამყაროს გასაოცრად ზედმიწევნით მოდელირება...) წარმოჩენის პირობებში მასთან შედარებით ქართული ენის შესაძლო დაკნინების შიში? (მაგრამ რატომ არ გვრის ამგვარ შიშს სხვა ენების მატარებლებში და რატომ იწვევს მათში მეგრულის საინტერესო მონაცემები აშკარა აღტაცებას და არა გაღიზიანებასა და აუტანლობას?); იქნებ, ყველაფერი ეს, და სხვა რამეც, ერთად აღებული?**

**ხომ არ ჰგონიათ, ზოგ-ზოგებს, რომ მეგრული ენა არ წარმოადგენს ერთ-ერთ ქართველურ ენათაგანს და უცხო სხეულია საერთო ქართულ სივრცეში?**

**არა, ბატონებო! ეს ასე არ არის!**

მართალია, მეგრული, ასევე ლაზური და სვანური ენები არ წარმოადგენენ ქართველურ ენებს ამ სიტყვის (ტერმინის) პირდაპირი მნიშვნელობის მიხედვით, ვინაიდან სიტყვა **„ქართველური“** მიღებულია სიტყვა **„ქართულიდან“**, უფრო ზუსტად, სიტყვა **„ქართლურიდან“** და მათზეა გადატანილ-მიკუთვნებული (იხ.: 1) **ზ. გამსახურდია**, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990, გვ. 290; 2) **ი. ყიფშიძე**, მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა, ს.-პ., 1914, გვ. 10), მაგრამ ესენი, საკუთრივ ქართულთან ერთად, წარმოადგენენ იაფეტურ ენებს, გენეტიკურად ერთი საერთო წინაპარი ენიდან – იაფეტური ენიდნ მომდინარე ენებს.

ვინმე მეგრელთმოძულემ ზემოაღნიშნულზე რამე ინტრიგა რომ არ ჩამოაგდოს, ზ. გამსახურდიას შეფასებას მითითებული ნაშრომიდან აქვე მოვიტანთ: **„ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივე ისტორიულ საქართველოსთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები“ არ არიან, და, არც უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან (ხაზგასმა ჩვენია. – მ. ძ., ც. ძ.). ეს შეიძლება შევადაროთ სემიტებისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ქართველური არის რასსიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი, ვიდრე ეროვნული. არის ქართველი ეროვნება და არის ქართველური რასსა, იგივე იაფეტური. აი, სწორედ ის პალეოკავკასიური მოდგმა, იაფეტური მოდგმა, შეიძლება ითქვას, არის უფრო რასსა. როგორც არსებობს სემიტური რასსა, ისე არსებობს იაფეტური რასსაც. ეს იაფეტური რასსა არის ქართველური რასსა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულს ენას ვუწოდებთ“...**

ამრიგად, **თუ ტერმინოლოგიის მიხედვით შევაფასებთ, – იოსებ ფლავიუსის, ნიკო მარის, იოსებ ყიფშიძის, ზვიად გამსახურდიასა და სხვათა მიხედვით (და, საყოველთაო აღიარებითაც), – მეგრელები, ასევე ლაზები (ჭანები) და სვანები, დიახ არ არიან საკუთრივ ქართველები; ისინი იაფეტიდები, კერძოდ, იბერები, იგივე კოლხები არიან, მაგრამ იაფეტიდები არიან საკუთრივ ქართველებიც, და ეს არის მათი გენეტიკური დუღაბი** (ამაზე, უფრო სრულად, იხ. სტატიაში: **„მოკლედ მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვა ენების ასაკისა და გენეტიკური კავშირურთიერთობების შესახებ“**, რასაც გაზეთ **„ილორის“** რედაქციას, შემდგომ ამისა, წარვუდგენთ გამოსაქვეყნებლად, **„მეგრული ენის ლექსიკის სიმდიდრის საბოლოო მონაცემების შესახებ“** საკითხთან ერთად).

ბოლოს, შემდეგი შეკითხვებიც **„ოფიციოზის“** მდუმარე ენათმეცნიერებისა და სხვების მიმართ:

იყო, არის ან იქნება კი, ენათმეცნიერებაში (და არა მხოლოდ აქ), იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი, ვიდრე ენის წარმოშობის საკითხია?

არ არის კი, – ამ საკითხის ამოხსნა, ფრიად სასახელო (პრესტიჟული) საქმე ქართული ენათმეცნიერებისათვის?

თუ არის, – რატომ სდუმან? რატომ, რას და რისთვის სწირავენ ასეთ დიდ საქმეს?! იმიტომ ხომ არა, რომ გამოკვლევის ობიექტი მეგრული ენაა, მეცნიერ-მკვლევარები მეგრულენოვანი ადამიანები არიან და მეგრული ენის ფრიად საინტერესო, დიახ დიდმნიშვნელოვანი მონაცემებია წარმოჩენილი?

სხვაგვარი კითხვა თუ დაისმება, ამ შემთხვევაში?

რას იფიქრებდნენ ან რა ხასიათზე დადგებოდნენ ისინი, თავად რომ იყვნენ ჩვენს (საერთოდ მეგრელების) ადგილას, ყოველივე ზემოაღნიშნულ პირობებში?

დაბოლოს, ერთი საყურადღებო კითხვაც: ბოლოსდაბოლოს, ვინ არიან ხოლმე, პირველ რიგში, რბილად რომ ვთქვათ, ყოველივე მეგრულის მიმართ მწყრალად მყოფნი, ანდა, სულაც მეგრელთმოძულენი?

პასუხი ცალსახაა: 1) ფსევდოპატრიოტი კვაზიენათმეცნიერები; 2) ფსევდოპატრიოტი კვაზიისტორიკოსები; 3) ხელისუფლებაში მოხვედრილი ფსევდოპატრიოტი, ქვეყნის მართვის უნარმოკლებული პოლიტიკანები (ცხადია, ვისაც ეს ეხებათ).

რა თქმმას უნდა, ასეთები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ და აკეთებენ, ხოლო ამათ მიჰყვებიან საკუთარი საღი აზრის უნარმოკლებული ტაშისმკვრელი მენამცეცეები. – ასეთია ჩვენი მყარი მოსაზრება.

იქნებ, შემომედავებიან ტარიელ ფუტკარაძე და სხვანიც? – როგორ თუ ჩვენ კვაზიენათმეცნიერები ვართო.

მართალია, ამ უკანასკნელად, ტ. ფუტკარაძემ კი განაცხადა: – კარგად ვიცით, რომ მეგრული ენა არისო, – მაგრამ, ჩანს, ეს მან იცის მხოლოდ ყურმოკრულად, ანუ სხვათაგან გაგონილის მიხედვით. სხვა მხრივ, იგი, მეგრული ენისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ სრულ უცოდინარობას ავლენს. არადა, როგორ შეიძლება, ენათმეცნიერი აცხადებდეს, – მეგრული და სხვა ქართველური ენები – ენები არ არიანო. რის ფასად შეიძლება უგულებელყოფდეს, აგრერიგად, ენათმეცნიერი საკუთარ ენათმეცნიერულ ტიტულებსაც და პირად მეობასაც კი?

ძალიან გამიგრძელდა პატივცემულო მკითხველო, რაზეც ბოდიშს გიხდით, მაგრამ საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მტკივნეულიც; მას ყოველთვის ვერ დავუბრუნდებით, და სათქმელი აქვე უნდა ითქვას, ძირითადში (თუმცა მის ამოწურვას ერთი წიგნიც რას ეყოფა).

აქ, უპრიანია, აღინიშნოს შემდეგიც:

ჩვენს 3200-მდე საენათმეცნიერო ნაშრომში მრავალი საკითხი ცალკე დასათაურებით გამოყოფილი არც არის. ასეთების ჩათვლით, ალბათ, 10 000 საკითხზე მეტი გვაქვს შესწავლილ-განხილული. მაგრამ, აქ საკითხები კვლავაც ამოუწურავია. ამის დასტურია, ის, რომ ჩვენ, მამა-შვილ თანაავტორებს, ენათმეცნიერებაში, არც საკითხი და არც სიტყვა საძებარი არასოდეს არ გვქონია და არა გვაქვს. საჭიროა მხოლოდ საწერკალამი და ქაღალდი მოვიმარჯვოთ და ყველაფერი თავისთავად მიდის. მეგრული ენის ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრე, მისი განსაკუთრებული თავისებურებები და საერთოდ ენის ფენომენის სიდიადეა ამის მიზეზი და საფუძველი. რომ არა მეგრული ენის მონაცემები, ნებისმიერი სხვა ენის (მათ შორის, ქართულის) მიხედვით ჩვენ ვერასოდეს ვერ წარმოვაჩენდით ენის წარმოშობის საფუძვლებს და ვერ დავინახავდით მთელ მის ისტორიას ანუ თავგადასავალს, ვერც კი წარმოვიდგენდით იმ გასაოცარ მონაცემებს, რაზეც, ძალიან მოკლედ, მკითხველს ზემოთ წარედგინა.

ასეთ პირობებში, განა შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ უსაფუძვლოდ ანუ ცოცხალი ენობრივი მონაცემების გარეშე შესაძლებელია ამგვართა წარმოჩენა-წარმოდგენა?

რა დიდი ბედენაა, მერე, ყოველივე ესო, – შეიძლება იკადრონ და თქვან კიდეც, ვინმე **„ოფიციოზის“** წარმომადგენელმა სპეციალისტებმა, გინდათ ფუტკარაძეებმა და კაკიტაძეებმა? ასეთ შემთხვევაში, ჩვენ, აი, რას ვთავაზობთ მათ და რაზე ვიწვევთ: 1. ათასობით ჩვენს მიერ შესწავლილ-გადაწყვეტილი საკითხიდან, ათასობით ჩვენმიერი შეხედულებებიდან, დასკვნებიდან და თეორიებიდან, რომელი ერთი მიაჩნიათ უსწოროდ, უსაფუძვლოდ და რატომ? გააბათილებენ კი, მათ, და დაასაბუთებენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს? 2. იქნებ, თავად მოიძიონ მეგრულის ზმნური ფონდიდან, ჩვენს მიერ გამორჩენილი რამდენიმე (თუნდაც 2-3) ძირისეული თანხმოვნური ფორმა და წარმოადგინონ მათი ლექსიკა? 3. იქნებ, შეარჩიონ ერთ-ერთი ნებისმიერი გვერდი ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონიდან, იმუშაონ მასზე რამდენი ხანიც მოისურვებენ, მერე კი, ჩვენი თანდასწრებით, თვითონვე შეადგინონ იგი და ამოშიფრონ (ამოიკითხონ) სიტყვები (ლექსიკები) მათ მიერ ნავარჯიშევი გვერდის თუნდაც 1 ნებისმიერ სტრიქონში წარმოდგენილი სუფიქსებიანი ფორმებისა?

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, გაურკვეველი თითქოსდა არაფერია, მაგრამ საკითხავია მაინც: რა არის, მავანთაგან მეგრელთმოძულეობის ძირითადი მიზეზები? აი, რისი გარკვევაც არის საჭირო და რასაც ვუკირკიტებთ ჩვენ ამ სტატიაში. სხვა მხრივ, მეგრელთმოძულეობის ფაქტები რომ სახეზეა, ეს სადავო არ არის? ამას თვითონ არც ამ საქმის დღევანდელი **„გმირები“** მალავენ და ჩვენ რომ დავმალოთ, რა აზრი აქვს?

აქ, უპრიანია დამატებით მოვიტანოთ შემდეგი მაგალითებიც:

**მამანტი ძაძამია,**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 7 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ლიმიტი ამოიწურა – მეტ შეცდომას უფალი არ გვაპატიებს!

## (ამბობენ – გასულმა არჩევნებმა, ხალხს 1990 წლის 28 ოქტომბერი გაახსენა!)

რაღაცით მართლა ჰგავდა 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნები, 1990 წლის 28 ოქტომბრისას, უპირველესად შედეგით, სადაც მოსახლეობის სურვილი განხორციელდა და აცხადდა, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება მაინც იყო მათ შორის:

**– 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ბოლშევიკურ-კომუნისტური წყობის სიძულვილით და თავისუფლების წყურვილით მივიდა არჩევნებზე!**

– თითქმის 22 წლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის, ასევე დიდი უმრავლესობა – **შევარდნაძე-სააკაშვილისეული დიქტატურის და მისი აღმსრულებლებისადმი გაუგონარმა სიძულვილმა გააერთიანა!**

მახსენდება 22 წლის წინანდელი ამომრჩევლის განწყობა – **გამარჯვებული და დამარცხებული გულალალად ულოცავდა ერთმანეთს!**

– არავის აზრად არ მოსვლია – **ქვეყნის ნაძარცვი მილიონების, უდანაშაულო ადამიანების, უმეტესწილად ახალგაზრდების გზადაგზა, ორღობეებში დახვრეტის, უზნეობისა და უსამართლობის დამკვიდრების გამო, ვინმეს ციხეში ჩასმა!..** რადგან, იმ დაწყევლილ **„სსრკ“**-ში წარმოუდგენელი იყო **„ადამის ძეთა“** ისე დაცემა, როგორადაც იგი, ამ ბოლო 20 წლის მანძილზე, საქართველოში, ჩვენს გარშემო წარმოჩინდა!

– არ ყოფილა მაშინ სიძულვილი, ყოფილი კომუნისტი მმართველების მიმართ, რადგან, ანტისახელმწიფოებრივი (მაშინდელი სახელმწიფო **„სსრკ“** იყო და არა საქართველო, ამიტომაც კომუნისტური იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლები, ეროვნული გმირის დონემდე იყვნენ აყვანილი და ეს მართებულიც იყო!) დანაშაული თითქმის გამორიცხული იყო, ვიდრე **„შევარდნაძე-უხსენებელი“** დაბრუნდებოდა საქართველოში და ბედსშერიგებულ **„კომუნისტურ ნომენკლატურას“** და მის **„სამჭედლო-კომკავშირს“** აღაზევებდა თავისუფლების გზაზე მავალი ქვეყნის და მისი მმართველების წინააღმდეგ, რასაც, თბილისის გადაწვისა და ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ, ყველა ჯურის კრიმინალთა მობილიზება მოჰყვა, ჯერ კიდევ მყარად მდგარი **„ეროვნული ძალებისა და ქართული სულის“** წინააღმდეგ.

ამ მიზნით **„სამეგრელოში ხუთგზის სადამსჯელო ექსპედიციების“** ჩატარების შემდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – საბოლოოდ მოგვარებულიყო, ახალი დროის **„მეგრელთა საქმე“** და აფხაზეთს მიადგნენ, სამეგრელოდან იქ გადახვეწილი, ეროვნული ძალების **„ამოსაძირკვად“**!..

სწორედ ამას მოჰყვა ძმათამკვლელი ომი და ჩვენი სამშობლოს ძირძველი ტერიტორიიდან – აფხაზეთიდან, მისი მკვიდრი მოსახლეობის 70%-ის განდევნა. ვიდრე, ყოველივე მომხდარს, ცივილიზებული მსოფლიო საზოგადოება და შესაბამისი ინსტიტუტები, შესაფერის შეფასებას მისცემდნენ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, ყველა მათგანს დაასწრო და იგი **„დაკარგულ ტერიტორიად“** გამოაცხადა და – **სამასი ათასზე მეტი ადამიანის კერძო საკუთრება კი დამპყრობლებს სამხედრო ალაფად შეატოვა!**

მე არ მიკვირს იმ საერთაშორისო დამკვირვებლების (ეს რთული და ვრცელი თემაა და მას მოგვიანებით მივუბრუნდები!), რომლებსაც, არასოდეს უხსენებიათ აფხაზეთიდან გადმორეკილი მოსახლეობის ქონება (რაც, არც **„შევარდნაძე-უხსენებელს“** და არც **„მიშა-შეურაცხადს“** არასოდეს დასცდენიათ!) და, როცა **„აფხაზეთის დაბრუნებაზე“** დგება საკითხი, ცხადია ისინი, უცხოელი **„მშვიდობის მტრედები“** მენტორულად გადმოგვძახებენ – **„ეს არც ისე მარტივი საქმეა, გასარკვევია ვის ეკუთვნის სადაო ტერიტორიაო!“** – თუნდაც, ასეც რომ იყოს, ის მაინც ხომ არ არის გასარკვევი და სადაო – **თუ ვის ეკუთვნის, საუკუნეების განმავლობაში აშენებული და დაგროვილი ქონება, რომელიც უკანმოუხედავად დაატოვებინეს ამ კუთხის აბორიგენ მოსახლეობას და ფეხ და ტანშიშველებს „ცივ ქვაზე“ დააწყებინეს ახალი ცხოვრების აწყობა?**

ისე არ გამიგოთ, გადამთიელ, ე.წ. **„დამკვირვებლებს“** ვამტყუნებდე – თუ, რატომ არ შეისწავლეს და ჩაუღრმავდნენ **„საკუთარი მთავრობის მიერ გაწირულ, ასიათასობით ფუძე-კარ დაკარგულ, ქართული (არა მარტო ქართული!) მოსახლეობის გასაჭირს!“** მაგრამ, რომ ვუკვირდები, არც უმაგისობა იქნება და აი რატომ:

ამერიკელებზე არაფერს ვამბობ, მათ, არც ასაკით და არც ტრადიციით მოეთხოვებათ, ჩვენი რომ ესმოდეთ, მაგრამ ევროპელებისგან კი ნამდვილად საწყენია – **„აფხაზურ-ქართული“** და ე.წ. **„სამხრეთოსეთ-ქართული“** პრობლემების გულგრილად ყურება, როცა ევროპის შუაგულში უდევთ, შენელებული მოქმედების, ფრიად საშიში ბომბი **„სამხრეთ ტიროლის“** სახით, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, **„სამხედრო ნადავლად“** გადაეცა ფაშისტურ იტალიას და მის ლიდერს დუჩე მუსოლინის, მხოლოდ იმისათვის, რომ 1915 წლის საიდუმლო შეთანხმების თანახმად, იტალია მოკავშირედ დადგა დიდი ბრიტანეთის მხარეს და შეპირებისამებრ – **ბრენერის უღელტეხილსგაღმა ტერიტორია (თითქმის იმხელა, რაც აფხაზეთია!) უბოდიშოდ მიიერთა, სადაც, მანამდე იტალიელთა ჯიშს თითქმის არ ეცხოვრა!**

ისტორია **"მეტნაკლები"** სიზუსტით მეორდება რადგან **„სამხრეთ ტიროლელთათვის“** არავის დაუძალებია სახლ-კარი დაეტოვა, უფრო მეტიც – **ფეხ და ტანშიშველს დაეღწია თავი სიკვდილისათვის!..** ერთ მშვენიერ დღეს, მათ გამოუცხადეს, რომ ისინი ცხოვრობენ იტალიის ტერიტორიაზე და შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდად, ოღონდ უნდა იცოდნენ – **„ამიერიდან, იტალიის კანონმორჩილები უნდა იყვნენ და იტალიურია მათი სახელმწიფო ენა!“**

ვატყობ, კალამი გამექცა, აქ დავსვათ დროებით წერტილი და მოგვიანებით მივუბრუნდეთ ევროპის სირცხვილს, რომელიც – **თითქმის საუკუნის წინ მოხდა, მის შუაგულ – სამხრეთ ტიროლში!**

იმას ვყვებოდი – ბევრი რამით ჰგავდამეთქი, გასული არჩევნები, 1990 წლის 28 ოქტომბრისას და ეს მართლაც ასეა – ახალი პარლამენტის ორივე ნაწილს ე.წ. **„უმრავლესობას“** და **„უმცირესობას“** მრავლად **„ამშვენებენ“** ის სახეები, რომელთაც 1991 წლის ბოლოს **„ედუარდ უხსენებელთან“** ერთად საქართველოს ეროვნული მთავრობა დაამხეს და მასთან ერთად საქართველოც!.. ჯერ **„ედუარდ უხსენებელს“** ეცეკვებოდნენ, შემდგომ კი **„მიშა შეურაცხადის“** დაკრულზე ბუქნაობდნენ!

**ფრთხილად იყავით ბიძინა ბატონო, ფრთხილად, ამ ბიჭებმა მარტო „განი“ კი არა უსასრულო „გან და განიც“ იციან!**

...მაშინაც, პირველი ეროვნული პარლამენტის წევრთა რიგებშიც, ფარულად თუ ღიად, მალევე გამოჩნდნენ ეროვნულ იდეას ამოფარებული (ამჟამად ასაკში შესულნი, მაგრამ იმავე ახალგაზრდული იდეით ანთებულნი!) ახალგაზრდები – **იმ დროს მართლაც ერთიანი საქართველოს დაქუცმაცებაზე და მის "ფედერალიზაციაზე" რომ იყვნენ ორიენტირებული!**

ესეც, კიდევ ერთი მსგავსება 1990 წლის და 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგებს შორის, რაც ყურადსაღები და დასაფიქრებელია უთუოდ!

თან, მგონი ზუსტად იგივე, ოღონდ, როგორც ზემოთ ვახსენე, იგივე, მობერებული სახეები არიან ამ იდეის ლობისტები, რომლებიც ოცდაორი წლის წინ ახალგაზრდული ენერგიით, უტიფრად უტევდნენ ერთიანი საქართველოს, მაშინ ჯერ კიდევ ერთიან და ძლიერ ზღუდეებს!

...ევროპაში, ბევრმა იცის რომ, საქართველოში რაღაც მოხდა, მაგრამ, რა და რატომ მოხდა ვერ აგიხსნიან, რადგან არავინ დაიჯერებს იმ დანაშაულობებს საქართველოს ხელისუფლება რომ ეწეოდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ!

ხშირად მესმის ახალგაზრდებისგან **„თავისუფლების მოედანზე“** შევხვდეთო!

კიდევ კარგი, მათმა არ იციან, რომ სწორედ **„თავისუფლებისთვის“** აგვიოხრეს სამშობლო გარეულმა და შინაურმა მტრებმა, თავისუფლების წყურვილის გამო დაგვალეწეს ცხვირ-პირი, თავისუფლების წყურვილის გამო გვიცვლიან ზნეს, ფერსა და წეს-ჩვეულებას და ყველაფერ ამას **„ქვეყნის და მისი მოსახლეობის მონაპოვარს“** უწოდებდა და უწოდებს ყოფილი ხელისუფლება!..

**...არასოდეს ყოფილა ყოველმხრივ სხვაზე დამოკიდებული, ჩვენი სამშობლო საქართველო, ისე როგორც დღეს არის!**

ადრეც არა ერთხელ მითქვამს – **ორ მტერს ერთდროულად არასოდეს დაუპყრია საქართველო, ხშირად კი ყოფილა, ერთმანეთში უომიათ საქართველოზე საბატონოდ!**

ნურავის ეგონება გარეშე მტრების ბრალია მხოლოდ, რაც დაგვემართა!

გაიხსენეთ, ამასწინანდელი, ე.წ. **"არასამთავრობოების"** თავგამოდება **"ომბუდსმენი"**-ს კანდიდატის შერჩევისას. სანამ ერთერთი მათგანი არ დაითანხმეს უზნეობაზე მოეწერა ხელი და ათქმევინეს, რომ, იგი – **აღიარებს ჰომოსექსუალთა და ლესბოსელთა უფლებებს და ისინი, მას, ქართული საზოგადოების ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია!** უმრავლესობამ სასურველი კანდიდატი ვერ გაიყვანა **"ომბუდსმენი"**-ს თანამდებობაზე!

როგორ ფიქრობთ – **სხვა საზრუნავი არ გააჩნია ადამიანის უფლებათა დამცველს ბუნების შეცდომით შობილთა და მეტი წილი ძალით გაპიდარასტებულთა უფლებების დაცვის გარდა?**

რა თქმა უნდა გააჩნია, მაგრამ ისინი არ არის მთავარი, მთავარია ის, რითაც მალე გადავშენდებით და ბოლო მოგვეღება!

ეს იყო საქართველოს ყოფილი მთავრობის უმთავრესი საზრუნავი და ამასვე დააძალებენ ახალმოსულსაც, ის უცხოელი კეთილისმსურველები, რომლებიც, მავანთა თქმით **"თურმე შიმშილით ერთიანად არ გვხოცავენ"!**

სულ ცოტა ხანი იყო საქართველო გარედან დიქტატისგან თავისუფალი და სწორედ ამისათვის დაამხეს იგი, იმ გარე ძალებმა, დღეს **"დახმარების სანაცვლოდ"** სოდომ-გომორის **"ზნეობის"** აღიარებას გვთავაზობენ!

ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ თავისუფალი საქართველოს დამხობაში უდიდესი წვლილი ისევ ქართველებს მიუძღვით!

ამასწინათ, 1990წელს არჩეული, ეროვნული პარლამენტის წევრი, ბატონი იური ბურკაძე შემომეხმიანა ჰოლანდიიდან:

**„ჩვენ ვერ გამოვდგებით ვერც ოქრუაშვილის, ვერც კიტოვანის და მათი საძმოს ადვოკატებად, მაგრამ დიდი იურისტობა არ უნდა იმას, რომ გაარკვიო – თუ ირაკლი ოქრუაშვილი, ქვეყნის დამაქცევარი სააკაშვილის ბანდის მიერ სამშობლოს მოღალატედ არის გამოცხადებული და ამასვე იზიარებს ახალი მთავრობა, რის გამოც იგი განსასჯელის სკამზე ზის, მაშინ, რა კრიტერიუმით არის სახელმწიფოში შემოშვებული კიტოვანი და რატომ არ აპატიმრებენ მას, რომლის ბრალეულობა 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალებაში, თვითონ მისგანვეა არაერთგზის აღიარებული და დადასტურებული?!."**

ბატონო იური, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, იქნებ თქვენებურად, მათემატიკური სიზუსტით, ვერ გავაანალიზო თქვენს მიერ ხსენებული კურიოზული ფაქტი, მაგრამ შევეცდები მარტივად (ისე, როგორც ჩვეულებრივი ქართველი აფასებს მას) ავხსნა, თუ რატომ ხდება ასე, რაც ასე არ უნდა ხდებოდეს. არ ვაპირებდი, ამ საგაზეთო წერილში, ჩემთვის უაღრესად მტკივნეულ თემას შევხებოდი, მაგრამ, როგორც ვატყობ გვერდს ვერ ავუვლი და აი რატომ:

1991-1992 წლის გზაგასაყარზე, საგანგებო დავალებით აღჭურვილმა **„შევარდნაძე-უხსენებელმა"** ქართველ პოლიტიკოსებად წოდებულ და ცნობილ კრიმინალთა დახმარებით დაამხო საქართველოს ეროვნული მთავრობა და მისი თავისუფლება!

**„შევარდნაძე-უხსენებელმა“** დაუდო სათავე – ერის ღირსების დაკნინებას და ქართულ გენეტიკაში ბზარის შეტანას, რომ ჩვენ, საკუთარი ძალებით ვერაფერს მივაღწევთ – **რასაც ქართული ჰქვია, უფასური და უღირსია!**

**„შევარდნაძე-უხსენებელმა"** მოიყვანა ქვეყნის სათავეში **„მიშა-შეურაცხადი"** და მისი – უმწიფარ და უზნეო ბავშვთა კრებული, რასაც იგი გულმოდგინედ ადასტურებს ბოლო სამი წელიწადია!

**„შევარდნაძე-უხსენებელი“** იმასაც შეეცადა, გასული ოქტომბრის არჩევნებზე, ევრო-ამერიკულ კვარცხლბეკზე აყვანილი **„მიშა-შეურაცხადის“** მიწაზე დანარცხება, მარჯვედ გამოეყენებინა და ამჯერად, ვითომ მის ოპოზიციას – **შინაურ უჯიშოთა და უცხოელ მოძალადეთა ყურადღება მიექცია!** რაც, სხვა არაფერია, გარდა სისხლიანი და კრიმინალური წარსულის გადაფარვის მცდელობა!

ყოველივე ამის ფონზე, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ, როგორც ზემოთ ვახსენე, 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის მონაწილეებისა და წამქეზებლებისთვის, რომლებიც მრავლად არიან წარმოდგენილი დღევანდელ პარლამენტში – **კიტოვანი, ჯაბა და მათი საძმო, არამარტო მისაღები და პატივსაცემია, ისინი ბოლომდე, კბილებით დაიცავენ მათ, რადგან ამ უკანასკნელთა გასამართლების შემთხვევაში ე.წ. „წარჩინებულ, სტაჟიან პოლიტიკოსებს“ მოუწევთ მართლმსაჯულების წინაშე წარსდგომა, რაც, უთუოდ მკაცრი სასჯელით და ქართული საზოგადოების რისხვით დამთავრდება!**

ამიტომაც არ უნდა ველოდეთ რაიმე განსაკუთრებულს ახალი პარლამენტისგან ამ მიმართულებით, რადგან, როგორც იციან თქმა – **„მათ, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვთ პირველ რიგში გადასაწყვეტი!“**

კეთილი და პატიოსანი, დაველოდოთ!

გასული წლის დასაწყისში – **82 მილიონიანი გერმანიის პრეზიდენტი ვულფი, ხუთასიათას ევროს გადააყოლეს, რომელიც მან საკუთარი სახლის მშენებლობისთვის ისესხა, შეღავათიანი სარგებლით, ახლო მეგობრისგან. ქვეყნის პრეზიდენტს კორუფციულ გარიგებად ჩაუთვალეს მეგობრისგან აღებული სესხი და ამის გამო, იგი, მისმა გერმანელმა ამომრჩეველმა "სხვა ქვეყნების ჩაურევლად" აიძულა თანამდებობიდან გადამდგარიყო!**

მე ერთერთ პრესკონფერენციას დავესწარი ბერლინში ამ საკითხზე მიძღვნილს და, როცა ჟურნალისტებმა, უცხოელ კოლეგას მკითხეს *– თუ როგორ ვუყურებ ამ ამბავს!*

ირონიის გარეშე ვუპასუხე – *ჩემს ქვეყანაში სასაცილოდ არ ეყოფოდათ პრეზიდენტ ვულფის საქციელი და მას სულელად ჩათვლიდნენ -მეთქი!*

ბოლომდე ჩამეკითხნენ – *რატომ, რა არის აქ სასაცილო?*

მე ვუპასუხე – *ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, ასეთი მცირე თანხისთვის ხელს არ გაისვრიდა. მესმის ხუთი, ან ორმოცდაათი მილიონი!*

ჩემს პასუხზე, ზოგმა პირი დააღო, უმრავლესობამ კი დამიდასტურა – *დიახ, ეს ცნობილი ამბავიაო!*

უფრო ადრე – **ამერიკის პრეზიდენტი, ბილ კლინტონი, თეთრი სახლის პრაქტიკანტ გოგონასთან ფლირტს კინაღამ გადააყოლეს და მხოლოდ ბოდიშის მოხდით დააღწია თავი, იმპიჩმენტს და ამომრჩეველთა რისხვას!**

**სააკაშვილის და მისი გარემოცვის ორგიებს კი, მაყურებლის გასართობად აჩვენებდნენ გერმანიის და ევროპის მრავალი ქვეყნის (ამერიკაში მე არ ვყოფილვარ და ვერაფერს ვიტყვი!) ტელევიზიები!**

**ცხრა წლის განმავლობაში, საქართველოში მოღვაწე, არცერთი ქვეყნის უცხოურმა დიპლომატიურმა სამსახურმა სიტყვა არ დაძრა იმ უმსგავსობებზე, რასაც სააკაშვილი და მისი მთავრობა, მათ თვალწინ სჩადიოდა საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ და ხელს უწყობდა "მიშა დემოკრატიის შუქურას" ყალბი სახის აგიტაციას, რომელსაც მისი ლობისტები, აშშ-ს მეთაურობით ეწეოდნენ!**

რა ვიფიქროთ ამასთან დაკავშირებით?!.

ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ ჩვენ, ქართველები და საქართველო ზემოთხსენებული ქვეყნებისა და მათი წარმომადგენლებისთვის?

რატომ პატიობენ ისინი, თავიანთ უზნეო ფავორიტს, პრეზიდენტადწოდებულ მიხეილ სააკაშვილს, უკიდეგანო უზნეობასა და კორუფციის მორევში ცურვას?

დავიჯეროთ, რომ ეს ქვეყნები და მათი მოგზავნილები ჩვენი მოკეთეები არიან?

თუ, ისინი ისე გვიყურებენ, როგორც საცდელი ლაბორატორიის თეთრი ფერის ვირთხებს, რომლებსაც შეკვეთილი ნება-სურვილის მიხედვით – **ზნე-ჩვეულებას, ფერს და სასაუბრო ენას შეუცვლიან?**

ამ ხნის მანძილზე, არაერთხელ მიმართა გაზეთმა **"ილორმა"** ზემოთხსენებულ დიპლომატიურ სამსახურებს – **პროტესტს თუ არ გამოთქვამდნენ, მხარი მაინც არ დაეჭირათ, ქვეყანაში გამეფებული უზნეობისათვის!.**, მაგრამ არცერთხელ, სიტყვაც კი არ გაიმეტეს, თუნდაც – **ჩვენი, ქართველების გასამტყუნი!**

როგორც იტყვიან – **ესეც "დიპლომატიურ" საქციელად უნდა ჩავთვალოთ უცხოელი დიპლომატებისგან!**

...დასწყევლოს ღმერთმა! ცბიერებას და ღალატს ბოლო არ უჩანს, უცხოელს და უჯიშოს რა უნდა მოვთხოვოთ, როცა:

ის, რაც ე.წ. **"წარმატებული ვარდების რევოლუციის"** პირველ დღეებში – **სვანეთში, აფრასიძეების ოჯახს დაატეხეს თავს, არც კალაძეების ტრაგედიის საშველად მომხდარა და არც მარტო სვანების დასაშინებლად ჩაუდენიათ!**

ეს ტრაგედია – **სამეგრელოსა და მეგრელების გასაფრთხილებლადაც იყო მოწყობილი – ნახეთ სვანებს რა დავმართეთ, ჭკუით თუ არ მოიქცევით, თქვენ უარესი დაგემართებათო!..**

და, მიაღწიეს კიდეც საწადელს – **ცხრა წელიწადი ხმა არ დაუძრავს სამეგრელოს!**

**1992 წლიდან მოყოლებული, დანარჩენი საქართველოსგან მუდამ ღალატს და ორგულობას ჩვეულმა, აფხაზეთმოკვეთილმა და სამუდამოდ მისმა მართლმგლოვიარემ, ბოლო ცხრა წელიწადი თვითგვემაში გაატარა!..** რაც, მავანთაგან – **ახალი დროის დასაწყისის საქართველოს ღალატად დაბრალდა მას!**

**„სინდის-ნამუსი“ – „ადამის ძეთა“** საძღომი საშუალება რომ არ არის, იქიდანვე ჩანს, რომ იგი არსად არ იყიდება, თორემ მას, ისეთ ფასს დაადებდნენ **„სინდის-ნამუსით“** მოვაჭრეთა გარდა, ვერავინ გაეკარებოდა!

ამიტომაც არ იყიდება იგი და – **მხოლოდ გამორჩეულთა სულის სამშვენისს წარმოადგენს, ვისაც ღვთის მადლად გამოჰყვა დედის მუცლიდან!**

ამიტომაც უჭირს **სამართალს და სინდისნამუსს** ცოდვილ დედამიწაზე!

მიჭირს თქმა, მაგრამ ვატყობ, უთქმელობა უფრო დაამძიმებს საქმეს. ამიტომაც ხმამაღლა ვაცხადებ, მავანთა გასაგონად:

**– სანამ საქართველოს რომელიმე კუთხის და მისი მოსახლეობის საქციელს შეაფასებდეთ, საკუთარ თავს შეხედეთ და შეეკითხეთ – ხართ თუ არა ზემოთხსენებულ „სინდისნამუსთან“ წილნაყარი?**

და ბოლოს, ყველას გასაგონად, ვისაც საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია: **„სამშობლოს“** გავუფრთხილდეთ **„სამშობლოს“**, რომელიც კუთხე-კუთხედ დაყოფილს კი არა, ერთ მუშტად შეკრულ **საქართველოს** ჰქვია!

**დავით ქობალია**

**P.S.** ყური მოვკარი – **ზუგდიდის რეზიდენციაში აპირებსო აგონიაში მყოფი პრეზიდენტი გადასვლას და საქართველოს იქიდან მართვას!**

ეს თუ მართლა ასეა, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა – **იგი მორიგი პროვოკაციაა სამეგრელოს წინააღმდეგ და თუ მას ახალი ხელისუფლებაც აჰყვა** (სამწუხაროდ, ავი ხმები მოდის **„ქუთაისის პარლამენტიდან“**-აც სამეგრელოზე!), **მაშინ, ამ შემთხვევას, ორივე მხარის შეთანხმებულ ქმედებად ჩავთვლით!**

# კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-203

გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ტაბალ-თუბალის მონათესავე ტომიც — მასნაკა — მოსენიკი იმავე შტოს, სახელდობრ მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა; მათ შორის მხოლოდ მცირედი განსხვავება იყო: ტაბალი მეგრულ ჯგუფს ეკუთვნის, მოსნაკა-მოსენიკი კიდევ ჭანურ-ლაზურს.

ქართული შტოს მეხები — მესხები, ტაოხები ანუ ტაოელნი, ჯავახები, კახნი-სომხნი და ის პატარა ტომები ეკუთვნიან, რომელნიც ახლა ქართველ მთიულებად ითვლებიან.

სვანურ შტოს წარმომადგენლად ჯერჯერობით მარტო თვით სვანები არიან, მაგრამ ძველად უეჭველია ამ შტოსაც ბევრი სხვა ტომები უნდა ჰკუთვნებოდა. (**ივ. ჯავახიშვილი,** ქართველების სამი შტო, ჟურნ **„აია"**, 2001, №9-10, გვ. 4-7. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან მოტანილი გვაქვს ვრცელი ამონარიდი (ამონაწერი), რადგან ამ გამოჩენილ მეცნიერზე უკეთესად ვერავინ იტყვის. ქვემოთაც ვაკეთებთ ვრცელ ამონაწერებს დიდი მეცნიერის ნაშრომიდან ჩემი დებულებების (ლაპარაკი კოლხ-ლაზ-მეგრელებზე) დასამტკიცებლად, რადგან მკითხველი ივ. ჯავახიშვილის ნათქვამს (აფორიზმივით ჩამოქნილ დებულებებს) ყველაზე უკეთესად გაიგებს.)

ერთი ცხადი და შეურყეველი სამეცნიერო საბუთი, რომ კავკასია ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა, რომ უძველეს დროს ქართველებს კავკასიაში არ უცხოვრია. სად იყო ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო, ამის შესახებ საისტორიო საბუთებში, რასაკვირველია, ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ამ საყურადღებო საგნის გამორკვევაში თვით ენა გვშველის. ჩვენი ეროვნების სხვა და სხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უძველეს ბინადრეებისა და სამშობლოს სახელია შენახული. ავიღოთ მაგალითად სიტყვა **„ქართული", „ელ"** სადაურობის ანუ ჩამომავლობის აღმნიშვნელი სიტყვაა, როგორც მაგალითად: გორელი, თელაველი, ჯიხაიშელი, ოკრიბელი და სხვ.... მაშასადამე, სიტყვა **„ქართულის"** პირველი ნაწილიც **„ქართუ"** ქვეყნის სახელი უნდა იყოს. განვიხილოთ ეხლა კარდუხების სახელი, რომელთა ქვეყანაშიც მდინარე კონტრიატი, კონტრიში (კონტირი მეგრულად კიტრია, კინტრიში ე.ი. კიტრის კუთვნილება — კ.შ.), დიოდა. სიტყვა **„კარდუხი"-**ც ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელ საკვეცი **„ხი"**-თი ბოლოვდება; მაშასადამე, სიტყვა **„კარდუ"-**ც ქვეყანას უნდა ნიშნავდეს და **„ქართუ"-**ს უდრის.

ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — რომ ქართლურ-მეგრულ შტოს ტომებს საკუთარ სახელებში (ქართული, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება. იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო.

ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენლებს სვანებსაც აქვთ შერჩენილი. სვანეთში ეხლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც **„კალდუ"** ანუ ხალდე ჰქვიან. ერთი სიტყვით, ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის...

რასაკვირველია, ქართველებს ქალდეაში უძველეს დროს უნდა ეცხოვრათ. ჯერჯერობით დაახლოებითაც კი ვერ ვიტყვით, როდის ჰქონდათ აქ ქართველებს მოსახლეობა და რა დროს აყრილან იქიდან. (ისტორიისათვის ცნობილია, რომ ქალდეა, დღევანდელ ერაყის ტერიტორიები კოლხთა (იგივე ქართველთა) საცხოვრისი იყო. სწორედ აქედან იწყება ჩვენს სამყაროში, კაცობრიობის განვითარების, ცივილიზაციის, კულტურის, რელიგიების ისტორია).

**პატრიარქმა კირიონ II-მ ოფიციალურად ერთერთმა პირველმა განაცხადა, რომ ქართველნი არიან ქალდეველნი** (ჩვენ მითებული გვაქვს უძველეს დროში ქალდი-მეგრელთა „იმპერიის" არსებობაზე კ. შ.) და მიესალმა ევროპული მეცნიერების აღმოჩენას ამ საკითხში — ფრაგმენტი კირიონ II-ს წერილიდან სათაურით **„ქალდიის აღმოჩენის მნიშვნელობა ქართველთა საწყისი ისტორიისათვის":**

**„ჭეშმარიტად უზარმაზარი შრომა გასწიეს დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა. პატივი და დიდება მათ!.. ვიყოთ მათი მადლიერი ჩვენ ქართველები!"** (ციტირებული გვაქვს ვლადიმერ ვახაიას წიგნიდან **„კოლხეთი — საქართველოს ეპოსი, იესოს ბოლო სიტყვები"**, თბ., 2011, გვ. 434).

აქედან გარკვევით ჩანს კირიონ II-ს თვალსაზრისი, რომ ქალდეველები ისტორიის, კაცობრობის საწყისნი არიან. მას მტრებმა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ერთიანობისათვის, ჭეშმარიტი ისტორიისათვის ბრძოლა ვერ აპატიეს გამყიდველმა ქართველებმა — 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქოს რეზიდენციაში ტყვიით მოკლული იპოვეს.

ასევე, მიხაკო წერეთელი წიგნში **„ერი და კაცობრიობა"** წერდა:

**„ქართული ენა სამი შტოსაგან შესდგება: ქართლურისაგან, რომლითაც ლაპარაკობენ ქართლ-კახელები, იმერლები, გურულები, მესხები, მთიულნი და სხვანი, — მეგრულისაგან, რომლითაც ლაპარაკობენ მეგრელები და ჭანები და სვანურისაგან, რომლითაც სვანები ლაპარაკობენ. მიუხედავად ამისა, — ქართული ენა ერთია, ერთისა და იმავე აგებულებისა, ერთისა და იმავე ძირისა. უძველეს დროს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ალბათ, მწერლობაც იქმნებოდა ქართული ენის რომელიმე შტოზე, მაგრამ ჩვენს დრომდე მხოლოდ ქართულ ენაზე განვითარებულ მწერლობას მოუღწევია და დღესაც ეს ენა არის ჩვენი საერთო სამწერლო კულტურული ენა. ყოველ შემთხვევაში უკვე ქრისტეს წინად არსებობდა ჩვენი ენის ან-ბანი და მთელი საქრისტიანო ეპოქის განმავლობაში ეს ენა იყო ჩვენი ეროვნული საუნჯე, ერთადერთი ლიტერატურული ენა.**

**ქართველი ერი ერთია ლინგვისტურად, მას აქვს სამი ერთისა და იმავე ენიდან წარმომდგარი დიალექტი, ხოლო სამწერლო ენად შეიძლება უძველეს დროიდან მეგრული ან სვანური ყოფილიყოს, — ოც საუკუნეზედ მეტი და ახლა კი ქართული დიალექტი იყო და არის ჩვენი საერთო, ეროვნული, კულტურული და სალიტერატურო ენა".**

ტაბალის ქვეყანა დიდი უნდა ყოფილიყო: მეფე სალმანასარის სიტყვით მას 25 ტაბალელი მეფე აძლევდა ხარკსა; ამის გამო უეჭველია, რომ ზემოხსენებული მეფე ამრის სამფლობელო მთელი ქვეყნის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა; იგი სახელდობრ ბიტ-ბუსუტას მფლობელი უნდა ყოფილიყო; იმიტომ, რომ მატიანეში მეფე ამრისი ტაბალის მეფედ იწოდებოდა.

დიდი ივანე განაგრძობს თხრობას და მიუთითებს, რომ ჰეროდოტეს შემდეგ ქართველი ტომების ვრცელი აღწერილობა ბერძნების ისტორიკოსმა ქსენოფონტემ დაგვიტოვა, (ქსენოფანტემ ძვ.წ. 401 წელს 10 ათასიანი ჯარით გაიარა კოლხეთის ტერიტორია, ის ეცნობოდა კოლხეთის წარსულ ისტორიას, აწმყოს, მოსახლეობის ცხოვრების პირობას, ტრადიციებს, ადათ-ჩვევებს და კოლხეთზე, როგორც ჰეროდოტემ, ისე ქსენოფონტემ, მეტად დიდმნიშვნელოვანი და სანდო მასალები დატოვეს.) მიუთითებს: ტიბარენის აღმოსავლეთით ხალიბები ცხოვრობდნენ; იმათი ქვეყანა უმეტეს წილად მთიანი იყო და რკინის მადნით განთქმული... კოლხების ქვეყნის აღმოსავლეთის საზღვარი, ქსენოფონტეს მოხსენებული არა აქვს. ქალაქები ტრაპიზონი და ფარნაკია კოლხების ქვეყანაში შედიოდა.

1203 წელს სამშობლოში ჩამოსული საზღვარგარეთელი ქართული სავანეების მოღვაწე ბერები თამარ მეფემ დიდძალი ოქროთი დასაჩუქრებული გაუშვა, და, როდესაც ბიზანტიის კეისარმა ალექსი III (1195-1203) ანგელოსმა ქართველი სამღვდელონი კონსტანტინეპოლში გაძარცვა, კეისრის ავაზაკობით გაცოფებულმა და განრისხებულმა თამარმა უფრო მეტი ოქრო გაუგზავნა ბერებს. სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და პონტოსკენ გააგზავნა აგარ კეისრის დასასჯელად. ქართველმა ჯარებმა ლაზია, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსუნი, კერასუნტი, კოტიორა (კიტიორას), ამასტრია ყოველნი ადგილნი ფებლაღონიისა და პონტოსანი დალაშქრა. ქართველები 200 კმ-ზე იყვნენ კონსტანტინოპოლიდან, მაგრამ კეისარს მათთვის არ ეცალა — ჯვაროსნები უტევდნენ. თამარმა ბიზანტიელთაგან გაანთავისუფლა პონტოს ქვეყანა და დააარსა ყმადნაფიცი საკეისრო ტრაპიზონისა. მმართველად დასვა თავისი გაზრდილი ალექსი კომნენოსი და თანამმართველად ძმა, დავითი დაუნიშნა. ალექსი ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი იყო, თამარის ნათესავი. ალექსის პაპა ანდრონიკე თამარის მამის, გიორგი III-ის მამიდაშვილი იყო. კომნენოსები 2-3 წლისანი ჩამოიყვანა ანდრონიკემ საქართველოში და თამარს მისცა აღსაზრდელად. მათი დედაენა ქართული იყო, ცნობიერება და ცხოვრების წესი — ქართული. ისინი უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიელები.

ტრაპიზონის იმპერიაში ლაზური (ქართული) ტენდენციები ბატონობდა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა თბილისი. ტრაპიზონის მეფეთა სულისკვეთება მთლიანად და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული. სამეფო კარზე ქართული დიდებულები და მრჩევლები ჭარბობდნენ.

ტრაპიზონის სამეფო ნაწილი იყო სრულიად საქართველოს იმპერიისა, მისი ყმადნაფიცი.

თამარმა პირველმა დაიპყრო ბიზანტიის იმპერია, ქართული მიწებიც წაართვა და ახალი სამეფოც დაუარსა ცხვირწინ... მაგრამ იმის მაგივრად, რომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში (VIII-XI საუკუნეებში ეს ქვეყნები ბიზანტიელი კეისრების ხელში იყო და ქართველებმა მხოლოდ XIII საუკუნის დასაწყისში შემოიერთეს — კ. შ.) ქართველებზე დაშორებული და მოწყვეტილი ღვიძლი ძმები ლაზები და ჭანები ქართველობისაკენ მოებრუნებინა და დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს სამეფოსათვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დააარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ანდრონიკეს შვილს უბოძა, როცა შემდგომში ეს სამეფო ოსმალებმა დაიპყრეს, მაჰმადიანობამ ლაზებს შორის ფეხი მოიკიდა და გადაგვარებას ხელი შეუწყო. ამისდა მიუხედავად ბევრ მათგანს ეხლაც თავისი დედაენა არ დაუკარგავს და ლაზურად ლაპარაკობს. ინგლისის კონსული ვ. ჯიფფორდი პალჰერი 1868 წელს ტრაპიზონში დაწერილი მოხსენებაში ამბობს: ტრაპიზონის ვილაიეთში, რომელიც შეკვეთილიდან იწყება და ყიზილ ირმაყამდის (ძველი ღალისი) გასტანს, ოფიციალური ცნობით 850 ათასამდე მცხოვრებია, მათ შორის 56 ათასი ქრისტიანია, — მაჰმადიანები განსაკუთრებით ლაზები არიან, ხოლო თვით ლაზისტანში ლაზების მეტი არავინ ცხოვრობს. თერევას კაიამაკში (ოლქი), ქ. კერასუნტისკენ, ერთ მაზრაში (კაზა) განსაკუთრებით ლაზები ცხოვრობენო.

ამგვარად, თუმცა ლაზურ-ჭანურ შტოს ერთმა წილმა დედაენა შეინარჩუნა, მაგრამ ქართველი ტომების საერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყდა და ამის გამო საქართველოს მერმინდელი ისტორიისათვის მათმა არსებობამ უნაყოფოდ ჩაიარა, წერს ივანე ჯავახიშვილი. ამ დებულებას ექვთიმე თაყაიშვილი არასწორად მიიჩნევს.

ეს გარემოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. VII საუკუნიდან ქრ-წინ მოყოლებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაპირებისა და მის მოსაზღვრე ქვეყანაში არასდროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ფეხი არ შეუდგამს და არ მოუკიდნია; მაშასადამე, ქართველებს არც შეეძლოთ, რომ აქ თავიანთი ენა რაიმე გზით გაევრცელებინათ, პირიქით, სპარსების, ბერძნების, რომაელების, ბიზანტიელების, სელჯუკების და ოსმალების ხანგრძლივ ბატონობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა ადგილობრივ მკვიდრთა დედაენაში და მოსალოდნელიც იყო, რომ მათ თავიანთი დედაენა დავიწყებოდათ. თუ მრავალ უცხოელთა ხანგრძლივ ბატონობის მიუხედავად აქ მაინც ლაზურ-ჭანური ლაპარაკი ეხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი საბუთია და მომასწავებელი, რომ ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსონიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურს — ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველა ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ.

სტრაბონის დროს კი, ესე იგი პირველი საუკუნის დამდეგს, კოლხიდა დიდ სამეფოდ ითვლებოდა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ეპყრა.

სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ფაზისის ზღვაში შესართავთან ამავე სახელის ქალაქი და ნავსადგური ძევს; მას ერთი მხრით ზღვა აკრავს, მეორე მხრით მდინარე, მესამე მხრით ტბაო. აღწერილობა იმდენად ცხადია, რომ შეუძლებელია იგი ახლანდელ ფოთად არ ვაღიაროთ, რომელსაც პალიასტომი, რიონი და ზღვა არტყია. (**ივანე ჯავახიშვილი,** ქართველების სამი შტო, ჟურნ. **„აია"**, 2001, №9-10, გვ. 8-14).

ივანე ჯავახიშვილი წერს: **„კოლხეთის მოსახლეობა მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა. პლინიუსი ამბობს, ზღვის პირას ჰენიოხები (რომელსაც იგი სანების, ანუ ზანების ტომად სთვლის), ლაზები და შემდეგ კოლხების ტომები ცხოვრობენო."**

პტოლომეს (**ივ. ჯავახიშვილის** მიერ ნახსენები პტოლომე — პტოლომეუსი (კლავდიოს პტოლემაიოსი დაახლოებით 100-178) იყო გამოჩენილი ასტრონომი და გეოგრაფოსი ელინისტური ხანისა. მისი **„გეოგრაფიის სახელმძღვანელო"** შეიცავს დიდად საყურადღებო ცნობებს კოლხეთის შესახებ). სიტყვით ზღვის პირას კოლხიდაში ლაზები ცხოვრობდნენ, იმათ ზემოთ მეგრელები და ეგრისში მოსახლე ტომებიო! პირველ საუკუნეს ქრ. შემდეგ კოლხიდაში ლაზებისა და მეგრელების ტომები ცხოვრობდნენ; ძველად, როგორც ეტყობა, უპირატესობა და ძალა კოლხების ხელში ყოფილა, — ეს იქიდან ჩანს, რომ მათ მთელ ამ ქვეყანას თავიანთ ტომის სახელი — კოლხიდა — მიანიჭეს; მერე ლაზები გაძლიერებულან და ამავე ქვეყანას ლაზიკა დაერქვა.

ივანე ჯავახიშვილი შემდეგ ამბობს: პლინიუსის და პტოლომეს ცნობები ამტკიცებენ, რომ კოლხიდაში მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს წარმომადგენელი ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ მას ცოტა არ იყოს ის გარემოება არღვევს, რომ ეხლა ამ ადგილებში, სახელდობრ, გურიასა და იმერეთში მეგრელები კი არა, ქართულია გაბატონებული. გურულები და იმერლები მეგრულ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუაგულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამის მიუხედავად, ჩვენი ზემოთაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად მთელი კოლხეთის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო: ბევრი სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არადა მათ ცხადია მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ. მაგალითად: ჯიხანჯირი, (ჯიხა-ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (**ჭყონი-მუხალრაკონ**), მდ. **ოჩ**ხამური (ოჩხამური, ო+ჩხამური ჩხომი-თევზი, როგორც ოკალმახე), **ოჭ**ილაური (ო+ჭილა+ური- საჭილაო), ჭყვ**იში**, ჭყე**იშ**აური, **ჭანი**ეთი, მდ. **გუბა**ზეული, მდ. კინტ**რიში**, ონჭიკეთი და სხვა. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს შეუძლიათ. მაშასადამე ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში, მეგრელებისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარტო გურიაში კი არა, ეხლა ცხენის წყალი სამეგრელოს აღმოსავლეთის საზღვრად ითვლება; შემდეგ აგრძელებს: საგეოგრაფო სახელები კი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ; მაგალითად: სოფ. **ჯიხა**იში (ჯიხა-ციხე), ჩხე**ნიში**, კულა**ში**, ნა**ჯიხ**ევი, (ნაციხევი). ქუთაისის ჩრდილოეთითაც, მდ. რიონის მიდამოებიც ძველად მეგრელებს უნდა სჭეროდათ; იქაც ასეთი საგეოგრაფო სახელები გვხვდება, როგორც მაგალითად: **ჯიმა**სკარა (ჯიმა —ძმა), **ოფურჩხ**ეთი, ვანჭე**იში**, ტყვ**იში**, ნავოროლ**ეში**, გვერ**იში**, სურმუ**ში**, კორე**ნიში**, **ო**კრიბა და სხვა.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", გაზეთი "ილორი" გულითადად ულოცავენ მხცოვან, ამაგდარ მეცნიერსა და მამულიშვილს ბატონ კლიმენტი შელიას დაბადებიდან 88 წლის იუბილეს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, რათა ახალი ნაშრომებითა და ისტორიული აღმოჩენებით კვლავაც გაახაროს ქართველი ერი!**

# კახი კალაძე: ჯერ დენი გაიაფდება, შემდეგ — გაზი და...

**რამდენიმე დღის წინ, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ სპეციალური ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება ამცნო. თავის ექსკლუზიურ ინტერვიუში, მინისტრი კონკრეტულ ციფრებს არ ასახელებს, მაგრამ ამბობს, რომ დენის ტარიფი რამდენიმე თეთრით შემცირდება, რადგან "ინტერ რაოსთან" მოლაპარაკება თითქმის დასრულდა. რის ხარჯზე შემცირდება ელექტროენერგიის ტარიფი, როგორ ხსნის პრემიერ-მინისტრისა და "სოკარის" პრეზიდენტის შეხვედრას, რა იყო "კალა კაპიტალის" კრიზისის მიზეზი, რატომ იყო ენერგეტიკის სამინისტრო მიუწვდომელი და როგორ "აბოლებდნენ" წინა ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებას? ამ კითხვებს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე პასუხობს:**

— ტარიფები მართლაც აქტუალური თემაა და საზოგადოება განსაკუთრებით ელოდება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება. გაურკვევლობა, ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით, ტექნიკური შეცდომის გამო წარმოიშვა, როდესაც ჟურნალისტმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ტარიფების განახევრებაზე დაუსვა კითხვა. ბატონმა ბიძინამ სიტყვა — განახევრება გაიმეორა და დასძინა, რომ ტარიფების განახევრება წარმოუდგენელი იქნებოდა. ეს მართლაც ასეა, რადგან წინასაარჩევნოდ, მოსახლეობისთვის ტარიფების განახევრების პირობა არ მიგვიცია, ჩვენ ვამბობდით, რომ ტარიფები აუცილებლად შემცირდებოდა და ეს მართლაც ასე იქნება.

ტარიფების შემცირება-არშემცირების თემით უმცირესობა, ანუ **"ნაციონალური მოძრაობა"** მანიპულირებდა, ჩვენი დანიშვნის დღიდან გამუდმებით გვახსენებდნენ, სად არის თქვენი დანაპირები. სწორედ **"ნაციონალურ მოძრაობას"** უნდოდა, ხალხში გაურკვევლობა შემოეტანა, მაგრამ მათ ეს არ გამოუვიდათ. ენერგეტიკის მინისტრად ჩემი დანიშვნის პირველივე დღიდან, აქტიურად ჩავერთე ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებულ სამუშაოში, რადგან ეს არის თემა, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობას აწუხებს. ფაქტობრივად, პროცესი უკვე დასრულებულია, დეტალებს ჯერ არ დავაკონკრეტებ, მაგრამ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ რამდენიმე დღეში, ბრიფინგს ჩავატარებთ და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა გაიგებს, რამდენით შემცირდება ელექტროენერგიის ტარიფი.

უკვე დავასრულეთ მოლაპარაკება **"ინტერ რაოსთან",** მაგრამ ახლა დეტალებს ვაზუსტებთ. კონკრეტულ ციფრებზე, თუ რამდენი თეთრით შემცირდება დენის ტარიფი, ახლა არ ვისაუბრებ, მაგრამ დეტალურ ინფორმაციას მხოლოდ მას შემდეგ მოგაწვდით, როდესაც მემორანდუმსა და კონტრაქტებს ხელს მოვაწერთ.

**— ბატონო კახა, ესე იგი, "ქართული ოცნება" დანაპირებს შეასრულებს, ანუ დენისა და გაზის ტარიფს გააიაფებს?**

— დიახ, პირობას აუცილებლად შევასრულებთ. რაც შეეხება გაზის ტარიფს, მის შემცირებაზეც მუშაობს ჯგუფი, მაგრამ ჯერ ჩამოყალიბებულები არ ვართ. ამ ეტაპზე, მხოლოდ დენის ტარიფის შემცირების თემა დავასრულეთ, მაგრამ მომდევნო ეტაპზე, გაზისა და საწვავის გაიაფებაზეც ვიმუშავებთ. ეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და ჩვენს ინტერესებში შედის, ამიტომ დენის შემდეგ გაზი და საწვავი აუცილებლად გაიაფდება.

**— სამწუხაროდ, ტარიფის ფორმულა გამჭირვალე არ არის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ი) საიტზე დევს საკანონმდებლო აქტები, რის მიხედვითაც ტარიფის გაანგარიშება ხდება, მაგრამ საკმაოდ ბუნდოვანი მუხლებია, რაც ორმაგად იკითხება. თუ არის თქვენთვის ცნობილი ფორმულა, რის მიხედვითაც ტარიფი დგება და რა რესურსი არსებობს მის შესამცირებლად?**

— სამუშაო ჯგუფში, რომელიც ტარიფის შემცირების თემაზე მუშაობს, სემეკ-ის **"თელასის", "ენერგო პრო ჯორჯიას",** ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე ენერგეტიკოსები შედიან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ, როგორც სამინისტროს, არ შეგვიძლია ერთპიროვნული გადაწყვეტილება მივიღოთ, ან მივუთითოთ კომპანიებს, რომ ტარიფი შეამცირონ. მეტიც, ეს ჩვენი კი არა, მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციაა. რაც შეეხება ტარიფს, ეს დგინდება გენერაციის, გადაცემისა და დისტრიბუციის ხარჯზე. ჩვენი მონაცემებით, ტარიფის შემცირება მხოლოდ და მხოლოდ დისტრიბუციის ხარჯზე იყო შესაძლებელი, რადგან დისტრიბუციის მოგების მარჟა საკმაოდ დიდია ტარიფში, დაახლოებით, 20%-დან 40%-მდე და მისი შემცირება შეგვეძლო. მეტიც, ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო, რადგან ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ 2006 წლის შემდეგ, ტარიფისთვის არც კი გადაუხედავთ. სხვათა შორის, წინა ხელისუფლებასაც შეეძლო იმის გაკეთება, რაც ახლა ჩვენ გავაკეთეთ.

**— სემეკ-ის ფუნქცია მხოლოდ ის ხომ არ არის, სადისტრიბუციო კომპანიის გადაწყვეტილება დააკმაყოფილოს ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში, პირადად მე, სემეკ-ის არც ერთი გადაწყვეტილება არ მახსენდება, როდესაც მოსახლეობის ინტერესი გაითვალისწინეს და გაზის, ან დენის ტარიფი შეამცირეს.**

— თქვენ ხომ კარგად იცით, რა ქვეყანაში გვიწევდა ცხოვრება. სემეკ-ი ვითომ დამოუკიდებელი იყო, სინამდვილეში კი, იმ მითითებებს ასრულებდა, რასაც ზემოდან უბრძანებდნენ, სხვა არავითარი ფუნქცია სემეკ-ს არ ჰქონია. ჩვენ მართლა გვინდა, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ნამდვილად დამოუკიდებელი იყოს და არ იღებდეს მითითებას ენერგეტიკის მინისტრის, ან პრემიერ-მინისტრისგან.

**— ბატონო კახა, გაუგებარია, რატომ ეახლა პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანული კომპანია "სოკარის" ხელმძღვანელობას, ამას პრესაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მინიშნებები კეთდებოდა ენერგომაფიის გავლენაზე, იმაზეც, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, აბსოლუტურად ყველა ხელშეკრულება, რაც კი "ინტერ რაოსთან", "ინტერასთან", ან თუნდაც "სოკართან" გვაქვს გაფორმებული, გამჭირვალე არ არის და არც კი ვიცით, რა პირობებია ჩადებული. თქვენ თუ იცით, რა წერია ამ ხელშეკრულებებში?**

— გრიფით საიდუმლო იყო ეს ხელშეკრულება. კითხვები, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, იმან გამოიწვია, რომ ზოგადად, ენერგეტიკის სამინისტრო მიუწვდომელი იყო. არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა მემორანდუმებთან, ჰესების მშენებლობასა და სხვადასხვა კონტრაქტებთან დაკავშირებით. ტარიფების თემაც კი ტაბუდადებული იყო და არანაირი განმარტებები არ კეთდებოდა. საზოგადოების ამგვარი ინტერესი კი აბსოლუტურად ნორმალურად მიმაჩნია და მეც ზუსტად ასეთი რეაქცია მექნებოდა, რადგან როდესაც რაღაცას მიმალავენ, სრულიად ბუნებრივად მიჩნდება კითხვები. პირველი, რაც სამინისტროში მოსვლის დღიდან გავაკეთეთ, ეს არის მეტი გამჭირვალობა. ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროექტები, რომელსაც განვახორციელებთ და პირობას გაძლევთ, ენერგეტიკის სამინისტროში არავითარი დამალული და ტაბუდადებული თემა აღარ იქნება.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ შეხვედრას, ეს იყო ბატონი ბიძინას გაცნობით შეხვედრა **"სოკარის"** ხელმძღვანელთან, როვნაგ აბდულაევთან, სადაც სამომავლო გეგმებზე არ გვისაუბრია. აზერბაიჯანი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ორ ქვეყანას შორის ნორმალურ, თბილ ურთიერთობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— როდესაც ბიძინა ივანიშვილმა ენერგეტიკის მინისტრად წარგადგინათ, კითხვა გაჩნდა — რატომ, კალაძე? არ დაგიმალავთ, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ შემდეგ თქვენი დაფუძნებული "კალა კაპიტალი" გამახსენდა, რომლის ერთ-ერთი, მთავარი მიმართულება ენერგეტიკული პროექტები იყო, საბანკო სფეროსა და დეველოპმენტთან ერთად. "კალა კაპიტალზე" ცალკე გკითხავთ, მაგრამ კონკრეტულად, რა ენერგეტიკული პროექტები განახორციელა ამ კომპანიის მფლობელობაში არსებულმა სააქციო საზოგადოება "საქჰიდრომშენმა"?**

— ენერგეტიკის დარგში, **"კალა კაპიტალს",** პრაქტიკულად, არაფერი გაუკეთებია. სამწუხაროდ, 2008 წელს ომი დაიწყო, აგვისტოს ომს კი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა და ყველაფერი გაჩერდა. რაც შეეხება **"საქჰიმდრომშენს",** ჩემი წილი ამ კომპანიაში 45% იყო. სხვათა შორის, როგორც კი ენერგეტიკის მინისტრად წარმადგინეს, ჭორებიც კი მოიგონეს, თითქოს **"საქჰიდრომშენი"** რამდენიმე ჰესს ფლობდა. ბევრი სისულელე ითქვა, მაგრამ სინამდვილეში, **"საქჰიდრომშენი"** სამშენებლო კომპანია იყო, რომელიც ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდა. მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე წარმადგინეს, ამ კომპანიაში და ზოგადად, ყველა კომპანიაში, ჩემი წილები გავყიდე.

**— ფინანსურმა კრიზისმა სამშენებლო და საბანკო სფეროს დაარტყა და ეს სრულიად საკმარისი მიზეზი იქნებოდა, 2008 წლის აგვისტოს ომზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ მაინც რა იყო "კალა კაპიტალის" კრიზისის მიზეზი? იმიტომ გეკითხებით, რომ ამ ჰოლდინგის მენეჯმენტს ზურაბ ნოღაიდელი მართავდა, კომპანიას კი ჯარიმები დაუგროვდა, რის გამოც 1 000 000 ლარის საურავი დაარიცხეს.**

— დიახ, ზურაბ ნოღაიდელი ამ კომპანიას მართავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, ჩვენი ბიზნეს-ურთიერთობა შეწყდა. რაც შეეხება ჯარიმას, ეს აბსურდია, არავითარი ჯარიმა არ დაგვიგროვებია, ეს იყო შავი პიარი, რომელიც დაშინების მიზნით ააგორეს და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს. არსენალის მთაზე საკმაოდ დიდი, სამშენებლო პროექტი უნდა განგვეხორციელებინა, რომელიც დაახლოებით, 1 500 000 000 აშშ დოლარი ჯდებოდა, მაგრამ კომპანიის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ომი და ფინანსური კრიზისი იყო.

თუმცა, ყველაზე საინტერესო ის იყო, რაც რამდენიმე ხნის შემდეგ, სრულიად შემთხვევით გავიგეთ: 80 ჰექტარი მიწა, რომელიც **"კალა კაპიტალმა"** არსენალის მთაზე შეისყიდა და რაშიც წინასწარ დაახლოებით 19 000 000 აშშ დოლარი გადავიხადეთ, აღმოჩნდა, რომ ამ მიწის 16 ჰექტარი საპატრიარქოს საკუთრებაში ყოფილა. ეს ყველაფერი ჩვენთვის დიდი სიურპრიზი და მოულოდნელობა იყო და დავიწყეთ მოლაპარაკებები ეკონომიკის სამინისტროსთან. სხვათა შორის, შეგვეძლო, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში გაგვესაჩივრებინა და საქართველოს, როგორც ქვეყანას, ძალიან დიდი თანხის გადახდა მოუწევდა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ.

შემდეგ, როდესაც პოლიტიკაში ჩავერთე, ამ პროექტიდან და კომპანიიდანაც საერთოდ წამოვედი, ჩემი პარტნიორები, რომლებიც ახლა **"კალა კაპიტალს"** მართავენ, ამ პროცესში ახლაც ჩართულები არიან, მაგრამ დეტალური ინფორმაცია არ მაქვს.

**— უკაცრავად, ეკონომიკის სამინისტრომ "კალა კაპიტალს" საპატრიარქოს კუთვნილი მიწა მიყიდა და კომპენსაციაც კი არ გადაიხადა?**

— დიახ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ყველაფერი თვითონაც არ იცოდნენ. როგორც გითხარით, ჩვენც შემთხვევით გავიგეთ, საპატრიარქომ მოგვმართა წერილობით და გვთხოვა, ჰქონდათ თუ არა უფლება, ამ მიწაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაეწყოთ. არ დაგიმალავთ, როდესაც წერილი მივიღეთ, გავგიჟდით, ვერ მივხვდით, არსენალის მთასთან საპატრიარქო რა შუაში იყო. რას ვიზამდით, ეკლესიის წინააღმდეგ ხომ არ დავიწყებდით ბრძოლას? რაც შეეხება კომპენსაციას, როგორც ვიცი, ახალ ხელისუფლებასთან ამ თემაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა, მაგრამ იმედი მაქვს, ეს პროცესი ნორმალურად დასრულდება.

**— თქვენი წინამორბედი ალეკო ხეთაგური "იტერას" ხელმძღვანელია, როგორ ფიქრობთ, ეს პრობლემას არ შეგიქმნით?**

— არა, **"იტერა"** უკვე აზერბაიჯანულმა **"სოკარმა"** იყიდა...

**— და ეს ფაქტი გამშვიდებთ, ხომ?**

— დიახ (იცინის). **"სოკარს"** რაც შეეხება, ეს კერძო კომპანიაა და მათი გადასაწყვეტია, ვის დანიშნავენ ამა თუ იმ თანამდებობაზე. ჩვენ ვერ მივუთითებთ და ვერც მათ საქმიანობაში ჩავერევით. ეს არ არის ენერგეტიკის სამინისტროს გადასაწყვეტი თემა, მაგრამ **"იტერაში"** ალეკო ხეთაგურის დანიშვნის გამო, პრობლემას ვერ ვხედავ.

**— ბატონო კახა, ზურაბ ნოღაიდელზე არაფერს გკითხავთ, მაგრამ თქვენ და რატი სამყურაშვილის ურთიერთობა კი ძალიან მაინტერესებს, ის ხომ "ნაციონალური მოძრაობის" საკმაოდ ცნობილი სახე იყო, თქვენ კი "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი, ეს ფაქტი უხერხულობას არ გიქმნიდათ ურთიერთობაში?**

— არა, ნამდვილად არ მიქმნიდა, რადგან როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, პოლიტიკაზე არ ვსაუბრობდით. მართალია, მე და რატის განსხვავებული შეხედულებები გვქონდა, მაგრამ ბოლო დროს, არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რატისაც სულ სხვა შეხედულება გაუჩნდა და ისე აღარ აქტიურობდა. მე და რატი ნათესავები ვართ, ძალიან დიდი ხანია ვმეგობრობთ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც არცერთ ჩვენგანს პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონდა. ზოგადად, თანამდებობის და პოლიტიკური შეხედულებების გამო, მეგობრებს არ ვირჩევ. რაც შეეხება ზურაბ ნოღაიდელს, მასთან ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით იქამდეც, ვიდრე პრემიერ-მინისტრი გახდებოდა და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**— ბოლო დროს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ინვესტორები ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობას გაურბიან, არადა ინვესტიციები სწორედ ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჭარბობდა. მართლა საგანგაშო სიტუაციაა?**

— არა, ნამდვილად არ არის საგანგაშო სიგნალი. ყველაფერი დამოკიდებულია იმ ცვლილებებზე, რაც ქვეყანაში მოხდა და ეს ნორმალურია. პირიქით, ძალიან დიდი ინვესტიციები განხორციელდება ქვეყანაში, მათ შორის ენერგეტიკის მიმართულებით. მართალია, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ საქართველოში უამრავი ინვესტორი შემოვიყვანეთ, რომლებიც ჰესებს აშენებენ, მაგრამ სინამდვილეში, ეს ყველაფერი ბოლი იყო.

**"ნაციონალური მოძრაობის"** წარმომადგენლები თავს იწონებდნენ, რომ 15 ჰესზე მშენებლობაა დაწყებული, 30 ჰესზე კი მემორანდუმი გაფორმდა, რაც დიდი ტყუილია. სულ 3-4 ჰესია, სადაც რეალურად, სამუშაოებია დაწყებული, დანარჩენ ჰესებზე კი მხოლოდ მემორანდუმებია გაფორმებული. ჯერ ტექნიკურ-ეკონომიკური ხედები უნდა დადონ და ამის შემდეგ განხორციელდება ინვესტიციები. ცხადია, ყველა ეს პროექტი დასრულდება, მაგრამ ახლა ვსწავლობთ თითოეულ კონტრაქტს და მემორანდუმს, რომლებშიც სულ სხვადასხვა ხედვებია, რაც ჩემთვის გაურკვეველია.

არის მემორანდუმი, რომელშიც ჯარიმებია ჩადებული, სხვა მემორანდუმში საერთოდ არ არის ჯარიმა გათვალისწინებული, მითითებულიც კი არ არის ჰესის მშენებლობის დაწყების, დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ პროექტებთან მიმართებაში, მეგობრულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

**— "თელასის" გაფიცულ მუშებთან დაკავშირებით, რა ვითარებაა ახლა?**

— მართალია, ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდა, მაგრამ ამ პროცესში მაინც ჩავერთეთ, რადგან ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კარგია, რომ **"თელასის"** გაფიცული მუშები გაგახსენდათ, რადგან ისე დაივიწყეს ეს თემა, თითქოს არაფერი მომხდარა. ყველაფერი პოზიტიურად დასრულდა, ამიტომ ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რადგან ბევრი ადამიანი დაუბრუნდა თავის სამუშაო ადგილს, თუმცა პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ ეს ადამიანები სამუშაო ადგილებს დაბრუნებოდნენ, ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება მათი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით მიეღო და არა პოლიტიკური შეხედულებებით.

**მ. მიშელაძე**

# მურთაზ ხურცილავა: უკვე რამდენი წელია, სიმართლეს არ ვლაპარაკობთ...




ერთი პერიოდი მურთაზ ხურცილავა აღარ ჩანდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. ახლა კი ისევ იქ არის, საპატიო ვიცე-პრეზიდენტია. ხურცილავას მალე 70 წელი შეუსრულდება, თუმცა მასთან ინტერვიუზე რომ მივედი, მითხრა, ამჯერად განვლილ ათწლეულებს ნუ მიმოვიხილავთო. ხურცილავასაც ქართულ ფეხბურთში შექმნილ ახლანდელ ვითარებაზე ველაპარაკეთ და ბატონი მურთაზიც მხოლოდ ზოგადი საუბრით არ შემოიფარგლა. ხურცილავა ის ფიგურაა, რომლის ნათქვამი ყოველთვის ყურადსაღებია. რასაც ის ამ ინტერვიუში ამბობს, ზოგისთვის ალბათ მიუღებელი იქნება, თუმცა სავსებით ნორმალურია – ქართულ ფეხბურთში ბევრი ისეთი საკითხია, კამათი მართლაც რომ შეიძლება...

**– რამდენიმე თვე ისე გავიდა, მურთაზ ხურცილავა ფეხბურთის ფედერაციაში არ უნახავთ – რა იყო ამის მიზეზი?**

– ფეხბურთიდან არასდროს წავსულვარ, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი ვარ ამ დროისთვის, მერე კი შესაძლოა რაღაც-რაღაცები შეიცვალოს.

**– გაუჩინარების მიზეზი, ალბათ, თქვენი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა იყო...**

– ფეხბურთში დროებით არ ვჩანდი. ალბათ ყველამ იცის, რომ მარტვილის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად საპარლამენტო არჩევნებში კენჭს ვიყრიდი. აღარ მსურს ამაზე ლაპარაკი, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მარტვილში არჩევნებისას მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

**– ფეხბურთელის კარიერის შემდეგ არცთუ მცირე სამწვრთნელო გამოცდილება მიიღეთ. არასდროს გიფიქრიათ იმაზე, რომ ხელმეორედ დაბრუნებოდით ამ საქმეს?**

– მწვრთნელობა ისედაც რთული პროფესიაა, საქართველოში კი განსაკუთრებით, პირობებს ვგულისხმობ. ახლახან **"ზუგდიდს"** შეექმნა პრობლემები... მოკლედ, მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის.

**– საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელი იყავით. გქონდათ საფუძვლიანი საუბარი ბიძინა ივანიშვილთან ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებაზე?**

– რა თქმა უნდა, ასეთი საუბარი გვქონდა. ბატონი ბიძინა ისეთი პიროვნებაა, რომ ყველა საჭირბოროტო საკითხი აინტერესებს. წინასწარ არ მიყვარს საუბარი, მაგრამ ერთი ვიცი – ივანიშვილი ქართულ ფეხბურთს დაეხმარება.

**– ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი საქართველოს ეროვნული ნაკრებია. ბევრი რამ იცვლება, მაგრამ ჩვენი ეროვნული გუნდის შედეგი თითქმის ერთი და იგივეა...**

– მე მაინც მგონია, რომ სანამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონე არ ამაღლდება, ჩვენი ნაკრები სულ ამ მდგომარეობაში იქნება. თემურ ქეცბაიას, მისი თანაშემწეების და ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, ნაკრებს ასეთი შედეგი აქვს. ფაქტია, რომ ფეხბურთის ფედერაცია ჩვენს ყველა ნაკრებს კარგ პირობებში ამყოფებს, რასაც მწვრთნელები იტყვიან, ყველაფერი სრულდება. ეს პირადად ფედერაციის პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას დამსახურებაცაა.

**– ადრე არაერთხელ გითქვამთ, ეროვნულ ნაკრებს ქართველი მწვრთნელი უხდებაო – ახლაც ამ პოზიციაზე ხართ?**

– და რომელი უცხოელი მწვრთნელის ხელში აჩვენა საქართველოს ნაკრებმა უკეთესი შედეგი? ნაკრებს თავი რომ დავანებოთ, რომელ ქართულ კლუბში მოხდა ისე, რომ უცხოელ მწვრთნელს ქართველზე უკეთესი შედეგი ჰქონდა? მიმაჩნია, რომ ქართველი მწვრთნელი უცხოელზე უკეთ აუღებს ალღოს აქაურობას და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველს უფრო შესტკივა გული ჩვენს ნაკრებებზე და კლუბებზე, ვიდრე უცხოელს. ასე რომ, ისევ ქართველი მწვრთნელების მომხრე ვარ.

**– ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა ბირთვზე რას იტყოდით? საინტერესოა თქვენეული შეფასება...**

– ბირთვს 6-7 ფეხბურთელი უნდა შეადგენდეს და ყველანი გუნდის წამყვანი მოთამაშეები უნდა იყვნენ. დღეს ამდენი წამყვანი ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს. ერთი-ორი წამყვანი ფეხბურთელი ბევრს არაფერს ნიშნავს...

**– და ვინ მიგაჩნიათ გამორჩეულ ფეხბურთელებად საქართველოს ნაკრებში?**

– ამ ნაკრებში არაერთი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ რასაც მართლა გამორჩეული ჰქვია, ეს სულ სხვა რაღაცაა. არ ვიცი, ასეთი ვინ არის საქართველოს ამ ნაკრებში...

**– რას ურჩევდით საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს?**

– რჩევა რომ საქმეს შველოდეს, მათ ჰყავთ მრჩევლები. საქმე ისაა, რომ დიდი განსხვავებაა კლუბსა და ნაკრებში თამაშში. ნაკრებში თავი რომ გამოიჩინო, ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელი უნდა იყო. ნაკრებში სულ სხვა მოთხოვნებია...

**– ანუ ჩვენი ნაკრების მთავარ პრობლემად ფეხბურთელი მიგაჩნიათ?**

– ფეხბურთელი პრობლემაა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ კარგი შედეგის მიღწევას ვგულისხმობთ.

**– და გამორჩეული ფეხბურთელები რომ აღარ არიან საქართველოს ნაკრებში, ეს რისი ბრალი უნდა იყოს?**

– ასეთი პრობლემის წინაშე მხოლოდ საქართველოს ნაკრები როდია. ქართულ კლუბებს ლეგიონერები რომ ჩამოჰყავთ, ეს გამართლებულად არ მიმაჩნია, რადგან ჩვენთან არ ჩამოდის იმ დონის ლეგიონერი, როგორიც სასურველი იქნებოდა.

**– "დინამოს" ესპანელი ლეგიონერი ჩისკოც არ მოგწონთ?**

– ჩისკოს დონის ფეხბურთელი საქართველოში არ არის? ლეგიონერი ადგილობრივ ფეხბურთელს ათი თავით თუ არა, ერთი თავით მაინც უნდა სჯობდეს, ჩვენთან კი უმეტეს შემთხვევაში ასე არ ხდება. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ლეგიონერებზე ლიმიტი დაწესდება და ქართულ კლუბს არაუმეტეს სამი ლეგიონერის მოწვევის უფლება ექნება. ეს ყველაფერი, პირველ რიგში, ჩვენს ნაკრებს გამოადგება. საქართველოში ლეგიონერი ჩამოიყვანო, სათადარიგოთა სკამზე იჯდეს და იქაც ქართველის ადგილს იკავებდეს, ამას დადებითად ვერ შევაფასებ...

**– უკეთესობას როდის უნდა ველოდოთ ქართულ ფეხბურთში?**

– უკვე რამდენი წელია, რაც სიმართლეს არ ვლაპარაკობთ – საქართველოს ნაკრებს ამ რესურსით ვერ ექნება ის შედეგი, რაც ჩვენ ყველას ასე ძალიან გვინდა და წარუმატებლობა მხოლოდ მწვრთნელებს არ უნდა დავაბრალოთ.

**– ამ ცოტა ხნის წინათ აქტუალური გახდა ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების თემა - თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

– დღევანდელი სიტუაცია ნამდვილად არ ითხოვს რიგგარეშე არჩევნების გამართვას.

**– მიგაჩნიათ, რომ წინა ორი არჩევნები სამართლიან გარემოში ჩატარდა?**

– დიახ და ვფიქრობ, რომ ამაზე უფრო სხვა რამეა საზრუნავი ქართულ ფეხბურთში.

**– ზვიად სიჭინავამ ორჯერ ისე გაიმარჯვა არჩევნებში, რომ მეტოქე არ ჰყოლია – ეს არ არის დამაფიქრებელი?**

– წამოეყენებინათ მერე კანდიდატურა, ვისი შეეშინდათ?..

**რ. შალამბერიძე**

# დავით სერგიენკო – პენსიების მომატება აპრილიდან დაიწყება

**გვესაუბრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი დავით სერგიენკო**

**– ბატონო დავით, საყოველთაო დაზღვევა ახალი მმართველი ძალის ერთ-ერთი საარჩევნო დაპირება იყო. რა ნაბიჯები გადაიდგა მის შესასრულებლად?**

**– ამჟამად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაახლოებით ნახევარი, არანაირი სამედიცინო სადაზღვევო პაკეტით არ სარგებლობს. ჩვენი ამოცანაა, რომ თებერვლის ბოლოსთვის ის ადამიანები, რომლებსაც დღეს დაზღვევა არა აქვთ, მინიმალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველვყოთ, ხოლო 2013 წლის პირველი ივლისიდან მინიმალური სადაზღვევო პაკეტი შევცვალოთ საბაზისო პაკეტით, რომლითაც გაცილებით მეტი მომსახურების მიღება შეიძლება.**

**– რა მომსახურებას გულისხმობს მინიმალური და საბაზისო სადაზღვევო პაკეტები?**

**– მინიმალური პაკეტი, ძირითადად, ორი ბლოკისგან შედგება: ეს არის ოჯახის ექიმთან ვიზიტის შეუზღუდავი ლიმიტი და გადაუდებელ შემთხვევებში მკურნალობის საშუალება, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პირობებში. აგრეთვე, ძირითადი საბაზო ამბულატორიული გამოკვლევები, როგორც ლაბორატორიული, ისე დიაგნოსტიკური. რაც შეეხება საბაზისო პაკეტს, ის მოიცავს მინიმალური პაკეტით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებასა და დამატებით, გეგმური სამედიცინო შემთხვევების მართვას, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ გარემოში, მეტად არის გაზრდილი დიაგნოსტიკური კვლევების შესაძლებლობა, ასევე, ორსულობისა და მშობიარობის უზრუნველყოფა.**

**– ამ პროგრამის ამოქმედებისას სამედიცინო დაწესებულებას, შესაძლოა, ერთბაშად პაციენტთა დიდი ნაკადი მიაწყდეს, მზად არის სისტემა ამ ცვლილებისთვის, ხომ არ გახდება პროცესი უმართავი? თქვენი ოპონენტები საუბრობენ კორუფციული გარიგების შესაძლებლობაზეც.**

**– ამგვარი მასშტაბის ცვლილებას რისკი, რა თქმა უნდა, ახლავს. ამიტომ, პროექტის განუყოფელი ნაწილი ამ რისკების გათვლა და მაქსიმალურად თავიდან აცილებაა. ამ საქმეში კორუფციის გაჩენის ალბათობა ზუსტად ისეთივეა, როგორიც ნებისმიერ სხვა სფეროში, ამას სჭირდება გამჭვირვალეობა, ინფორმაციის საჯაროობა და სწორი ადმინისტრირება. სტრუქტურა ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდისა, რომელიც ახალდაზღვეულ მოქალაქეებს მოემსახურება, მაქსიმალურად გამჭვირვალეა, მასში შედიან როგორც ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე, საზოგადოების, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კორუფციის რისკი მცირე იქნება. რაც შეეხება პაციენტთა ახალი ნაკადის გაჩენას, ეს მნიშვნელოვანი საკითხია და ყველაფერს ვილონებთ მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად. ის, რომ ქვეყანაში 2 მილიონით მეტი ადამიანი დაეზღვევა თებერვლის ბოლოს, არ ნიშნავს, რომ მეორე დღესვე 2 მილიონით მეტი ადამიანი მიაკითხავს სამედიცინო დაწესებულებებს, რადგან ეს ეხება ოჯახის ექიმთან ვიზიტის შესაძლებლობასა და გადაუდებელ დახმარებას, თუმცა, ნაკადი, რა თქმა უნდა, გაიზრდება, რასაც საპასუხო ნაბიჯებით ვუპასუხებთ.**

**– ხშირად კამათობენ, მსოფლიოში არსებული სადაზღვევო სისტემებიდან რომელია საქართველოსთვის უფრო მისაღები: ევროპული თუ ამერიკული?**

**– მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემის ოთხი კლასიკური მოდელი არსებობს, თუმცა, არ არც ერთი ქვეყანა უპირატესობას ერთ მოდელს არ ანიჭებს, თავისი პრობლემატიკიდან, სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ ნაერთს, ნაზავს იყენებენ მიზნის მისაღწევად. გამონაკლისი არც საქართველოა, განვითარების ყველა ეტაპზე ქვეყანა განსხვავებული ამოცანების წინაშე იდგა. ამჟამინდელი რეალობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უფრო ოპტიმალური გამოსავალია გადასვლა ე.წ. უნივერსალურ ჯანდაცვის მოდელზე ანუ, სამედიცინო მომსახურება ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იქნება, თუმცა, განსხვავებულ ფარგლებში. სოციალურად დაუცველი მოქალაქე, მოხუცი და ბავშვი ამ მომსახურებით საჭიროების გათვალისწინებით ისარგებლებენ, საშუალო ასაკის დასაქმებული და ნაკლები რისკის მქონე ადამიანები – ამ რისკების შესაბამისად.**

**– როდის მოემატებათ დევნილებს დახმარება?**

**– სოციალური თემა, ისევე როგორც ჯანდაცვა, მეტად სათუთია, რა თანხაა საკმარისი ადამიანის დასახმარებლად? ვინ იტყვის, რომ ესა თუ ის თანხა უკვე საკმარისია და ამაზე მეტი, მით უმეტეს, სოციალურად დაუცველს აღარ სჭირდება? "ქართული ოცნების" საარჩევნო დაპირებები, რა თქმა უნდა, შესრულდება და მომავალი წლის განმავლობაში მოხდება სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, დევნილების დახმარებებისა და შემწეობების ეტაპობრივი ზრდა. ეს გრაფიკი, დროში გაწერილი, უკვე შექმნილია და რამდენიმე დღეში წარედგინება საქართველოს პარლამენტს, ამის შემდეგ ეს ციფრები საჯარო გახდება. მთელი 2013 წლის განმავლობაში დევნილთა დახმარება თანდათან გაიზრდება.**

**– ბოლო ხანს ძალზე გახშირდა დევნილების შეჭრა სხვადასხვა დაწესებულებაში, ისინი საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებას ითხოვენ; როგორია სამინისტროს პოზიცია?**

**– რაც შეეხება სხვადასხვა დაწესებულებაში დევნილთა მასობრივი შეჭრის ფაქტებს, შემიძლია ვივარაუდო, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ არ მინდა ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი, ვიდრე პრობლემას ღრმად არ შევისწავლი. ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად დავხმარებოდით ამ ადამიანებს, ისინი ზამთარში, რთულ პირობებში ქუჩაში რომ არ აღმოჩენილიყვნენ. მათ ვუთხარით, რომ 200 ლარის ფარგლებში ბინის ქირას გადავუხდიდით, ისინი კი მუდმივი საცხოვრებლით დაკმაყოფილებას ითხოვენ, რითაც, ხშირად არათუ სოციალურად დაუცველი, უფრო შეძლებული ფენის ადამიანებიც კი არ არიან უზრუნველყოფილი. საკუთარი საცხოვრებელი ბინა არათუ საქართველოს, ევროპის სახელმწიფოების ბევრ მოქალაქეს არა აქვს და ქირით ცხოვრობენ. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე დევნილებს საუკეთესო გადაწყვეტილება შევთავაზეთ – ერთ ოჯახზე ბინის ქირა 200 ლარს შეადგენს, ეს თანხა სტატისტიკური კვლევის შედეგად დავადგინეთ, ასეთია ბინის ქირის ოდენობა თბილისის გარეუბნებში, ცხადია, რუსთაველის პროსპექტსა თუ საბურთალოზე მათთვის ბინის ქირაობას სამინისტრო ვერ გასწვდება.**

**– ძალზე აქტუალურია პენსიების თემა, "ქართული ოცნების" ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება პენსიების 220 ლარამდე გაზრდაც იყო.**

**– პენსიების მომატება აპრილიდან დაიწყება, ესეც ეტაპობრივი პროცესი იქნება. რიცხვი – 220 ლარი ჩემთვის უცნობია, წინასაარჩევნო პროგრამაში ამაზე არაფერია ნათქვამი, შესაძლოა, ეს თანხა დასახელდა კონკრეტული ადამიანების ინტერვიუების დროს წინასწარ ითქვა, რომ პენსია საარსებო მინიმუმს გატოლდება და დანაპირები აუცილებლად შესრულდება. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნე, 2013 წლის აპრილში დაიწყება მომატება და სექტემბერში პენსია საარსებო მინიმუმს გაუტოლდება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ნაკლები სამუშაო სტაჟის მქონე ადამიანები აღარ იქნებიან დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. ყველა პენსიონერის პენსია, სულ მცირე, საარსებო მინიმუმს გაუტოლდება. რაც შეეხება პენსიის შემდგომ ზრდას, ეს უკვე იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი იქნება ქვეყნის ბიუჯეტი, მთლიანი შიგა პროდუქტი. უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, აღორძინდეს ეკონომიკა, რაც წარმატებული სოციალური პოლიტიკის წინაპირობაა. ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური სფერო და განათლება ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტული მიმართულებებია.**

**– პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების უმრავლესობაში პენსია რამდენჯერმე აღემატება საქართველოში არსებული პენსიის მაქსიმალურ ოდენობას. შედარებისთვის, ესტონეთში პენსია დაახლოებით 660 ლარია, ლატვიაში – 550 ლარი, რა არის ასეთი სხვაობის ძირითადი მიზეზი?– ამ ქვეყნებმა წლების განმავლობაში ჩვენზე წარმატებით ჩაატარეს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური რეფორმები. საქართველოს მთლიანი ბიუჯეტი წელიწადში 8,2 მილიარდი ლარია, აქედან 2,3 მილიარდი ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე იხარჯება, ეს მთელი ბიუჯეტის დაახლოებით მესამედია. ამ თანხიდან 1,5-1,7 მილიარდი მხოლოდ საპენსიო ანაზღაურებას სჭირდება. ამიტომ პენსიების მომატებისთვის ჯერ ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სწორედ ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებშია მაღალი პენსიები.**

ნ. კვიტაშვილი

# ვარდან სედრაქიანი: “ჯავახეთს სომხეთს დავუბრუნებ”

**წელს სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ისევე, როგორც ჩვენთან, პრეზიდენტობის სურვილი სომხეთშიც ბევრს უჩნდება. ამ სურვილმა მწერალ ვარდან სედრაქიანსაც შეუღიტინა.**

როგორც სომეხი ექსპერტები განმარტავენ, მას დიდი შანსები არა აქვს და არც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის ამომრჩეველთა გულის მოგებას საქართველოს ხარჯზე აპირებს.

სხვა სომეხი პოლიტიკოსების მსგავსად, სედრაქიანსაც ეშმაკი არ ასვენებს და ჯავახეთის დაბრუნებით იმუქრება. მოგეხსენებათ, რომ სომეხი პოლიტიკოსების ნაწილი ჯავახეთს სომხეთის ტერიტორიად მიიჩნევენ. ერევანში არაერთხელ გაუმართავთ აქცია და ქართველებისაგან ამ მიწის დაბრუნება მოუთხოვიათ.

ასეთი მოთხოვნები რუსეთში მცხოვრებმა სომხებმაც გააჟღერეს. ერთი-ორმა კი პირობა დადო — ამ მიზანს იარაღით ხელში მივაღწევთო.

ნაკლებად რადიკალური სომხები მხოლოდ ჯავახეთის ავტონომიას სჯერდებიან. რამდენიმე წლის წინ მათ ჯავახეთის დროშა, ღერბი და ჰიმნიც კი შექმნეს.

ოფიციალური ერევანი ამ სულელურ მოთხოვნებს აიგნორირებს. და არა იმიტომ, რომ თავადაც არ მოსდის თავში მზაკვარი აზრები. უბრალოდ, მათ იციან, რომ თბილისთან ურთიერთობის გაფუჭება არ ღირს.

მართალია გვიმტკიცებენ, რომ სომხეთში საქართველოზე ამოსდით მზე, მაგრამ ანტიქართული რიტორიკა აქ კარგ ტონად ითვლება. ეს არც გამჭრიახ სედრაქიანს გამოეპარა. მან სომხების მოხიბვლა ნაცადი ხერხით სცადა.

ის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებს. ამის შესახებ განცხადება მან ერევანში, **“ტესაკეტის”** პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.

— ბევრი ფიქრობს, რომ სომხეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება არ შეუძლია, რადგან ეს მის ინტერესებში არ შედის, რამდენადაც საქართველოზე სომხეთისათვის მნიშვნელოვანი ბევრი გზა გადის. დღეს ჩვენ მსოფლიოსგან არცახის (ყარაბაღის) აღიარებას მოვითხოვთ, ასეთ შემთხვევაში კი ჩნდება კითხვა: ჩვენ თვითონ რატომ არ ვაღიარებთ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას? თუ სომხებს არ სურთ აზერბაიჯანის შემადგენლობაში ცხოვრება და დამოუკიდებლობა უნდათ, ეს სამართლიანია, მაგრამ თუ აფხაზები და ოსები მოინდომებენ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას — უსამართლოა?! — განაცხადა მან.

*პრეზიდენტობის კანდიდატი სოხუმის და ცხინვალის აღიარებას აპირებს*

სედრაქიანი უფრო შორს წავიდა და აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოითხოვა.

— ისტორიულად აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო. ამიტომ აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობა ქუთაისთან ერთად უნდა აღსდგეს, — ამბობს სომეხი მწერალი.

— აფხაზეთთან სომხებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ბევრჯერ დამიწერია და კიდევ გავიხსენებ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის ნამოქმედარს. ასეთი სისასტიკე ქართველების მიმართ არავის არ გამოუჩენია. ბაგრამიანელები თვეების ბავშვებსაც კი ხოცავდნენ. ქართველების განდევნის შემდეგ კი ბედნიერები ბღაოდნენ **“აფხაზია, ეტა ნაშა მალენკაია არმენია”**-ო.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ამ ომის დროს ბევრი სომეხი ბიჭი იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ბევრმა თავი შესწირა ქვეყანას. ბაგრამიანელები კი სხვანაირად მოიქცნენ.

ქართველმა საზოგადოებამ არაერთხელ მოსთხოვა ოფიციალურ ერევანს ბაგრამიანელთა ნამოქმედარის შეფასება. მათ ღვაწლზე კომენტარის შეფასება არც სომეხთა პატრიარქმა გარეგინმა ისურვა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მათ ნამოქმედარს არ იწუნებენ.

სხვათა შორის, ვარდან სედრაქიანი არაა პირველი სომეხი პოლიტიკოსი, რომელმაც ცხინვალისა და სოხუმის აღიარება მოითხოვა.

2008 წლის სექტემბერში ამ მოთხოვნით სომეხთა პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანიც გამოვიდა.

სედრაქიანი მარტო აღიარებას არ სჯერდება და ჯავახეთის **“დათრევასაც”** აპირებს.

პრეზიდენტის კანდიდატის განცხადებით იგი ჯავახეთის პრობლემასაც **“გადაჭრის, მას სომხეთს დაუბრუნებს”** და რუსეთთან საერთო საზღვარს უზრუნველყოფს.

რუსეთთან საერთო საზღვრის უზრუნველსაყოფად სედრაქიანს მარტო ჯავახეთის დაბრუნება არ ეყოფა. ამისთვის, სულ ცოტა, ყაზბეგამდე უნდა გავიდეს.

ერთი შეხედვით ამ კაცის გამოხდომებზე კომენტარების გაკეთება მაგარი უაზრობაა. არადა, არ ღირს ამის ასე დატოვებაც. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ჩვენს პრეზიდენტობის კანდიდატს რომ ეთქვა რამე გადაბრუნებული სომხებზე. ჯერ ხომ ჩვენი **“ლიბერასტები”** შეჭამდნენ — ქსენოფობად გამოაცხადებდნენ. იქ კი ანტიქართული განცხადებების გაკეთების გამო ლამის ღირსების ორდენით აჯილდოვებენ.

სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები არჩევნები მიმდინარე წლის 18 თებერვალს გაიმართება. ვნახოთ, რამდენ ხმას მოუტანს ვარდანას ეს ნაბოდვარი.

# აბაშაში “ლიბერთი-ბანკის” ფილიალი გაიხსნა

**ლიბერთი ბანკი განაგრძობს რეგიონალური ქსელის გაფართოვებას. დღეს აბაშაში ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი არველაძემ აბაშის ფილიალი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ლიბერთი ბანკის აბაშის ფილიალში შესაძლებელი იქნება თითქმის ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო გზავნილების სისტემით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.**

**2011 წელს ლიბერთი ბანკმა 13 ახალი სერვის ცენტრი გახსნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის: თბილისში, კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და აჭარაში. 2012 წლის განმავლობაში ბანკმა 30-ზე მეტი ფილიალისა და სერვის ცენტრის მოდერნიზება მოახდინა. ლიბერთი ბანკს საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელი გააჩნია. 287 სერვის ცენტრისა და მომსახურების წერტილის, ასევე 100-მდე ლიბერთი ექსპრესის მობილური სერვის ცენტრების მეშვეობით, ლიბერთი ბანკი ქვეყნის მოსახლეობის 1.4 მლნ ფიზიკურ და 55 000 იურიდიულ პირს ემსახურება .**

გაზეთ “ილორის” კომენტარი: ყველაფერი ზემოთთქმული ნამდვილად მისასალმებელია, რადგან ქვეყანაში საბანკო სექტორის განვითარება თავისთავად მიანიშნებს მიმდინარე ეკონომიკური პროცესების აღმავლობაზე, მაგრამ, ბანკის ფილიალების სოკოებივით მომრავლება სულაც არ გახლავთ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიმანიშნებელი. არა მგონია, აბაშის მოსახლეობას მთავარ სადარდელად და საზრუნავად ის ჰქონდეს ქცეული, თუ სად შეინახოს ნაშოვნი ფული. ის კი არა, მიწის სამუშაოების ჩატარება სწორედ უფულობისა და მატერიალური ბაზის უქონლობის გამო უჭირთ. ამიტომ, იმედია, ახალი ხელისუფლება ჯერ იმაზე იზრუნებს, თუ როგორც იშოვნოს მოსახლეობამ თავის შესანახი და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა ჩატარებისათვის აუცილებელი ფული, შემდეგ კი ბანკებიც უნდა გავხსნათ შემნახველი სალაროებიც.




# ახალი ხელისუფლება საქართველოს დროშის შეცვლას აპირებს?



ინტერნეტში გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ ახალი ხელისუფლება საქართველოს დროშის შეცვლას აპირებს, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. არის თუ არა დღეს დროშის შეცვლის საჭიროება, ამ საკითხზე სამართლის დოქტორი, **პროფესორი ავთანდილ კახნიაშვილი** გვესაუბრება:

— სამწუხაროდ, დღევანდელი სიმბოლო, ხუთჯვრიანი დროშა, პარლამენტს არ მიუღია, რადგან 2004 წლის იანვარში პარლამენტი არ გვყავდა. შევარდნაძის დროინდელ პარლამენტს 2003 წლის 22 ნოემბერს შეუწყდა უფლებამოსილება, 2004 წლის იანვარში კი ნაციონალებმა ვადაგასული პარლამენტარები შეყარეს და ძალით მიაღებინეს ის სიმბოლო, რომელიც დღეს ასოციაციას იწვევს ნაცმოძრაობასთან. ეს სიმბოლო მე-13 საუკუნიდანაა ცნობილი კათოლიკური ფენებიდან: იმხანად ე.წ. იერუსალიმის ჯვარი იყო ჯვაროსნების სიმბოლო, რომლებსაც შემდეგ უკვე ტამპლიერთა ჯგუფი გამოეყო და სწორედ მათი სიმბოლო გახდა ხუთჯვრიანი დროშა. 2001 წელს, როდესაც სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე იყო, 43-მა გაუნათლებელმა მხარი დაუჭირა, მერიის თავზე ე.წ. დავით აღმაშენებლის დროშის აღმართვას. მან ტამპლიერთა დროშა დავით აღმაშენებლის დროშად მოიხსენია, რაც სრული სიცრუე, სისულელე და უმეცრებაა. ამიტომაც ეს დროშა სასწრაფოდ შესაცვლელია და ახალი დროშა ლეგიტიმურმა ორგანომ, ახალმა პარლამენტმა უნდა მიიღოს.

**— დღეს დროშის შეცვლაზე ფიქრი ნაადრევი ხომ არ არის?**

— პირიქით, დაგვიანებულიც კია. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც მოქალაქეების უმრავლესობამ არ იცის თავისი ქვეყნის დროშის შინაარსი. ამიტომ, თუ რეალურად გვინდა სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, უნდა შეიქმნას კომისია, რომელშიც შევლენ ისტორიკოსები, ჰერალდიკოსები, გამოცხადდეს კონკურსი და საკონკურსო წინადადებები, ესკიზები კომისიამ შეაფასოს, შემდეგ კი საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს. მთავარია, საინტერესო, ქვეყნის ისტორიის ამსახველი დროშა შეიქმნას და თუნდაც რამდენიმე წელიწადი დასჭირდეს. მხოლოდ დროშა კი არა, გერბიც და ჰიმნიც შესაცვლელია. საქართველოს გერბი ძალიან ჰგავს კენიის გერბს, რომელიც ჩვენსაზე გაცილებით ადრე შექმნეს. ჰიმნიც კი ნაუცბათევადაა მიღებული. როგორ შეიძლება ჰიმნში არ იყოს ნახსენები ქვეყანა?! **“დიდება თავისუფლებასო”, — “თავისუფლების ინსტიტუტს”** უმღერიან თუ საქართველოს? სად ჩანს საქართველო? მსოფლიოში ყველა ქვეყნის ჰიმნში ქვეყნის სახელწოდება ნახსენებია. მოკლედ, ეს საკითხი წამოსაწევია, უხერხულობის განცდა რომ მოვიშოროთ.

ნ. მაისურაძე

# მთავარი პროკურატურა – „ციხის სკანდალი ადეიშვილმა დაგეგმა“

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, “ციხის სკანდალი” იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით ჭაკუამ დაგეგმეს. ამის შესახებ ბრიფინგზე მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ ისაუბრა.

**“2012 წლის 18 სექტემბერს შს სამინისტრომ გაავრცელა მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, ოპერატიული მორიგე ინსპექტორი ვლადიმერ ბედუკაძე, და მათი გავლენის ქვეშ მყოფი რამდენიმე პირი, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას ახორციელებდნენ. შს სამინისტროს ინფორმაციით, პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა და აღნიშნულის ვიდეოფირზე დაფიქსირება დაკვეთით ხდებოდა, პატიმარ თამაზ თამაზაშვილის მეშვეობით, სოლიდური ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ. ამავე ინფორმაციის თანახმად, ფურცხვანიძის სამუშაო კაბინეტის ჩხრეკისას პატიმართა არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეო ფირი და 17 000 აშშ დოლარი იქნა ამოღებული. დანაშაული გახსნილად გამოცხადდა. რეალურად აღნიშნული არის სიყალბე, ვინაიდან სინამდვილეში მოხდა შემდეგი: 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში იუსტიციის იმდროინდელი მინისტრის ზურაბ ადეიშვილისათვის ცნობილი გახდა, რომ ვლადიმერ ბედუკაძემ პატიმართა წამების ამსახველი კადრები გაიტანა ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც მათ დემონტრირებას გეგმავდა. მოსალოდნელი პოლიტიკური სკანდალის თავიდან აცილების მიზნით ადეიშვილმა გადაწყვიტა მოვლენებისთვის დაესწრო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმჟამინდელ ხელმძღვამელთან დავით ჭაკუასთან ერთად დანაშაულებრივი სქემა შეიმუშავა, რომლის თანახმადაც ვლადიმერ ბედუკაძესთან დაახლოებულ, მე-8 იზოლატორის თანამშრომლებს ლევან ფხალაძესა და ბორის ფარულავას, “ბასტის და ბუბუს”, უნდა ეწამებინათ პატიმრები, აესახათ ფირებზე და საზოგადოებისათვის “ქართული ოცნების” შეკვეთად წარედგინათ. ჭაკუამ აღნიშნულზე დაიყოლია ლევან ფურცხვანიძე, რომელმაც 2012 წლის 18 სექტემბერს გამთენიისას, მოახერხა ფარულავასა და ფხალაძის დანაშაულზე პროვოცირება, ფარულად გადაიღო მათ მიერ პატიმართა ცემისა და წამების ფაქტები და საჯაროდ განაცხადა, რომ ვლადიმერ ბედუკაძის მეშვეობით 40 000 დოლარად “ქართული ოცნების” წარმომადგენლებმა შეუკვეთეს აღნიშნული. სწორედ ეს და ფალსიფიცირებული მტკიცებულებები გაავრცელა შს სამინისტრომ, რის შემდეგაც დააკავეს ფურცხვანიძე, ფარულავა და ფხალაძე. მტკიცებულებათა ნაწილი, რომელთა განსაჯაროებაც მთავარმა პროკურატურამ შესაძლებლად მიიჩნია, მთავარი პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება. გამოძიება გრძელდება”,** — განაცხადა ხათუნა პაიჭაძემ.

# ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს

## საქართველოში ლეგიტიმური არჩევნების ჩატარების თაობაზე

2010 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან მოყოლებული, **„9 აპრილის“** საზოგადოება, მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების თანადგომით, თბილისში, პარლამენტის (ზოგჯერ გამომცემლობა **„სამშობლოს“**) შენობის წინ, ატარებდა ბრიფინგებს აქტუალურ საკითხებზე, სადაც გამოტანილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებიც, როგორებიც არის საქართველოში სამართლიანობის აღდგენა, ქვეყნის ლეგიტიმურობის (პუტჩის შედეგად წართმეულის) დაბრუნება და კანონიერი ხელისუფლების, ანუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (დევნილობაში) მიერ დანიშნული ლეგიტიმური არჩევნების ჩატარება.

2012 წლის აგვისტოსა და სექტემბერში **„9 აპრილის“** საზოგადოებამ, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა **„სხივმა“** და ახალმა ეროვნულმა მოძრაობა **„სამშობლომ“** რამდენჯერმე ჩაატარეს ბრიფინგი საქართველოში არალეგიტიმური (იგულისხმება 2011 წლის 1 ოქტომბრის) არჩევნების თაობაზე და გამოაქვეყნეს მიმართვა **„საქართველოს მოსახლეობისა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველი ემიგრანტებისადმი“**.

2012 წლის სექტემბერში პროტესტი გამოვთქვით ქვეყანაში ნეობოლშევიზმის რეპრესიებისა და სამართლის მოშლის დამკვიდრების მცდელობასთან დაკავშირებით. აღშფოთებამ აპოგეას მიაღწია პატიმართა წამების ამსახველი კადრების ხილვის შემდეგ. ჩვენ დავგმეთ საქართველოს დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ სახელმწიფო დონეზე აყვანილი ძალადობა და მოვითხოვეთ სამართლიანობის აღდგენა. მაშინ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დღესაც, რომ გამოსავალი არა წამების შემსრულებლების, დამკვეთების დაკავება, მინისტრების გათავისუფლება და მთავრობის გადადგომაა, არამედ სამართლიანობის დამკვიდრება და, პირველ რიგში, ქვეყნის ლეგიტიმურობის აღდგენაა.

ჩვენი ქვეყნის ყველა უბედურება სათავეს იღებს 20 წლის წინათ მომხდარი სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალებიდან, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმაცია დღესაც ძალაშია.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსგავსი ფაქტები 1992 წლიდან ხდებოდა. გასული 15-20 წლის წინათ და ახლო წარსულშიც ვამხელდით ანალოგიურ ფაქტებს, რის შესახებაც, რატომღაც, არ საუბრობდა სათანადოდ ქართული მასმედია და პროტესტის ნიშნად ქუჩაში არ გამოდიოდა საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც, ამჟამად, არჩევნების წინ (და შემდეგ) ღელავდა, მუდმივად იყო წარმოდგენილი ხელისუფლებისა და ოპოზიციის (შეძლებულ პირთა **„ჯიბის“**) ტელევიზიებში. ამ ელიტარულმა ნაწილმა იცოდა რომ 1992 წლის იანვარსა და თებერვალში, დამიზნებით დახვრიტეს კანონიერი ხელისუფლების მომხრე მშვიდობიანი დემონსტრანტები; რომ 1992-1995 წლებში, თბილისში, სამეგრელოსა და სხვა რეგიონებში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით გამოსული მშვიდობიანი მანიფესტაციებისა და მიტინგების მონაწილეებს ადგილზე ხვრეტდნენ, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ; რომ თითქმის ყოველწლიურად 9 აპრილს, 26 მაისსა და სხვა მნიშვნელოვან დღეებში, გაუგონარი სისასტიკით უსწორდებოდნენ ქუჩაში გამოსულ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს. განა გუშინ არ იყო, როცა პოლიტიკური შეხედულებების გამო, მოქალაქეებს სასტიკად ექცეოდნენ თემურ მღებრიშვილი და მისი სპეცრაზმი? რომ 1994 წელს, ავტომატის ტყვიებით დაცხრილეს **„9 აპრილის“** მუზეუმის ექსპოზიცია, ეს საქმე დევს რაიონულ პოლიციაში, ქალაქის პროკურატურაში და შს სამინისტროში, მაგრამ მავანთა გავლენის შედეგად, თაროზეა შემოდებული; რომ 2000 წლის 26 სექტემბერს ღამით გატეხეს **„9 აპრილის“** მუზეუმის კარები, დაარბიეს ექსპოზიცია, დაიტაცეს საფონდო მასალები და ხატები; რომ **„9 აპრილის“** მუზეუმი თბილისის მერიის მიერ განხორციელებული კორუფციისა და ძალადობის შედეგად, მე-12 წელია ქუჩაშია გამევებული, დევნილობაშია რომ მუდამ და ყოველთვის პოლიცია, პროკურატურა და საზოგადოების ე.წ. ელიტარული ნაწილი დუმდნენ.

ეს მცირე ჩამონათვალიც საკმარისია იმისათვის, რომ ვიკითხოთ, რატომ არ აპროტესტებდნენ ადამიანის უფლებათა დამცველები, მასმედია და ე.წ. ჰელსინკელები აღნიშნულ ფაქტებს. რატომ არ იყო ისეთი რეაგირება, როგორც ახლა (არჩევნების წინ და შემდეგ პერიოდში) ხდება? საქმე იმაშია, რომ მაშინ არ იყო დე ფაქტო ხელისუფლებისა და მისი ოპოზიციის პოლიტიკური ნება ახლა კი არის ეს პოლიტიკური ნება და ორივე მხარის პროპაგანდისტული ტელევიზიები ამას დიდი მონდომებით ემსახურებიან.

მთავარი იყო მომხდარიყო ნაწილობრივი ჩანაცვლება, ანუ გარკვეული ცვლილებები; ამ მიზნით შეიქმნა ახალი პოლიტიკური ბლოკები, კოალიციები, ალიანსები და ა.შ. მთავარი გამოიხატებოდა იმაში, რომ ხელისუფლებას და მის საკუთარ ოპოზიციას შერჩენოდათ შევარდნაძის დროს ჩადენილი დანაშაული, რომ შევარდნაძის გარემოცვაში მყოფთ, გამდიდრებულ, ამჟამად უკვე მილიონერებს შერჩენოდათ სიმბოლურ ფასად ნაშოვნი ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები და სხვ.

1992 წლის 6 იანვარს განხორციელებული გადატრიალებისა და ძალადობის გზით მოსულსა და **„გაპრეზიდენტებულ“** ე. შევარდნაძეს სამშობლოს თავისუფლებისა და კანონიერების დამცველთა რამდენიმე ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. პოლიტიკური შეხედულების გამო, მილიონზე მეტი ქართველი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა.

1991-1993 წლებში, საქართველოში განხორციელებულმა კონსტიტუციური წყობილების დამხობამ, სათავე დაუდო დაუსრულებელ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებებს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევას. მას შემდეგ მავნე ტრადიციად დამკვიდრდა ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა, რის გამოც, მისი, ანუ მომდევნო ხელისუფალთა ლეგიტიმაციის საკითხი, დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სანამ დე ფაქტო ხელისუფლება და ოპოზიციური პარტიები, მათ შორის ბლოკი **„ბიძინა ივანიშვილი ქართული ოცნება“**, არ აღიარებენ ზემოხსენებულს, ქვეყანას სამართლიანობა, ეროვნული გაერთიანება და წინსვლა არ უწერია.

ქვეყანას ვერ გადაარჩენს შევარდნაძის მემკვიდრეთა მოდერნიზებული დიქტატურა და კოსმეტიკური ცვლილებები (თუნდაც 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნები).

1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა ორად არის გაყოფილი: ერთნი კანონიერების აღდგენას მოითხოვენ და არ მონაწილეობენ დე ფაქტო ხელისუფლების არალეგიტიმურ საპარლამენტო არჩევნებში; მეორენი კი, დიქტატორ შევარდნაძის და მისი მემკვიდრეების მხარდამჭერები, მონაწილეობენ არალეგიტიმურ არჩევნებში. პირადად მე და ჩემი მხარდამჭერები ბოლოდროინდელ საპარლამენტო არჩევნებშიც არ ვმონაწილეობთ, რადგან საარჩევნო პროცესისადმი თავშეკავებული პოზიცია გვაქვს, ვერ ვხედავთ პოლიტიკურ ძალას, რომლის პროგრამაც უპასუხებდა ჩვენს შეხედულებებს, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების გზებზე. არჩევნებში არ ვმონაწილეობთ რადგან:

1. ამ გზით ქვეყნის გამოყვანა არსებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან შეუძლებელია;
2. ქვეყანა თითქმის მთლიანად გაყიდულია. პროცესებს (მათ შორის არჩევნებსაც) ის ძალები მართავენ, რომელთა ხელშიც (უკვე ფაქტობრივად და მომავალშიც) თუ ასე გაგრძელდა, იურიდიულადაც აღმოჩნდება ჩვენი სამშობლო;
3. მიმაჩნია, რომ დიქტატორ შევარდნაძის ამალამ (ამჟამად მათმა მემკვიდრეებმა), ანუ მისმა მხარდამჭერმა პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ გაყიდა ერი საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და არჩევნებში სხვადასხვა ბლოკებში, კოალიციებსა და ალიანსებში გადანაწილების მიუხედავად, თითქმის ყველა ერთი ბატონის ხელიდან იმართება. არჩევნებში გამარჯვებული ვინ იქნება (ვის რამდენ კვოტას შეახვედრებენ), ფაქტობრივად წინასწარ იყო განსაზღვრული;
4. შევარდნაძემ არჩევნები ბიზნესად აქცია. ამჯერადაც არჩევნებში პოლიტიკანმა პოლიტიკოსებმა ბევრი ფული იშოვნეს. რაც შეეხება უცხოელ დამკვირვებლებს, ისინი, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ **„მართალია, იყო ცალკეული დარღვევები, მაგრამ წინანდელთან შედარებით წელს არჩევნები უფრო დემოკრატიულად ჩატარდა“.**

2012 წლის არჩევნები იყო კიდევ ერთი მცდელობა განემტკიცებინათ დიქტატორ შევარდნაძისა და მის მემკვიდრეთა ე.წ. კანონიერება.

თქვენ საახალწლო მილოცვაში აღნიშნეთ: **„ქვეყანაში დაიწყო ყველაზე მთავარი კანონის უზენაესობის დამკვიდრება, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და სამართლის შერჩევითად გამოყენების სანაცვლოდ. საქართველოში სამართლიანობის აღდგენის სრულიად გამჭვირვალე პროცესი მიმდინარეობს!“** მივესალმები ამ პოზიციას და ამიტომ მინდა მოგახსენოთ ჩემეული ხედვა ქვეყნის გადარჩენისა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ერთადერთია, როგორც გზა ხსნისა.

ამჟამად, მუდმივად არის საუბარი **„კოჰაბიტაციაზე“** და კონსტიტუციაში მუხლების (68-ე, 70-ე, 71-ე, 76-ე და ა.შ.) ცვლილებების შესახებ. ერთის მხრივ, ეს გასაგებია, რადგან ა.წ. აპრილში მოსალოდნელია სერიოზული პოლიტიკური (არ გამოვრიცხავ სამოქალაქო) დაპირისპირება ხელისუფლებასა და პრეზიდენტის მომხრეებს შორის. მეორეს მხრივ კი, ეს არის მანიპულირება, უშედეგოდ დროის გაყვანა და, ფაქტობრივად, მოსახლეობის გაბიაბრუება. მოსალოდნელია ისიც, რომ თქვენს კოალიციაში ზოგიერთებმა, როგორც კი მოაკლდებათ თქვენგან მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა, გაგწირონ, პოლიტიკური ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით სერიოზულად დაგიპირისპირდნენ, იმასაც იკადრებენ, წამოგძახონ: **„ჩვენ მოგიყვანეთ ხელისუფლებაში!“** გავიხსენოთ ერთი თვალსაჩინო მაგალითი სახელმწიფო გადატრიალების ხელმძღვანელთა პრაქტიკიდან. როცა პუტჩისტებს შორის გაჩნდა უთანხმოება, ჯ. იოსელიანი შევარდნაძეს აყვედრიდა **„მე ჩამოგიყვანე მოსკოვიდან!“**, შევარდნაძე კი პასუხობდა **„რა მჭირდა შენი ჩამოსაყვანი!“** და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ:

1. პირადად თქვენ და თქვენმა მხარდამჭერებმა უნდა აღიაროთ შევარდნაძის ხელისუფლება არალეგიტიმურად;
2. უნდა ცნოთ 1990 წელს საყოველთაო, სამართლიანი გზით მოსული საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობა, კანონიერება და ლეგიტიმაციის უწყვეტობა;
3. თუ თქვენ გულწრფელად გსურთ საქართველოს გადარჩენა, უნდა იზრუნოთ კანონიერების აღდგენაზე და ეროვნული ერთიანობის განხორცილებაზე, ხელი შეუწყოთ თბილისში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომის მოწვევა-ჩატარებას.
4. ხელი შეუწყოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული ლეგიტიმური არჩევნების ჩატარებას;
5. აღნიშნული სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გაზიარების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობაში, ან უშუალოდ პრემიერ-მინისტრის აპარატთან, უნდა შეიქმნას საქართველოს ლეგიტიმურობის აღდგენისა და ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული ერთიანობის საკითხებზე მომუშავე მუშა-ჯგუფი, განყოფილება ან დროებითი კომისია (ანაზღაურებადი სამსახური). ეს სამსახური იზრუნებს, რომ მოხდეს 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების სამართლებრივი შეფასება; სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაზარალებულთა საკომპენსაციოდ შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღება-აღსრულება; პუტჩის შედეგად დახოცილთა, დაზარალებულთა და რეპრესირებულთა, აგრეთვე ტერორისტული აქტების, მათ შორის **„9 აპრილის“** მუზეუმისადმი განხორციელებული ძალადობისა და უკანონობის კვალიფიციური გამოძიება და ა.შ.

პატივისცემით,

**თამაზ ბიბილური,**
**„9 აპრილის“ საზოგადოების თავმჯდომარე, ახალი ეროვნული მოძრაობა „სამშობლოს“ სპიკერი**

# მოგონებად ქცეული სახელი



დრო ულმობელია – დღეს წამად აქცევს ხოლმე, საუკუნეს კი ზამთრის მოკლე დღედ. უკვე 40 დღე გასულა მას შემდეგ რაც ჩვენს გვერდით აღარ არის ჩვენი ვახტანგი.

**“კაი ყმა მამულს უკვდებაო”** – დაიკვნესა ვაჟამ თავის ნაწარმოებში.

აჰავაი, რომ მამულს მოუკვდა შესანიშნავი ადამიანი, ულალატო მეგობარი, გამომცემლობა **“ხელოვნების”** დირექტორი, დიდებული მხატვარი და ჭეშმარიტ კოლხ დევგმირად შობილი პიროვნება – ვახტანგ გაბელია. არც მთლად ხუმრობით ვეუბნებოდით მეგობრები დევკაცს: **“შენ რომ კალათბურთელი გამხდარიყავი, მსოფლიო დიდებას ვერ აცდებოდიო”.**

არ გვეგონა თუ რაიმე დაავადება მოერეოდა, ბუნებით უშიშარი ადამიანი იყო და ყოველნაირ საფრთხეს ზიზღნარევი ამრეზით უცქეროდა, თუმცა კი ბავშვის გული ჰქონდა და 62 წლის ასაკშიც აოცებდა ყველას თავისი მიამიტობითა და ბავშვური უშუალობით.

საუბედუროდ, თურმე სწორედ ამ 62 წლის ასაკის ბარიერის გადალახვა არ ეწერა – მოურჩენელმა სენმა დაძალა, მაგრამ მაინც ვერ დააბეჩავა, ვიდრე გონზე იყო, სიკვდილის მოახლოებას არად აგდებდა, აქეთ გვამშვიდებდა, გვამხნევებდა და აცრემლებას გვიკრძალავდა. მას არ ჰყავდა უბრალო ნაცნობები, მას მხოლოდ მეგობრები ჰყავდა, რადგან საკმარისი იყო ვახტანგს ადამიანი უბრალოდ სცნობოდა, რომ თავს არ დაზოგავდა მისთვის, ჭირსა თუ ლხინში საიმედო საყრდენად დაუდგებოდა გვერდით. ამიტომაც იქცა ვახტანგის სიკვდილი ტრაგედიად იმ ადამიანებისათვის, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას.

ისევე ჩუმად და უდრტვინველად გაერიდა ამ წუთისოფელს, როგორი მოკრძალებულიცა და თავმდაბალი გახლდათ ადამიანებთან ურთიერთობაში. არადა, ჭეშმარიტად დიდი შემოქმედი ხელოვანი იყო, ნიჭიერი ორგანიზატორი, ფაქიზი და უკიდეგანოდ შრომისმოყვარე, იგი ალბათ ვერც კი დაითვლიდა, თუ რამდენი გამოცემა ჰქონდა მხატვრულად რუდუნებით გაფორმებული, საკუთარი საქმისა და ქართული წიგნისადმი თითქმის ფანატიური სიყვარულით... თუმცა, მთელ საქართველოში სახელდებული პედაგოგის, ამაგდარი ადამიანის, დიდებული კოლხი ბანოვანის ქალბატონ ვერა გრიგოლია-გაბელიასა და სულმნათი გიორგი გაბელიას მიერ აღზრდილი პირმშო არც შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო.

ვახტანგ გაბელია 1950 წელს დაიბადა სენაკის (მაშინდელი – ცხაკაიას რაიონი) ულამაზეს სოფელ უშაფათში, ხოლო 1972 წელს, 22 წლის ასაკში, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლის პარალელურად, მუშაობა დაიწყო რიგით მხატვრად გამომცემლობა **“ხელოვნებაში”**. შემდეგ კი იყო მძიმე და თავაუღებელი მუშაობა, ნელი სვლა გამომცემლობის იერარქიულ საფეხურებზე, რამაც, საბოლოო ჯამში, გამომცემლობა **“ხელოვნების”** დირექტორობა არგუნა მას. დირექტორობა კი იმ მძიმე ჟამს მოუწია, როცა ქართული გონის დაუძინებელმა მტრებმა წიგნის მოკვლა გადაწყვიტეს, რაც ქვეყნის განათლების სისტემის გადაშენების უტყუარი წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ზედიზედ დაიხურა ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფო გამომცემლობები **“საბჭოთა საქართველო”, “მერანი”, “განათლება”**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, წიგნით ვაჭრობის ორგანიზაცია **“საქწიგნი”**, ჯართად გაიყიდა სტამბების უნიკალური ტექნიკური აღჭურვილობები, გაუქმდა თვით პოლიგრაფიისა და საგამოცემო საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი, მათი შენობები კი ძირითადად სავაჭრო ორგანიზაციებსა და სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებზე გაიყიდა. ქართული წიგნის გამოცემის საქმე ხელთ იგდეს **“სახელმწიფოს მეთაურად”** თუ **“პრეზიდენტად”** წოდებული არარაობების მიერ მონოპოლიანაბოძებმა არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა, რომელთაც საკუთარ სარფად გაიხადეს ერის სულიერების გაძლიერებაზე ორიენტირებული ეს ისტორიული ფენომენი. საქართველოს შემორჩა მხოლოდ ერთი, მდიდარი ტრადიციისა და გამოცდილების მქონე, გამომცემლობა **“ხელოვნება”**, რაშიც დიდი გახლდათ პირადად ვახტანგ გაბელიას წვლილი.

სწორედ მაშინ, როცა წიგნის სფეროს ავსულები დაეპატრონენ, **“ხელოვნების”** დირექტორმა ვახტანგ გაბელიამ გამოსცა **“ქართული საგანძური”**-ს პირველი წიგნი, რაც უნიკალური მოვლენა გახლდათ ქართულ საგამოცემო სივრცეში. სწორედ **“საგანძურის”** მეორე წიგნზე მუშაობისას უმტყუნა ჯანმრთელობამ ვახტანგ გაბელიას...

გამომცემლობა **“ხელოვნება”** კი დღესაც ნათელ წერტილად რჩება ქართული წიგნის საგამოცემო სივრცეში, რაშიც ლომის წილი სწორედ სულგანათლებულ ვახტანგ გაბელიას მიუძღვის!

საწყენია, რომ ეს ნიჭიერი, გულთბილი და ყურადღებიანი ადამიანი უშვილძიროდ გადაეგო, მაგრამ, ალბათ, ესეც უფლის ნება გახლდათ. დიდი კაცი კი ყოველთვის კაცად რჩება – მისი გარდაცვალების შემდეგაც... სწორედ დიდი ადამიანის ნებად უნდა მივიჩნიოთ ვახტანგ გაბელიას უკანასკნელი სურვილი, რომელიც მან ახლობლებსა და მეგობრებს დაუბარა – ჩემი სახლ-კარი და ქონება გაყიდეთ და აღებული ფული გაჭირვებულ ოჯახებს და ეკლესიას მოახმარეთო!

ნათელში იყოს მისი სული!

**გამომცემლობა “ხელოვნების” შრომითი კოლექტივი**

# რა უნდა სააკაშვილს სამეგრელოში და რა კრიტერიუმებით უნდა შევარჩიოთ პრეზიდენტობის კანდიდატი?

***«რა გითხრათ, რით გაგახაროთ?» – კითხულობდა XIX საუკუნის მიწურულს დიდი ილია და ეს კითხვა, სამწუხაროდ, კვლავაც აქტუალურია, რადგან საფიქრალ-საზრუნავი უფრო მეტი გვაქვს,ვიდრე გულის დასაარხეინებელი.***

1 ოქტომბრის შემდეგ საქართველო აღარ არის პოლიციური სახელმწიფო, უფრო სწორად, პოლიციური რეჟიმი ჯერ კიდევ 18 სექტემბერს, ციხის კადრების გასაჯაროებისთანავე გადატყდა ხერხემალში და ნაცბანდის რეჟიმის დასასრული ოფიციალურად 1 ოქტომბერს გაფორმდა. მას შემდეგ, ხატოვნად თუ ვიტყვით, **«თავისუფლად ვსუნთქავთ»,** აღარ გვეშინია, რომ ან ჩვენ, ან ჩვენს გამო ჩვენს ახლობლებს გლდანის საციხე-საცოცხოდ რაიმეს **«გაგვიიმასქნებენ»** და განა ეს ცოტაა? – აი, ის ერთადერთი და უდავო, რაც მართლაც მისალოციაǃ..

სხვაფრივ,როგორც დიდი რუსი მეიგავე კრილოვი იტყოდა, **«А воз и нынче там»** და აქ ნამდვილად არ ვგულისხმობ **«ქართული ოცნების»** წინა საარჩევნო დაპირებების ე.წ. სოციალურ პაკეტს, რადგანაც, ჯერ ერთი, კარგად მესმის, რომ **«სოფლის შენებას რა უნდა»** სიმღერაშია ადვილი და მეორეც,ოღონდაც ის ცოცხები აღარ განმეორდეს საქართველოში და პირადად მე მზად ვარ, სიცოცხლის ბოლომდე გავუძლო მატერიალურ გაჭირვებას!

აქედან გამომდინარე კი,ქართველი კაცი ვერაფრით ეგუება იმას, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რბილად თუ ვიტყვით,აშკარად შეფერხდა – წლების მანძილზე ჩვენს მტანჯველთაგან ერთადერთი, ვინც დააპატიმრეს, ბაჩანა ახალაიაა და ისიც პრაქტიკულად საკუთარი ნებით ჩაბარდა, რადგანაც, როგორც **«ბოროტი ენები ამბობენ»**,ბაჩოს იქ,ციხეში ურჩევნია დაემალოს მავანთა მხრიდან სამართლიან შურისძიებას,ვიდრე საკუთარ სადარბაზოში შესვლისა ეშინოდეს!

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილს, მან ახალი წლის მოლოცვაც კი გაგვიბედა და,ამას გარდა,კიდევ ერთი შეურაცხყოფაც მოგვაყენა აბსურდული 5-პუნქტიანი კოაბიტაციის გეგმის სახით. აბსურდული, რადგანაც, როგორც ხშირად სჩვევია, შერიგების გეგმას სრულიად გამომრიცხავი რამეები მოაყოლა – თენგიზ გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის, ხოლო ანდრო ბარნოვი და ხათუნა ოჩიაური,შესაბამისად, შიდა ქართლისა და მცხეთა-თიანეთის გუბერნატორებად დანიშნა. ეგეც არ იკმარა ამ მართლა იმბეცილმა და,როგორც ამბობენ (ჯერ ოფიციალურად არ დასტურდება), **«სამეფო ტახტის»** ზუგდიდის რეზიდენციაში გადატანასა და საპრეზიდენტო მმართველობის განხორციელებას სამეგრელოდან აპირებს.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ზოგიერთმა კომენტატორმა – თბილისი ეზიზღება და 20 იანვრიდან, როდესაც, სავარაუდოდ, დედაქალაქში უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი აქციები პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით, ამ პროცესებს უნდა გაერიდოს ზუგდიდშიო.

ნეტავ, მართლა ასე უბრალოდ იყოს საქმე! სამეგრელო ერთობ სპეციფიკური რეგიონია, უფრო მეტიც: ეს უმშვენიერესი კუთხე იყო და არის ისტორიულად საქართველოს ხერხემალი და არა თუნდაც **«დიდი»** ივანე მერაბიშვილი!

ისიც ფაქტია, ოღონდაც ამჯერად სამწუხარო, რომ **ნაცბანდამ თუ სადმე ალალად მიიღო ხმები 1 ოქტომბერს, ეს სამეგრელოა. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მოჩანს მიშას იმედი, რომ სამეგრელოში შედარებით არხეინად იქნება.**

გასული დროის მანძილზე **«ქართული ოცნების»** რეიტინგი ისედაც ეცემა,რადგან ეს ყველა არჩევნების შემდგომი ობიექტური თანმდევი პროცესია. ხოლო სააკაშვილის მიერ მითვისებული ვადის ამოწურვამდე, **«მეოცნებეთა»** რეიტინგი კიდევ უფრო დაიწევს სწორედ იმიტომ, რომ **«შეგნებულების»** რაოდენობა, რომლებისთვისაც უმთავრესი,პოლიციური რეჟიმის გაქრობა იყო და იქნება, სულ უფრო შემცირდება, ანუ, რაც დრო გავა, კუჭის ფილოსოფია სულ უფრო მეტად სძლევს მაღალ იდეალებს!

**«ოცნების» რეიტინგის ობიექტური ვარდნა, არ ნიშნავს «ნაცების» რეიტინგის ზრდას და არც მომავალში იქნება საფრთხე ამისა – «ნაცებს» მართლაც არავითარ «რასკლადში» არ ემუქრებათ პოლიტიკური რეანიმაცია!**

ჰოდა, სააკაშვილის მიერ მეგრული ბანქოს გათამაშების მცდელობა შეიძლება ამ **«უსამართლობის»** აღმოფხვრასაც ისახავდეს მიზნად – თუ რა სიკეთე მოუტანა საქართველოს გასული საუკუნის 90-იანებში მსგავსმა **«პასიანსმა»,** ყველას კარგად გვახსოვს!..

მითუმეტეს ახლა გვმართებს გონიერება, რადგანაც იმდენად არაპროგნოზირებად პიროვნებასთან გვაქვს საქმე, რომ არ არის გამორიცხული, ხელისუფლებაში დარჩენის მანიაკალურმა სურვილმა იქნებ საქართველოს ორად გაყოფის გეგმებიც დაალაგოს მიშა სააკაშვილის ავადმყოფურ წარმოდგენაში! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სამეგრელო უშუალოდ ესაზღვრება აფხაზეთს, ანუ ამ მიმართულებითაც არ არის გამორიცხული პროვოკაციების მცდელობები შეურაცხადი სააკაშვილის მხრიდან!..

როგორც უკვე გითხარით, სამეგრელო **«ოცნებისთვის» პრობლემური რეგიონია და «ნაციონალური მოძრაობა» ამით ბოროტად სარგებლობს. ამდენად,გაბუტვას, რომ აი, ამ რეგიონში მე არჩევნები ვერ მოვიგე და კისერიც უტეხიათ, სჯობია, პრაგმატულად მივუდგეთ საკითხს და სააკაშვილს ეს პლაცდარმიც გამოვაცალოთ.**

პრობლემა კომპლექსურია,სამეგრელოში არსებული ვითარება პირდაპირ უკავშირდება აფხაზეთს, აფხაზეთის საკითხი კი სრულად არის დამოკიდებული რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაზე.

მოკლედ რომ ვთქვა, საჭიროა, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში წარმოდგენილი იყოს ადამიანი, რომელიც თავის მხრივ გაანეიტრალებს სააკაშვილისა და **«ნაცმოძრაობის»** გავლენას სამეგრელოში, შეძლებს აფხაზებთან მიმართებაში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას და მოახერხებს რუსეთთან პრაქტიკული, პერსპექტიული დიალოგის წარმართვას.

ფაქტია, რომ სააკაშვილს ნაკლებად ადარდებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სიამოვნებით დაანთებს სამეგრელოში სეპარატიზმის ხანძარს, რაც დამღუპველი იქნება საქართველოსთვის. **«ნაციონალური მოძრაობის» აქტივისტებმა უკვე დაიწყეს სამეგრელოში იმ აზრის გაღვივება,რომ ამ კუთხის წარმომადგენლები არ არიან წარმოდგენილნი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში და ეს იმიტომ ხდება, რომ ივანიშვილი რეგიონში არჩევნების წაგების გამო იძიებს შურს.**

ვახტანგ ხმალაძის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ, ვინაიდან სამი ძირითადი უმაღლესი თანამდებობიდან პარლამენტის თავმჯდომარე რესპუბლიკელების წარმომადგენელი უსუფაშვილია, პრემიერის პოსტი თავად ივანიშვილს უჭირავს, იქნებ ჯობდეს, რომ მომავალ არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად არა რესპუბლიკელი ხმალაძე, არამედ ისეთი ფიგურა განიხილებოდეს, რომელიც ზემოჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას კომპლექსურად შეძლებს, ანუ გაანეიტრალებს სამეგრელოში **«ნაციონალებს»** და წარმართავს სათანადო მუშაობას როგორც აფხაზეთის მიმართულებით, ასევე რუსეთთან პერსპექტიული დიალოგის გამართვის თვალსაზრისით.

ფაქტია, რომ, მიუხედავად სააკაშვილის არჩევნებში დამარცხებისა, არც სოხუმი და არც მოსკოვი ჯერჯერობით ახალ ხელისუფლებას ჩოხის კალთებს არ ახევს და, როგორც ზაქარეიშვილის მუშაობა აფხაზეთის მიმართულებით, ასევე ბატონ აბაშიძის ძალისხმევა რუსეთთან დაკავშირებით უკეთესის სურვილს ტოვებს.

წლეულს ოქტომბერში არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება ისეა განსაზღვრული, რომ, ძალაუფლების თვალსაზრისით,ის ვერანაირად ვერ იქნება პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის კონკურენტი. ამდენად, **თუკი მომავალი პრეზიდენტის,ასე ვთქვათ, «სამუშაო პრიორიტეტებს» ჩამოვაყალიბებთ, მან უნდა იმუშაოს იმ მიმართულებებზე, იმ საკითხებზე,რომელთა დარეგულირება პრემიერისა და პარლამენტის სპიკერისთვის სირთულეს წარმოადგენს.** ამ მხრივ საგულისხმოა ისიც, რომ პრეზიდენტის რანგში ჩამოთვლილ გამოწვევებთან გამკლავება შეუძლია მხოლოდ ისეთ ფიგურას, რომელიც არ იქნება გამაღიზიანებელი აფხაზებისა და ოსებისთვის და შეუძლია სამეგრელოს შემობრუნება ცენტრალური ხელისუფლებისკენ, ასევე **«ნაცმოძრაობის»** დესტრუქციული ქვენა გრძნობების განეიტრალება რეგიონში და,რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელთანაც სასაუბროდ დასხდებიან რუსები.

სადღეისოდ სწორედ ამ კრიტერიუმების შესაბამისად უნდა ხდებოდეს პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის შერჩევა,რადგან სწორედ ეს კრიტერიუმებია ძირითადი იმ მოთხოვნებიდან,რომელთაც საზოგადოება ხელისუფლებას უყენებს.

**პარლამენტის თავმჯდომარე კი არ გახლავთ ის ფიგურა, რომელიც ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. მას, შესაძლოა, კარგად გამოსდის ამერიკელებთან საუბარი,მაგრამ სხვა გამოწვევების მოგვარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, არ ძალუძს.**

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულება ურთულეს აუცილებლობას წარმოადგენს და ნებისმიერი ხელმოცარვა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად დააზარალებს ბიძინა ივანიშვილის რეიტინგს, გამოიწვევს იმედგაცრუებას მოსახლეობაში, ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პასუხისმგებლობის გადანაწილება, ანუ, თუკი ხსენებულ მიმართულებაზე სწორი კრიტერიუმებით შერჩეული და, რა თქმა უნდა, გამარჯვებული პრეზიდენტობის კანდიდატი მიაღწევს წარმატებებს, ეს, რა თქმა უნდა, იქნება **«ქართული ოცნების»** დამსახურება,წარუმატებლობის შემთხვევაში კი, პრეზიდენტი, როგორც მაღალი პოლიტიკური ფიგურა, თვითონ იღებს ამ პასუხისმგებლობას და **«ქართული ოცნებას»**, მის რეიტინგს და პოლიტიკურ წონას მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგება.

ყოველდღიურად ვართ მოწმენი რეგიონებში გამგეობების შენობების პიკეტირების. მოსახლეობას არ სურს **«ნაციონალური მოძრაობის»** იმ ნაშთთან შეგუება, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებაშია ფესვგადგმული და თავის პროტესტს ღიად გამოხატავს. შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კი აცხადებს, რომ ისინი, ვინც გამგეობების ბლოკირებას ახდენენ, უმკაცრესად დაისჯებიან!

მინდა მჯეროდეს, რომ მინისტრმა ეს განცხადება, განცხადებისთვის გააკეთა და ღმერთმა ნუ ქნას, ვცდებოდე, თორემ, თუ ახალ მინისტრს **«დუბინკისკენ»** წასცდა ხელი, მაშინ ის ერთადერთი საფუძველიც გამოეცლება **«ქართულ ოცნებას»**,რის გამოც ამდენ შეგნებულ თუ შეუგნებელ **«გაუგებრობებს»** გაგებით ეკიდება **«ნაცების»** 9-წლიანი დიქტატურით გაწამებული მოსახლეობა!

ყველა ყველა და პოლიციური რეჟიმის რეანიმაციის უმცირეს სიმპტომებსაც კი ცოცხების საკონცენტრაციო ზანა-კებგამოვლილი ქართველი კაცი არავის აპატიებს!

დავით მხეიძე

**P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც საპატრიარქოში გამართული კოაბიტაციის კადრები ვიხილე. კაცი ვერ ვნახე ჩემს ახლო-მახლო, ვინც ბატონი ბიძინას და ქართველი ხალხის სისხლით თუ ცრემლით მართლაც გაუმაძღარი პრეზიდენტის კურკურს მოიწონებდა. ვისი და რისი სიყვარულის წლად გამოაცხადა 2013 წელი ბიძინა ივანიშვილმა? იმ პირსისხლიანი მიშასი და მისი ნაცბანდის, რომელთაც ასეულობით პოლიტპატიმარი ჰყავდათ? მათი სიყვარულის, ვინც ცოცხებით გვაუპატიურებდა, ქუჩებში გვხვრეტდა, ეკლესიებს გვინგრევდა, სარწმუნოებას გვიგინებდა, ეროვნულ მენტალიტეტში გვაფურთხებდა?**

**იქნება ისინი უნდა გვიყვარდეს, ვინაც საქართველოს ტერიტორიების 20%,სამუდამოდ თუ არა,დიდი,ძალიან დიდი ხნით დაგვაკარგვინეს?**

**საამისო მანდატი არავისთვის მიუცია ქართველ ხალხს...**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# გიორგი შერმადინი “ოლიმპიაკოსში” გადავიდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრი გიორგი შერმადინი კარიერას **“ოლიმპიაკოსში”** გააგრძელებს.

ისრაელის **“მაკაბის”** ყოფილმა ცენტრმა ბერძნულ გრანდთან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

შერმადინმა 23 დეკემბერს ისრაელის ჩემპიონატში არ ითამაშა. **“მაკაბიმ” “აშდოდს”** სძლია, მაგრამ ქართველი კალათბურთელი განაცხადში არ იყო.

მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, ქართველი ცენტრი რუსულ **“კრასნიე კრილიაში”** გადადიოდა, თუმცა საბოლოოდ შერმადინი **“ოლიმპიაკოსში”** აღმოჩნდა.

შერმადინს უკვე ნათამაშები აქვს საბერძნეთის ჩემპიონატში. 2008-2009 წლების სეზონში იგი “პანათინაიკოსში” გამოდიოდა და საბერძნეთის ჩემპიონატში 4 მატჩი ჩაატარა, სადაც საშუალოდ 9.5 ქულას, 4.5 მოხსნას და 1.0 პასს აგროვებდა.

იმ პერიოდში გიორგიმ ევროლიგაში მხოლოდ 1 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და თითო ქულა, მოხსნა, ჩაჭრა და დაფარება დააგროვა.

2009-10 წლების სეზონში შერმადინი უფრო შედეგიანი გახლდათ და ევროლიგის 12 შეხვედრაში საშუალოდ 4.5 ქულა და 2.2 მოხსნა ჰქონდა, საბერძნეთის ჩემპიონატში კი 19 თამაშში საშუალოდ 5.1 ქულასა და 2.7 მოხსნას აგროვებდა.

**“ოლიმპიაკოსი”** საბერძნეთის ჩემპიონატის ლიდერია. პირეოსელებს 11-დან ყველა მატჩი მოგებული აქვთ.

ოლიმპიაკოსელები ევროლიგის მოქმედი ჩემპიონები არიან და მიმდინარე სეზონში **ტოპ-16**-ში გავიდნენ.



# ლეგიონის უქმეები: გურამ კაშიას გოლმა არნემის “ვიტესს” ვერ უშველა

როგორც ცნობილია, გვიან შემოდგომასა და ზამთრის უქმეების პერიოდში უმაღლესი ლიგის საფეხბურთო მატჩების ინტენსიურობა მნიშვნელოვნად იკლებს ხოლმე, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. უპირველესად კი მატჩების ამგვარ ხალვათობას განაპირობებს ხოლმე საშობაო არდადეგები და ამ საერთო-სახალხო ზეიმის მომზადების წინა პერიოდი.

გასულ უქმეებზე ჩემპიონატების მატჩები ევროპის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში, თვით თავგამოდებული გულშემატკივრებით არც თუ გადავსებულ სტადიონებში გაიმართა და შესაბამისად, აღნიშნულ მატჩებში, ქართველი ლეგიონერების მხოლოდ მცირე ნაწილმა თუ ითამაშა.

აშკარად თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატში ნელ-ნელა პოზიციებს თმობს მუდამ ლიდერად აღიარებული **“ვიტესი”,** რომელსაც, ამჯერად, ერედივიზიეში გალიდერება შეეძლო, მაგრამ გუნდმა ბოლო სამ ტურში მხოლოდ ერთ ქულას მოუყარა თავი. შედეგად, არნემელები ლიდერ **პსვ**-ს უკვე ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

22 დეკემბერი აშკარად უიღბლო გამოდგა **“ვიტესისათვის”,** რომელმაც სტუმრად **“ჰერენვენთან”** 1:2 წააგო. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის 39-ე წუთზე არნემელთა ქართველმა კაპიტანმა გურამ კაშიამ ფილიგრანულად შესრულებული თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილი გოლით სამი ქულა მასპინძლებმა ირგუნეს.

მატჩის შედეგიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი ჭანტურიას და ვაკო ყაზაიშვილს აშკარად **“გაუმართლათ”,** რადგან **“ვიტესის”** განაცხადში კვლავ არ გამოჩენილან.

ქართველებისთვის წარუმატებელი გამოდგა თურქული სუპერლიგის განვლილი ტურიც. შოთა არველაძის **“ქასიმფაშა”** შინ **“ისთანბულთან”** 0:1 დამარცხდა, რაც მისი ზედიზედ მეორე მარცხი და ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე ვერმოგებული მატჩია, რაც აშკარად დამაფიქრებელია.

ზურაბ ხიზანიშვილის **“ქაისერისფორმა”** კი სტამბულში **“ბეშიქთაშთან”** 1:3 წააგო. ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერი გააწყო.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში ყურადღების ცენტრში მოექცა ბაქოს **“ინტერის”** თავდამსხმელი ბაჩანა ცხადაძე, რომლის გოლითაც მისმა გუნდმა ზამთრის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

**“ინტერმა”,** რომელსაც ბაჩანას მამა, კახა ცხადაძე წვრთნის, საკუთარ მოედანზე დედაქალაქურ დერბიში **“ბაქოს”** 1:0 სძლია, ცხადაძეუმცროსმა კი გამარჯვების გოლი მატჩის 58-ე წუთზე, პენალტით გაიტანა.

**“ინტერის”** შემადგენლობაში, ცხადაძის გარდა, გიორგი ლომაიამ და ილია კანდელაკმა ითამაშეს. ქართველთა გუნდმა სეზონის პირველი ნახევარი 33 ქულით დაასრულა.

ასევე 33 ქულა აქვს გიორგი ჩიხრაძის მიერ გაწვრთნილ **“სიმურგს”,** მაგრამ **“ინტერს”** უპირატესობა აქვს ბურთების შეფარდებაში და ამას გარდა, კონკურენტზე ერთი შეხვედრით ნაკლებიც ჩაატარა.



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი




# იუსტიციის სამინისტრო შაქრო კალაშოვთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო **“კანონიერ ქურდად”** აღიარებულ შაქრო კალაშოვთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის 2012 წლის 20 დეკემბრის ოფიციალური განცხადების თანახმად, საქართველოსა და რუსეთის მოქალაქე ზაქრო კალაშოვი საერთაშორისო კრიმინალური დაჯგუფების – **“საძმო”-ს (The Brothers Circle)** ერთ-ერთ წამყვან წევრად დასახელდა. აღნიშნული შედეგი საფუძვლიანი კვლევის შედეგად არის დადასტურებული.

საერთაშორისო კრიმინალური დაჯგუფების სტატუსი **“საძმო”-ს აშშ-ს** პრეზიდენტ ბარაქ ობამას აქტით 2011 წლის 24 ივლისს მიენიჭა. ამერიკის სახაზინო დეპარტამენტს იმავე აქტით დაევალა ორგანიზაციის წევრების გამოვლენა და მათ წინააღმდეგ სანქციების გატარება მათი გლობალური ფინანსური სისტემიდან გამოდევნის მიზნით.

2012 წლის 20 დეკემბრის განცხადებიდან ნათელი ხდება, რომ კრიმინალური ორგანიზაციის წევრად გამოცხადება ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქციის ფარგლებში ე.წ. **“კანონიერი ქურდის”** ზაქრო კალაშოვის ხელთ არსებული ყველა ფინანსური აქტივის გაყინვასა და ამერიკელი სუბიექტებისათვის მასთან ფინანსური ურთიერთობის კატეგორიულად აკრძალვას გულისხმობს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მიესალმება ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ეკონომიკურ სანქციებს საერთაშორისო კრიმინალური დაჯგუფებებისა და მათ წევრთა წინააღმდეგ. იუსტიციის სამინისტრო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მსგავსი ზომების მნიშვნელობას მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის და აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ როლს ამ საქმეში.

ქართული მხარე გააგრძელებს საკუთარი წვლილის შეტანას საერთაშორისო კრიმინალური ორგანიზაციებისა და მათი წევრების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ მიზნით აცხადებს მზადყოფნას სხვადასხვა ქვეყანასთან, განსაკუთრებით.



# იუმორი

ქალები, რასაკვირველია, კარგად არჩევენ სხვის სახეზე ოდნავ მრუდედ წასმულ თვალის “ლაინერს”, მაგრამ, სამაგიეროდ, გარაჟის კარს ვერ ხედავენ.

* * *

გახურებული ჩხუბის შემდეგ ქმარი კარს აღებს და გასვლას აპირებს.

– ლაჩარო! – კივის ცოლი, – ლაჩარო, გარბიხარ, ხომ?

– არა, ნაჯახის მოსატანად მივდივარ, – პასუხობს ქმარი.

* * *

– რით კვებავთ ამ ქათამს? – ეკითხება ბაზარში მყიდველი გამყიდველს.

– რატომ მეკითხებით?

– მეც მინდა ასეთი გახდომა.

* * *

– და თქვენ ამბობთ, რომ თქვენმა ინვალიდმა ქმარმა გცემათ?!

– სანამ ცემას დამიწყებდა, არ იყო ინვალიდი, ბატონო მოსამართლე...

* * *

მძღოლი შეწუხებულ ქალს ამშვიდებს:

– მართალია, შენი მამალი გავიტანე, მაგრამ არ ინერვიულოთ, ან ფულს გადავიხდი, ან შეგიცვლით.

– თქვენ?! თქვენ შემიცვლით?

– რა თქმა უნდა.

– საინტერესოა, როგორ დაპეპლავთ ჩემს ქათმებს?!

* * *

ქმარი მივლინებაში მიემგზავრება. ცოლი ეუბნება:

– ფული არ დახარჯო იმაში, რისი მიღებაც სახლში შეგიძლია უფულოდ.

ISSN 1987-8966 “ილორი”
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge